

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

ლეილა გეგუჩაძე

ქართული ენა

ნაწილი მეექვსე

თბილისი
2007

„აბიტურიენტის ბიბლიოთეკით“ ლ. გეგუჩაძის „ქართული ენა“ ნაკვეთების სახით გამოდის 1997 წლიდან. წინამდებარე გამოცემა შეექვსე ნაკვეთია დამხმარე სახელმძღვანელოდ ჩაფიქრებული შრომისა. მასში სინტაქსის, კერძოდ, მარტივი წინადადების, საკითხებია განხილული.

მკითხველი შენიშნავს, რომ წიგნში წარმოდგენილი საკითხები აბიტურიენტთათვის საკმარისზე უფრო ვრცლად არის განხილული, ამიტომ იგი კარგ საშასხურს გაუწევს ქართული ენის შესწავლისა თუ სწავლების საკითხებით დაინტერესებულ პირებს: პედაგოგებს, სტუდენტებს...

ივარაუდება კიდევ ერთი ნაკვეთის გამოცემა, რომელშიც შერწყმულ და რთულ წინადადებებთან დაკავშირებული საკითხები იქნება განხილული.


რედაქტორი
გიორგი ბოგოლახვილი

ბ. ჯორბენაძის საზოგადოების
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო

მარტივი წინადადება

წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები

როგორც ცნობილია, წინადადების წევრი არის სრულმნიშვნელოვანი სიტყვა (ან სიტყვათშენაერთი), რომელიც კავშირის ამქარებს წინადადებაში არსებულ სხვა სიტყვასთან. მაგალითად, წინადადებაში „ქარი უამბობს ყვავილებს ზღაპარს“ (ა. კალანდ.) ოთხი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა და ოთხივე წინადადების წევრია, თითოეული მათგანი კავშირის ამქარებს სხვა სიტყვასთან. ამ ოთხწევრიანი წინადადების დერძს წარმოადგენს „ზმნა (უამბობს), დანარჩენი წევრები კავშირის მასთან ამქარებენ.



ვიცით, რომ წინადადების წევრი შეიძლება იყოს დამხმარე სიტყვაც, როგორცაა, მაგალითად, თანდებულის, თანდებულის მნიშვნელობით ნახმარი ზმნიზედა. ნაწილაკი... მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დამხმარე სიტყვა თან ახლავს სრულმნიშვნელოვან სიტყვას: მხოლოდ სრულმნიშვნელოვან სიტყვასთან ერთად შეიძლება აქონდეს დამხმარე სიტყვას წინადადების წევრის მნიშვნელობა. მაგალითად: შორიდან სროლა სიბნელის გამო არ შეიძლებოდა (ა. ყაზბ.); ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა (ნ. ბარათ.); ამობრწყინდება დიდი ნათელი მარადიული მწუხრის წინაშე (ა. კალანდ.)... ხაზგასმული სიტყვები (სიბნელის გამო, ნუ შემობრალე, მწუხრის წინაშე) ერთად გადმოსცემენ წინადადების წევრს.

დამსპარე სიტყვა დამოუკიდებლად მხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოინდეს წინადადების წევრი, თუ ის გამოყენებული იქნება სახელის მნიშვნელობით. მაგ., ერთმანეთს ორი წინადადება, მაგ.: **ერიპა!** - შესძახა იმან. - **ერიპა!** რა დევიარდნილი მე მნახე?! (დ. კალდ.). და: **ერიპა** გაკვირვებას გამოხატავს.

თუ პირველ წინადადებაში **ერიპა** შორისდებულია და წინადადების წევრი არ არის, მეორეში იგი არსებითი სახელის ფუნქციითაა ნახმარი (რა გამოხატავს გაკვირვებას? - **ერიპა**) და სინტაქსურ წველს ქმნის ზმნასთან. იგი ამ შემთხვევაში სუბიექტური პირის ფარდი სიტყვაა:

გამოხატავს ის ($S = \text{ერიპა}$) მას (პირდ. $O = \text{გაკვირვებას}$).

სამივე სიტყვა წინადადების წევრია.

სხვა მაგალითი: ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვება, **ვაშა ვაშამვე** დაფარა (ა. კალანდ.). აქ შორისდებული **ვაშა** ორჯერაა ნახმარი და ორჯერვე მას არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს (რა რამ დაფარა?):

დაფარა **შან** ($S = \text{ვაშა-მვე}$) ის (პირდ. $O = \text{ვაშა}$). ე.ი. ერთი მათგანი სუბიექტის ფუნქციითაა გამოყენებული, მეორე - პირდაპირი ობიექტისა. ცხადია, ორივე **ვაშა** წინადადების წევრია.

წინადადების წევრთაგან სოგს მთავარი წევრი პქვია, სოგსაც - არამთავარი (მეორეხარისხოვანი). მთავარი მხოლოდ ის წევრი შეიძლება იყოს, რომელიც ზმნასთან (წინადადების ხერხემაღთან) პირის ნაცვალსახელით ან მისი ფარდი სიტყვით არის დაკავშირებული. ასეთია სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი. სწორედ ისინი გადმოიცემიან პირის ნაცვალსახელებით ან მათი ფარდი, მათი მონაცვლე სიტყვებით.

წინადადებაში „ქარი უამბობს ყვავილებს ზღაპარს“ ზმნას სამი პირის ნაცვალსახელი უკავშირდება: უამბობს ის ($S = \text{ქარი}$) მათ (ირ. $O = \text{ყვავილებს}$) მას (პირდ. $O = \text{ზღაპარს}$). სუბიექტის, ირიბი ობიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფარდი სიტყვები (ქარი, ყვავილებს, ზღაპარს). ცხადია, ზმნასთან ერთად, წარმო-

აღგენენ წინადადების მთავარ წევრებს. მაშასადამე, ამ ოთხ-
წევრიან წინადადებაში ოთხივე მთავარი წევრია.

ამრიგად, წინადადების მთავარი წევრია ზმნა და ის წევრე-
ბი წინადადებისა, რომლებიც წარმოადგენენ ზმნასთან შეწყო-
ბილ სუბიექტურ ან ობიექტურ პირებს (პირდაპირს, ირიბს) ან
მათს ფარდ სიტყვებს.

რამდენი მთავარი წევრი შეიძლება იყოს მარტივ
წინადადებაში?

ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენპირიანია მოცემული
წინადადების ზმნა. კერძოდ, თუ ზმნა ერთპირიანია, წინადადე-
ბაში ორი მთავარი წევრი იქნება: ოვითონ ზმნა და მასთან შეწყ-
ობილი ერთი პირი (ეს პირი, ჩვეულებრივ, სუბიექტია); თუ
ზმნა ორპირიანია, წინადადებაში სამი მთავარი წევრი გვექნე-
ბა: ზმნა, სუბიექტური პირის ფარდი სიტყვა და ობიექტური
პირის ფარდი სიტყვა (პირდაპირი ობიექტისა, თუ ზმნა გარ-
დამავალია, ანდა ირიბისა, თუ ზმნა გარდაუვალია); ხოლო თუ
ზმნა სამპირიანია, ამ წინადადებაში ოთხი მთავარი წევრი შეიძ-
ლება აღმოჩნდეს: ზმნით, სუბიექტური პირითა და ორი ობიექ-
ტური პირით გადმოცემული (ობიექტებიდან, ჩვეულებრივ, ერთი
პირდაპირი იქნება, მეორე - ირიბი: იშვიათად - ორივე ირიბი).

მაშასადამე, წინადადებაში იმდენი მთავარი წევრი შეიძლება
იყოს, რამდენპირიანიც არის ზმნა ერთის მიმატებით.

წინადადებაში შეიძლება მხოლოდ ერთი მთავარი წევრი
იყოს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როცა ზმნა უსუბიექტოა:
ასეთებია: წვიმს, თოვს, ქუხს, ელავს, ღამდება, თენდება და
ა.შ. აქედან გამომდინარე, წინადადებაში - „ხანგრძლივი გვალ-
ვის შემდეგ მოკლედნელად გაწვიმა“ - მხოლოდ ერთი მთა-
ვარი წევრი იქნება - გაწვიმა.

თუ მარტივ წინადადებას შევხედავთ მთავარ წევრთა შედ-
გენილობის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულში

მარტოვი წინადადება შეიძლება იქოს ერთშემადგენლიანი, ორ-
შემადგენლიანი, სამშემადგენლიანი, ოთხშემადგენლიანი და
ხუთშემადგენლიანიც კი, თუ გავითვალისწინებთ იმ შემნებს, რო-
მელთაც ოთხი პირი ეწყობათ: მიჰშიე შენ მე მას ის; არ და-
მინაგვრინო შენ მე მას ის... (ლ. კიკნაძე, ლ. კვაჭაძე).

ყველა სხვა წვერი წინადადებისა, რომელიც არ არის შეწ-
ყობილი ზმნასთან პირის ნაცვალსახელით ან მისი ფარდი, მისი
მონაცვლე სიტყვით, არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წვერი იქ-
ნება. მაგალითად: „შენს ღამა'ს სახეს კელაპტრის ალი მიღ-
მაქვეყნიურ სინათლეს ჰფენდა“ (ა. კალანდ.). ამ წინადადებაში
ზმნასთან ჰფენდა სამი პირია დაკავშირებული: ჰფენდა ის (S
= ალი) მას (ირ. O = სახეს) მას (პირდ. O = სინათლეს). ე.ი. ამ
წინადადებაში გვექნება ოთხი მთავარი წვერი: ჰფენდა, ალი,
სახეს, სინათლეს. დანარჩენი წვერები - შენს, ღამა'ს, კელაპ-
ტრის, მიღმაქვეყნიურ - წინადადების არამთავარი წვერებია.

მთავარი წვერები ქმნიან წინადადების საფუძველს, გად-
მოსცემენ მის ძირითად აზრს. არამთავარი წვერები კი გვაწვ-
დიან დამატებით ცნობებს მთავარი ან არამთავარი წვერების
შესახებ და ამით ხელს ეწყობენ აზრის უფრო სრულად, უფრო
ზუსტად გადმოცემას (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

გავეცნოთ წინადადების მთავარ წვერებს.

შემასმენელი

შემასმენელი წინადადების მთავარი წვერია, რომელიც
გვიჩვენებს:

ა) საგნის მოქმედებას: არაგვი შეეშფოთრად... მიაქანებდა
თავქვე ტალღებს (ვაჟა); საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწე-
რეს ჯვარი იმ ღამესა (ილია)...

ბ) საგნის მდგომარეობას: ხეაწმის დაკიდულ მთვარეს ყვერი გრძნეული ადევს (ა. კალანდ.); დიდება ჩვენი დღესაც ანთია (ა. კალანდ.)...

გ) რა ემართება, რა მოსდის საგანს: მრისხანე ღლომი მწიხ-გუელზე თბება (ა. კალანდ.); მიწის გუელი იფატრება რკინის ხელებით (ლ. ასათ.)...

შემასმენელი იმასაც გვინვენებს, თუ

დ) ვინ არის ან რა არის საგანი: მე თვითონ გახლავართ არსენა (მ. ჯავახ.); შენ პირუტყვი ხარ... (ილია)...

ე) როგორია საგანი: ყველა მოძრაობაში არწივი ძალიან სწრაფია (ი. გოგებ.); ღამე იყო ცივი (ა. ყაზბ.)...

შემასმენელი გამოხატავს აგრეთვე:

ვ) გრძობითს დამოკიდებულებას ერთი საგნისას მეორისადმი (ლ. კვაჭაძე): მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა (გ. ტაბ.); ყველას მოსწონდა მისი სხარტი ენა (გ. წერეთ.)...

ღა ს) ყოლა-ქონებასაც (ლ. კვაჭაძე): მე ლამაზი მეგობარი მყავდა (ა. კალანდ.); ...მახლიც არა ჰყოლია შინა (ვაჟა); ღამას სოფელში ჰქონდათ ბინა (ილია)...

როგორც ვხედავთ, შემასმენელი ძალიან მდიდარია შინაარსის თვალსაზრისით.

შენიშვნა: შემასმენლის ამოცნობა კითხვებითაც შეიძლება: რას შვრება? (რას შვრებოდა? რას შვრებოდეს?) რას იზამს? (რას იზამდა? რას იზამდეს?), რა ქნა? (რა ქნას?), რა უქნია? (რა ექნა? რა ექნას?)...

რა მდგომარეობაშია? (რა მდგომარეობაში იყო? რა მდგომარეობაში იქნება? რა მდგომარეობაში ყოფილა?...).

რა ემართება, რა მოსდის საგანს? (რა მოუვიდა? რა მოუვა? რა მოხვლია?...)

ვინაა საგანი? (ვინ იყო? ვინ იქნება? ვინ ყოფილა?)...

რა არის საგანი? (რა იყო? რა იქნება? რა ყოფილა?)...

როგორია საგანი? (როგორი იყო? როგორი იქნება? როგორი ყოფილა?) და ა.შ.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ "შემასმენელს (და, საერთოდ, წინადადების წევრს) კითხვა 'სოფჯერ არ ეწეობა, ამიტომ კითხვის დასმით მისი სწორად ამოცნობა ყოველთვის არაა შესაძლებელი. გადამწყვეტია მისი მნიშვნელობა (და ფორმა).

რით შეიძლება გადმოიცეს 'შემასმენელი?

'შემასმენელი შეიძლება გადმოიცეს 'სმნით (მათ გაიმარჯვებს!), ან სახელისა (სახელსმნისა) და 'სმნის 'შეერთებით (ის მასწავლებელი ყოფილა). ამის მიხედვით 'შემასმენელი ორი სახისაა: მარტივი და შედგენილი.

მარტივი შემასმენელი

მარტივია ან ზმნურია 'შემასმენელი, თუ ის გადმოცემულია 'სმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმით. წარმოგიდგენთ მარტივი 'შემასმენლის ნიმუშებს ანა. კალანდაძის პოეზიიდან:

1. ხმასა ზეციურს მადლობით ვისმენ; 'შენთვის ჩამოქნილს განთებ კელაპტარს...

2. ქარი იბრძოდა ვაშლის რტოებთან; ლურჯი ფოთოლი სცვიოდა რტოებს...

3. თუ დავიხრჩობი, ღვინომ დამახრჩოს, ვგავდე ყაყაჩოს სათისხალიანს...

4. გაიღება 'სეცის კარი, უცხო სუნთქვით დაუმბიმლები, აკაცია თეთრად მთოვს, ნარგისებით გაწვიმდება...

5. ამაღლებოდნენ 'სეცის თაღები...

6. ...შენი მარად შემეწულებს ციური მადლი.

7. ენამ დამგესლა წყეულმა: ეჭვის აჩრდილი მაწვია, გული აოთასად გაიპო...

8. ვინ დაიწმინდა ხატის იგი წარუქვალბის?

9. უდაბნოს გოდოლის გარდასვლია დიდების დღეის, შემოქ-
ლებია მას გუნდრეკი და აია'სმა...

10. რეალის ქვაბი მოეთობა ქონდაქარსა... რეალის ქვაბი
გადმოგდო ქონდაქარსა...

11. ო, მაღსაა შენსა, ცაო ქართულისა, კვლავინდებურად
შენთვის ეხმოს... დედას ქართლისას ჩვენი მიწისთვის ხე და-
ხუნძლოელი ისევე ერხოს...

აღბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ საილუსტრაციოდ მოყვა-
ნილ სტრიქონებში ხაზგასმული შემასმენლები მიმღევრობით
ყველა შესაძლო (ე.ი. თერთმეტივე) მწკრივის ფორმითაა წარ-
მოდგენილი. ეს ფორმები მარტივია. უმეშველ'სმნო; მაგრამ ჩვენ
ხომ ვიცით, რომ გარკვეულ სმნებს მწკრივთა წარმოებისას შე-
იძლება მეშველი სმნა დასჭირდეთ. ამის მიუხედავად, ისინი
მანც მარტივ შემასმენლებად ითვლებიან.

ასეთი მეშველ'სმნიანი წარმოებისაა, მაგალითად, სოგიერთი
სმნის აწმყოსა და I თურმეობითის ფორმები: ვდგავარ(თ), დგა-
ხარ(თ), ვგდივარ, გდიხარ, ვქროვარ, ყრიხარ, ვწუხვარ(თ),
წუხხარ(თ), დავბადებულებარ(თ), დაბადებულხარ(თ), დავბადე-
ბულიყავი(თ), დაბადებულიყავი(თ), დავხმარებვარ(თ), დახმარე-
ბიხარ(თ), გავუგ'საენივარ(თ), გაუგ'საენიხარ(თ) და ა.შ.

მაშასადამე, დავიმასსოვროთ: შემასმენელი მეშველ'სმნიანი
წარმოებისაც რამ იქოს, თუ ის რომელიმე მწკრივის ფორმაა,
მანც მარტივ შემასმენლად ითვლება.

მარტივ შემასმენლად მიიხნევა აგრეთვე

ა) რთული სმნებით გადმოცემული შემასმენლები: შეურაცხ-
ვეყოფ, შეურაცხყოფ, შეურაცხყოფს...; ცხადვეყოფ, ცხადყოფ,
ცხადყოფს...; და:

ბ) ნაწილაკდარითული შემასმენლები: გვერდევანიძემ არ შეი-
წყნარა პლატონის თხოვნა (დ. კლდ.); მსემ ადგომა მანც ვერ
დაასწრო (ილია); ნუ დამიტროს სატრფომ გულისა (ნ. ბარათ);

გვებ ინებოს ბაქონმა... (ვაჟა); ლამის სახელში შემოიტრას თქვა (ა. კალანდა.); ძეხას ფერი შესცვლია თურმე (ილია); სამი თვის ნაწილარი გამოდის ხოლმე სამკურნალოდან (მ. ჯაფახ.); რა ყურმა უნდა გაუბლოს იმ მოების გულის ძვერასა?! (ვაჟა)...

შემასმენელს ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ნაწილაკი ახლდეს, მაგრამ ის მაინც მარტივი იქნება. მაგალითად: ის კაცი თურმე არც აპირებდა ოთახიდან გასვლას... ამ წინადადებაში თურმე არც აპირებდა მარტივი შემასმენელია.

შენიშვნა: მარტივ შემასმენლადაა მიხსენილი ცივა, ცხელა, თბილა, გრილა, ბნელა... ტიპის სმნები, მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით ისინი შედგენილი შემასმენლებია: ცივა ← ცივ არს; ცხელა ← ცხელ არს; თბილა ← თბილ არს; გრილა ← გრილ არს; ბნელა ← ბნელ არს...

შედეგადილი შედეგადილი

შედგენილია შემასმენელი, თუ ის გადმოცემულია სახელისა და სმნის, ან სახელსმნისა და სმნის შეერთებით. მაშასადამე, შედგენილი შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი სახელი - ბრუნებადი სიტყვა, მეორე კი - სმნის პირიანი ფორმა. მაგალითად: ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო (მ. ლებან.). ამ წინადადებაში დიდი ყოფილა შედგენილი შემასმენელია. მისი პირველი კომპონენტი სახელია, ამ შემთხვევაში შედსართავი სახელი, მეორე კი - სმნა.

თუ დავეყვირდებით ამ შედგენილ შემასმენელს, ადვილად მივხვდებით, რომ მის ლექსიკურ მნიშვნელობას ძირითადად სახელი გადმოგვცემს, სმნას კი შესუსტებული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და თითქოს დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს, თუმცა სმნის კატეგორიებს (პირს, რიცხვს, დროს, კლასს, მწკრივს...) სწორედ ის გამოხატავს.

„შედგენილ შემასმენელში“ შექმავალ ბრუნებად სიტყვას სახელადი ნაწილი „ქეკია, ზმნის პირიან ფორმას - ზმნური ნაწილი, მეშველი ზმნა.

შენიშვნა: „შედგენილ შემასმენელს რთულსაც უწოდებენ, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილს - თანასაერთს. პრედიკატის. სახელითსა თუ სახელურ ნაწილს, ხოლო ზმნურ ნაწილს - საერთსა და კოპულას“ (ლ. კვაჭაძე).

რით შეიძლება გადმოიცეს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი?

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება გადმოიცეს ყველა სახელით, ე.ი. არსებითით, ზედსართავით, რიცხვითითა და ნაცვალსახელით, აგრეთვე - სახელზმნით: საწყისითა და მიმდებრით. ამათგან უფრო ხშირად ვხვდებით არსებით სახელს, ზედსართავ სახელსა და მიმდებრას, შედარებით ნაკლებად - რიცხვით სახელსა და საწყისს. მაგალითები:

1. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი არსებით სახელია:

ბალახი ვარ მთისა (ვაჟა); ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ (ვაჟა); ბეკინა სამანიშვილი დარიბი აზნაური იყო (დ. კლდ.); ნისლი ფიქრია მთებისა (ვაჟა)...

2. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელია:

უმანკობა სურვილი ჩემი, ღრმა ტანჯვა ჩემი; სპეტაკი არის სული ჩემი (ნ. ლორთქ.); გურიელას ამბავი გრძელი არ იყო (თ. რაჭიკ.); დღედაღამ ღია უნდა იყოს სახლი საუფლო (ა. კალანდ.)...

3. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმდებრია: ვახშობა გადასული იქნებოდა (თ. რაჭიკ.); მათი მეგობრობა შეურყეველი იყო (ვაჟა); ეს ფრინველი ცხელი ქვეყნების

მცხოვრებელია (ი. გოგებ.); ქართველები განთქმულნი იყვნენ ცხენოსნობით (აკაკი)...

4. 'შელგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი რიცხვითი სახელია:

ისინი ხუთნი იყვნენ (ო. ჭილა.); ჩვენ თურთმეტნი ვართ (ო. იოსელ.); ისინი ძალიან ბევრნი არიან; საბა ყოველათვის პირველია; ათისა და ასის ნამრავალი მილიონის მეთასხელი იქნება?..

5. 'შელგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ნაცვალსახელია:

ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია (ი. გრიშ.); ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ, ქართველნი, ძველსა დროსა (ილია), ხან უგზური ვარ, ხან - ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც - ისა (აკაკი)...

შენიშვნა: ყურადღება მივაქციოთ ამ მაგალითს, რომელშიც მეშველი ზმნა (ვარ) გამოტოვებულია, მაგრამ 'შელგენილი შემასმენლის სრულად აღდგენა ძნელი არ არის: ხან არც ისა ვარ, არც ისა [ვარ]. ასეთ მაგალითებს ხშირად შევხვდებით.

6. 'შელგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი საწყისია:

იმ სახლიდან ქალის მოტაცება საკმარისი შეურაცხყოფა იყო (ა. ყაზბ.); ყველაზე დიდი გამბედაობა სიმართლის თქმა; გათენების მაჟქუბელი სოფელში მამლის ყოფილი იყო; ამ დაავადების მთავარი ნიშანი ყელის ტკივილი ყოფილა...

შენიშვნა: „ქვემდებარე და 'შელგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული: უსწავლეელის ყოფნა რა ყოფნაა, უსწავლეელის სიტოცხლე რა სიტოცხლეა: ვაჟა“. (ლ. კვაჭაძე).

'სემოთ წარმოდგენილ მაგალითებში 'შელგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სახელობითი ბრუნვის ფორმით იყო მოცემული (მხოლოდით რიცხვშიც და მრავლობითშიც). ასეა ჩვეულებრივ: მაგრამ სახელადი ნაწილი ('შედარებით იშვიათად,

მაგრამ მაინც) გვეხველება მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებშიც (ი. იმნაიშვილი). მაგალითად:

ეს უყვრო უზიფათოს გახდიდა გ'სას (რ. გვერ.); დედოფლად იყო სვენი ნაცნობი ინგილო ქალი (ი. გოგებ.); დილა'სუდ აუად-მყოფი უარესად შეიქმნა (დ. კლდ.) (დ. კვაჭაძე).

ახლა გავარკვიოთ, რომელი ზმნები შეიძლება შეგვხვდეს მეშველი ზმნის ფუნქციით.

უპირველეს ყოვლისა, ესაა ვარ ზმნა თავისი მონაცვლე ფორმებითურთ როგორც მხოლოდით, ისე - მრავლობით რიცხვში:

ვარ(თ), ხარ(თ), არის/არიან; ვიქნები(თ), იქნები(თ), იქნება/იქნებიან; ვიქნებოდი(თ), იქნებოდი(თ), იქნებოდა/იქნებოდნენ; ვიქნებოდე(თ), იქნებოდე(თ), იქნებოდეს/იქნებოდნენ; ვიყავი(თ), იყავი(თ), იყო/იყვნენ; ვიყო(თ), იყო(თ), იყოს/იყვნენ; ვყოფილვარ(თ), ყოფილხარ(თ), ყოფილა/ყოფილან; ვყოფილიყავი(თ), ყოფილიყავი(თ), ყოფილიყო/ყოფილიყვნენ.; ვყოფილიყო(თ), ყოფილიყო(თ), ყოფილიყოს/ყოფილიყვნენ...

თუ თვალს გადავავლებთ საიდუმლოტრადიციულ მოყვანილ მაგალითებს, ვნახავთ, რომ მეშველ ზმნათაგან აწმქოს მესამე პირის ფორმა არის სრული სახით იშვიათადაა წარმოდგენილი („სპეტაკი არის სუკლი ჩემი...“ ა. კალანდ.). ჩვეულებრივ, ის შეკვეცილია და მხოლოდ თავკიდური ბ ხმოვანია დარჩენილი. ეს ბ ხმოვანი ხშირად სახელად ნაწილთანაა მიერთებული (ნიხლი ფიქრია, ღრმაა ტანჯვა, ეს მთა ჩემია, ორჯერ ორი ოთხია და ა.შ.), მაგრამ შეიძლება იგი წინადადებაში არსებულ სხვა სიტყვასთანაც იყოს მიერთებული. მაგალითები:

„ცაა ძალიან... ღურჯი“ (ა. კალანდ.) = ცა არის ძალიან ღურჯი (ცა ძალიან ღურჯია). ამ შემთხვევაში შედგენილი შემასმენელია არის ღურჯი, ე.ი. არის მეშველი ზმნის ნაშთი ბ ქვემდებარესთანაა (ცა-ბ) მიერთებული.

ტერმინული ნაღმებითაა **სავსე** - ტერმინული ნაღმებით **არის სავსე** (ტერმინული ნაღმებით **სავსეა**). "შეღვენილი" შემასმენელია **არის სავსე**. მაშასადამე, მეშველი "ზმნის ნაშთი" ა უბრალო ღამატებას ერთვის.

გოგონა ღამაშადაა **ჩაცმული** - გოგონა ღამაშად **არის ჩაცმული** (გოგონა ღამაშად **ჩაცმულია**). ამ შემთხვევაში ა ვითარების გარემოებასთან (ღამაშად) არის "შერწყმული".

საგანგებოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: **არის** "ზმნის ნაშთი" ა ყოველთვის **მეშველი** "ზმნის ფუნქციით არ არის გამოყენებული, ის (ა) შეიძლება მარტივი შემასმენელი იყოს. მაგალითები:

"აქ **სიკვდილია**, იქ კი - სიცოცხლე, აქ **ჭირია** და იქ კი **ლხინია**" (ილია);

აქ **სიკვდილია** = აქ **არის** სიკვდილი, ანუ აქ **არის** ის (S=სიკვდილი);

აქ **ჭირია** = აქ **არის** ჭირი, ანუ აქ **არის** ის (S=ჭირი)...

"სანამ **არაა** გვიან, მოძღვარს უხედავდეთ ჩვენსას" (ა. კალანდი.)
არაა გვიან = არ **არის** გვიან.

"და ჯერ **არც** კია საღამოს შვიდი, წინ მხოლოდ ცივი, ცივი **ღამეა**" (ა. კალანდი.).

ამ წინადადებაში არის "ზმნის ნაშთი" ა ორჯერ გახვდება და ორჯერვე ის მარტივი შემასმენელია: **არც** კია "შვიდი" = **არც** კი **არის**... "შვიდი"; წინ... ცივი **ღამეა** = წინ **არის** ცივი ღამე.

როგორც ცნობილია, "არის" ერთპირიანი ზმნაა, ორპირიანად ის არ გადაკეთდება და, თუ წინადადებაში, რომელშიც ეს ზმნა "შეღვენილი" შემასმენლის ნაწილია, ორპირიანი ფორმაა საჭირო, მაშინ მას ენაცვლება "მაქვს" ან "მყავს" (ა. შანიძე). მეშველ ზმნად **მაქვს** ფორმას იმ შემთხვევაში ვიყენებთ, თუ გრამატიკული სუბიექტის ფუნქციის მქონე (სახელობით ბრუნვაში

მღვარი) სიტყვა უსულო ხაგანს აღნიშნავს: ეს ავადმ-
ყოფობა მე კარგად მაქვს შესწავლილი (მაქვს შესწავლილი
მე ის = ავადმყოფობა); მაგრამ, თუ ეს სიტყვა სულიერი ხაგ-
ანის აღმნიშვნელია, მაშინ მეშველ 'ხმნად მყავს გამოიყენება: ეს
ავადმყოფი მე კარგად მყავს შესწავლილი (მყავს შესწავ-
ლილი მე ის = ავადმყოფი).

მაქვს (მქონდა, მქონდეს...) და მყავს (მყოვდა, მყოვდეს...) 'ხმნებს მყოფადის წრეში შეენაცვლება მექნება (მექნებოდა, მექნებოდეს...) და მეყოლება (მეყოლებოდა, მეყოლებოდეს), ხოლო III სერიაში კი - მქონია (მქონოდა, მქონოდეს...) და მყოლია (მყოლოდა, მყოლოდეს...). ამ 'ხმნებს II სერიის ფორმე-
ბი არა აქვთ.

მაგალითები (სახელობით ბრუნვაში მღვარი გრამატიკული სუბიექტის ფარჯი სიტყვები გაშლილად და დაბეჭდილი):

დიდი ენამეტყველობის სახელი ჰქონდა გაგარდნილი თავალიშვილებში ამ სუტ-კენინასა (ილია); 'ეკაცრავედ, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა კიდევ რიგიანად არა მაქვს მოწყობილი (გ. წერეთ.); ცხენებს ეელ'სე ზან 'სა'ლაკები ჰქონდათ ასხმული (ი. გრიშ.); მას გამარჯვებაც წინასწარ ჰქონდა განაღდებული (ო. ჭილა.)...

იმასა ჰყავდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი (ა. ყაზბ.), ოჯახის წევრები აღბათ გაფრთხილებული გეყოლებათ; მეფეს თავისი მოლაშქრენი შეხანიშნავად გაწვრთნილი მყოლია... იმ ქალს ბავშვი მთელ დღეს ოთახში მყავს გამოკეტილი...

აღნიშნული 'ხმნები (მაქვს, მექნება, მქონდა, მყავს, მყო-
ლია...), რომლებიც წარმოადგენილ მაგალითებში მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებენ, შეიძლება შეგვეხდნენ დამოუკიდებლადაც. მარტივი შემასმენლის ფუნქციით. 'მღრ.:

ოჯასს ის კაცო კარგა ხანია დავიწყებული ჰყავს, სადაც ჰყავს მეშველი ზმნაა და შედგენილ შემასმენელში შექლის (დავიწყებული ჰყავს), და:

ჩანს, იუდაც კი თანამგრძობთა თავისთა პოვებს, ჰყავს მასაც მრევლი, ვით ამ სოფლად სიბრიყვეს ყოველს (ა. კალანდ.), სადაც ჰყავს მარტივი შემასმენელია.

ეს უნარი, რომ ერთ შემოხვევაში შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნის ფუნქციით შელიოდეს და მეორე შემოხვევაში მარტივი შემასმენელი იყოს, სოგ სხვა ზმნასაც აქვს. ასეთებია, მაგალითად, გახლავს, გახლავთ, დარჩა, გახდა, ჰგონია, ჩანს...

შდრ.: თქვენ ხომ ის ყოველთვის თან არ გახლავთ? და: ის ლაჩარი არ გახლავთ.

პირველ მაგალითში გახლავთ ნახმარია თავისი ძირითადი - თანხლების - მნიშვნელობით: არ გახლავთ = არ არის თქვენთან ერთად. ე.ი. არ გახლავთ არის მარტივი (ნაწილაკიანი) შემასმენელი; მეორე წინადადებაში კი მას მეშველი ზმნის ფუნქცია აკისრია - ენაცვლება არის მეშველ ზმნას (ის ლაჩარი არ გახლავთ - ის ლაჩარი არ არის), და, მაშასადამე, შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილს წარმოადგენს.

სხვა მაგალითები:

შდრ.: მივლინებაში მეუღლაც გახლდათ? = მეუღლაც იყო თქვენთან ერთად? ე.ი. გახლდათ მარტივი შემასმენელია. და:

ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი (ილია) = ლუარსაბ თათქარიძე იყო... ძველი ქართველი. ე.ი. გახლდათ ქართველი შედგენილი შემასმენელია.

შდრ.: შორს თოვლიანი მთა ჩანს (ჩანს მარტივი შემასმენელია) და:

დღეს ის ცოტა მოწესრიგებული ჩანს = დღეს ის ცოტა მოწესრიგებულია (ე.ი. ჩანს შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნის ფუნქციითაა ნახმარი).

მდრ: ბავშვი ოთახში დარჩა (დარჩა მარჯივი შემასმენელია) და:

დარეჯანი ქმრის ერთგული დარჩა: ვაჟა (ერთგული დარჩა შედგენილი შემასმენელია, რომელშიც დარჩა მეშველი სმნის ფუნქციას ასრულებს).

როგორ მივხვდეთ, სმნის ესა თუ ის ფორმა მარჯივი შემასმენელია, თუ მეშველი სმნაა და ე.ი. შედგენილი შემასმენლის ნაწილი?

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მაგალითებს და ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ერთი და იმავე სმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა ხან ძალიან მკაფიოა, ხანაც - ფაქტობრივად დაკარგული.

დავიმახოვსოთ: როდესაც „სმნა მკაფიოდ გამოხატავს თავის საკუთარ ლექსიკურ მნიშვნელობას (ახლავს=თან დაჰყევა, მასთან ერთადია, გახდა = სიმსიქნე მოაკლდა, წონაში დაიკლო, აღმოჩნდა = ხილული გახდა ან მოძებნილი, ნაპოვნი იქნა...), მაშინ ის მარჯივი შემასმენელია: მაგრამ, თუ სმნაში დაკარგულია, არ ჩანს მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამოყენებულია მეშველი სმნის ფუნქციით და შედგენილი შემასმენლის ნაწილია. მოვიყვამინოთ პროფ. ა. შანიძეს:

„მეშველ სმნას საზოგადოდ საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა დაკარგული აქვს. შევადაროთ: „ნიკო სოფელში იყო“ და „ნიკო სტუდენტი იყო“. ეს ორი „იყო“ სულ სხვადასხვაა: ერთი იმასვე აღნიშნავს, რასაც „იმყოფებოდა“ (ნიკო სოფელში იყო - ნიკო სოფელში იმყოფებოდა. იყო აქ სრულმნიშვნელოვანი სმნაა (ე.ი. მარჯივი შემასმენელი - ლ.გ.); ნიკო სტუდენტი იყო - აქ კი მეშველ სმნას ეკისრება, რომ სახელი შემასმენლად აქციოს: სახელთან ერთად იგი დაახლოებით ამას ნიშნავს: „სტუდენტობდა“ (ა. შანიძე).

იმის გარკვევას, 'ზმნა მარტივი შემასმენელია თუ შედგენილი შემასმენლის ნაწილი, ხშირად არაუკლებს მასთან შეწყობილი სახელი, რომელიც ერთ შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, მეორე შემთხვევაში კი - გრამატიკული სუბიექტის ფარდი სიტყვა, ანუ წინადადების დამოუკიდებელი წევრი.

შევუდაროთ ერთმანეთს: 1. აქ სტუდენტია და:
2. ის სტუდენტია.

პირველ მაგალითში აქ სტუდენტია (=აქ არის სტუდენტი) ზმნა არის ერთპირიანია, რომელსაც სუბიექტად ეწყობა ის: აქ არის ის=სტუდენტი, ე.ი. სტუდენტი სუბიექტური პირის ფარდი სიტყვაა, მაშასადამე, წინადადების დამოუკიდებელი წევრი. ამ შემთხვევაში ა, რომელიც არის ზმნის ნაშთი, მარტივი შემასმენელია.

მეორე მაგალითში - ის სტუდენტია (=ის არის სტუდენტი) სუბიექტის ფუნქციით წარმოდგენილია ის (და არა სტუდენტი): ის (S) არის სტუდენტი: ე.ი. სტუდენტი სახელადი ნაწილი ყოფილა, ა კი - მეშველი ზმნის ფუნქციით გამოყენებული.

მაშასადამე, აქ სტუდენტია-ში ა (=არის) მარტივი შემასმენელია, ხოლო ის სტუდენტია-ს შემთხვევაში სტუდენტია შედგენილი შემასმენელია, რომელშიც სტუდენტი სახელადი ნაწილია, ა კი - მეშველი ზმნის ნაშთი.

ვნახოთ სხვა მაგალითიც. შევუდაროთ ერთმანეთს:

თქვენ ხომ ქართველი გახლავთ (= თქვენთან ერთად არის ქართველი) და: ის ქართველი გახლავთ (= ის არის ქართველი).

პირველ შემთხვევაში - თქვენ ხომ ქართველი გახლავთ - გახლავთ ზმნა ორპირიანია: გახლავთ ის (S = ქართველი) თქვენ (=O). ე.ი. ქართველი სუბიექტური პირის ფარდი სიტყვაა და დამოუკიდებელი წევრი. გახლავთ კი - მარტივი შემასმენელი.

მეორე შემთხვევაში - ის ქართველი გახლავთ - სუბიექტის ფუნქციით გამოიყენებულია არა ქართველი. არამედ - ის. მაშასადამე, ქართველი სახელადი ნაწილია. ქართველი გახლავთ - შედგენილი შემასმენელი, რომელშიც გახლავთ მეშველი ზმნაა.

ამრიგად, თუ ზმნასთან შეწყობილი სახელი სუბიექტის ფუნქციითაა გამოიყენებული (ამ შემთხვევაში ზმნას შენარჩუნებული ექნება თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა), ეს ზმნა მარტივი შემასმენელია: მაგრამ, თუ ზმნას ახლავს სუბიექტის ფუნქციით გამოიყენებული სხვა სიტყვა (ამ შემთხვევაში ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა დაკარგული იქნება), მაშინ ზმნასთან შეწყობილი სახელი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, ზმნა კი - მეშველი.

მეშველი ზმნა, ჩვეულებრივ, მოსდევს ხოლმე სახელად ნაწილს, მაგრამ შესაძლოა უსწრებდეს მას, ან სხვა სიტყვით იყოს გათიშული სახელადი ნაწილისაგან. შეუუდაროთ ერთმანეთს:

მე მწერალი გახლავართ (ილია) - მეშველი ზმნა მოსდევს სახელად ნაწილს.

ქორი ორივე ფეხით გახლავთ ჩამოკიდებული (აკაკი) - მეშველი ზმნა უსწრებს სახელად ნაწილს.

მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიძემი (ილია) - მეშველი ზმნა სახელადი ნაწილისაგან სხვა სიტყვებითაა გათიშული.

ამრიგად, შემასმენელი არის წინადადების მთავარი წევრი, რომელიც გვინვენებს საგნის მოქმედებას (აშენებს), მდგომარეობას (გლია), ვინ არის (ექიმა), რა არის (ფრინველია) ან როგორია საგანი (მშენიერია), რა ემართება მას (ცხელდება)...

შემასმენელი ორი სახისაა: მარტივი და შედგენილი.

მარტივია შემასმენელი, თუ ის ზმნის რომელიმე მწკრივის ფორმითაა გადმოცემული (დგას, კითხულობს, დავარდა, გაგ-

ვახარა...), თქნადაც ეს მკერივი მექველ'შმნიანი წარმოებისა იქოს (ვღვაფარ, დავარდნილხარ, გავუხარებოვარო...).

შედგენილი შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება: სახელადი ნაწილისა და მეშველი ზმნისაგან.

სახელადი ნაწილი შეიძლება გადმოიცეს არსებითი სახელით (მე ბალახი ვარ), ზედსართავი სახელით (ის მშვენიერია), რიცხვითი სახელით (მტერი უამრავია), ნაცვალსახელით (ის ვინ არის?), საწყისით (მი'სანი შენება იყო) ან მიმღობით (მეგობრობა დაუმარცხებელია). იგი ძირითადად სახელობით ბრუნვაში დგას (ბალახ-ი, მშვენიერ-ი, უამრავ-ი, ვინ, შენება, დაუმარცხებელ-ი). შედარებით ნაკლებად - მიცემითსა (მუსიკა სახალი-სოს ხდიდა მგზავრობას) და ვითარებითში (დაჭრილი უარესად შეიქნა).

მეშველი ზმნის ფუნქციით ყველაზე ხშირად გვხვდება ვარ ზმნა (სხვადასხვა პირსა და ორივე რიცხვში) თავისი მონაცვლე ფორმებითურთ (ვიყავი... ვიქნები... ვყოფილვარ...): მე ბედნიერი ვარ, თქვენ მეგობრები ხართ, ისინი კეთილშობილები არიან, ის გამარჯვებული იქნება, შენ გმირი ყოფილხარ და ა.შ.

თუ ორპირიანი ფორმაა საჭირო, ვარ ზმნას ენაცვლება მაქვს (თუ გრამატიკული სუბიექტის ფარდი სიტყვა უსულო საგანია: მე გადასწყვეტილი მაქვს მისვლა) და მყავს (თუ გრამატიკულ სუბიექტად სულიერია: მე შვილი გაგსაენილი მყავს) თავისი მონაცვლე ფორმებითურთ სხვადასხვა პირსა და ორივე რიცხვში (მქონდა, ... შექნება, ... მქონია... მყავს, მეყოლება, ... მეყოლია...).

მეშველი ზმნის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს სხვა ზმნე-ბიც: გახლავს (ის პედაგოგი გახლავს), გახლდათ (ის ძალიან გონიერი გახლდათ), ჩანს (ბავშვი გახარებული ჩანს), გახდა (ის მკვლევარი გახდა), დარჩა (მოთამაშე მოგებული დარჩა), დადგა (გიორგი კარგი ვაჟკაცი დადგა) და სხვა.

„სმნის ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში მარჯივი შემასმენელი იყოს (ის გოგონა ძალიან გახდა). მეორე შემთხვევაში - მეშველი სმნა (ის გოგონა სტუდენტი გახდა). მეშველი სმნის ფუნქციით გამოყენებულ ფორმას დაკარგული აქვს თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა. ამიტომ, რომ წინადადებაში გოგონა ძალიან გახდა, გახდა მარჯივი შემასმენელია (მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობაა წონაში დაიკლო), ხოლო წინადადებაში გოგონა სტუდენტი გახდა, გახდა მეშველი სმნაა (რადგან მას უკვე აღარ უჩანს თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა).

ქვემდებარე

ქვემდებარე წინადადების მთავარი წევრია, სმნა-შემასმენლის სუბიექტური პირის ფარდი სიტყვა. იგი „წინადადებაში მოქმედად არის წარმოდგენილი“ (ა. შანიძე), მაგრამ რეალური ვითარების გათვალისწინებით ხან აქტიურად მოქმედია (ძველი მთიბაგი ძველ სათიბს თ ი ბ ა ვ ს : მ. ლებან.), ხან - ფაქტობრივად უმოქმედო (ხმელი წიფელი არ ინძრევა : ვაჟა), ქვემდებარე შეიძლება იყოს სმნა-შემასმენლით გადმოცემული საქმის მოთავე და ხელმძღვანელი, მაგრამ მოქმედებას სხვა (ირიბი ობიექტი) ასრულებდეს (არსენამ თოკი... წვრილ ბაწრებად დაააშლევინა [მას]: მ. ჯავახ.), ქვემდებარემ შეიძლება აღნიშნოს საგანი, რომლის თვისება ან მდგომარეობა სმნა-შემასმენლით არის გამოხატული (კამჭი დონიერია ; ეს ცხენიც... ჩემთან შესრდილა : ილია) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული სუბიექტი და რეალურად მოქმედი საგანი შეიძლება ერთი და იგივე იყოს, ან - სხვადასხვა. „ოჲ როგორია მიმართება რეალურად მოქმედ პირსა

და ურამბარკოკულად შოქმედ (სეუბიექტურ) პირის 'შორის, დაპოკი-
დებულება იმა'სე, თუ როგორი 'სმნითაა გადმოცემული 'შეძას-
მენელი' (დ. კვაჭაძე).

რომელი მეტყველების ნაწილით 'შეიძლება გადმოიცეს
ქვემდებარე?

ქვემდებარე 'შეიძლება გადმოიცეს არსებითი სახელით
(გულმა ბაგაბუკით ცემა დ ა მ ი წ' ე ო : ილია), ნაცვალსახელით
(იზან დ ა ი ნ ა ხ ა თხელს ტანისამოს'ში ქალი: ა. ყა'ზბ.), ან -
ნებისმიერი სხვა მეტყველების ნაწილით, თუ ის არსებითი სახე-
ლის მნიშვნელობით იქნება გამოყენებული. არსებითი სახელის
ფუნქციით 'შეიძლება შეგვხვდეს ზელსართავი სახელი (უმცროსი
მთლად აირია: ილია), რიცხვითი სახელი (ორნივ მ ი უ -
ა ხ ლ ო ვ დ ნ ე ნ ერთმანეთს: ა. ყა'ზბ.), საწყისი (ამ კითხვამ
გ ა ა ბ ა ლუარსაბი მახეში: ილია), მიმღობა (გაქეუილას გატე-
ხილი სჯობიანო: ანდ.), ზმნიზედა (თდნავ ვითარების 'სმნი'სე-
დაა), თანდებული (-თვის ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს სახე-
ლისაგან), კავშირი (თუ მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ც ' შე ი ძ ლ ე ბ ა
ი ყ ო ს), ნაწილაკი (თურმე უნახაობის მნიშვნელობას ანიჭებს
ზმნას), შორისდებული (ვაი სხვადასხვა ემოციას გამოხატავს)...

ქვემდებარის ბრუნვები

როდესაც ქვემდებარის ბრუნვებზე ვსაუბრობთ, უნდა გავარ-
ჩიოთ სხვადასხვა შემთხვევა: 1) ქვემდებარე როგორ 'სმნასთან
ქმნის სინტაქსურ წყვილს - ა) გარდამავალთან თუ ბ) გარდა-
უვალთან?

2) ქვემდებარესთან წყვილში 'შემაგალი ზმნის ფორმა პირ-
ველი და მეორე პირისაა თუ მესამისა?

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

ქვემოთაბრე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ
შემასმენელთან

თუ ქვემდებარე სინტაგმას ქმნის გარდამავალი 'ზმნის III პირის ფორმასთან, მაშინ იგი ბრუნვაცვალებადია: 'შეიძლება იღგეს სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში. ამას განსასწავრავს ის, თუ რომელი სერიის მწკრივის ფორმაა 'ზმნა-შემასმენელი. კერძოდ: როდესაც 'ზმნა-შემასმენელი I სერიის რომელიმე მწკრივში ღგას, მასთან ღაკავშირებული ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში იქნება (კაც-ი აშენებს, აშენებდა, აშენებდეს...); თუ 'ზმნა-შემასმენელი II სერიის ფორმაა, ქვემდებარეს იგი მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს (კაც-მა ააშენა, ააშენოს), III სერიის ფორმებით გადმოცემული 'ზმნა-შემასმენელი კი მასთან სინტაქსურ წყვილში მყოფ ქვემდებარეს მიცემითი ბრუნვის ფორმით 'შეიწყობს (კაც-ს აუშენებია, აუშენებინა, აუშენებინოს).

ქვემდებარე გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნით
გადმოცემულ შემასმენელთან

I სერია



მასპინძელ-ი	{	უქმართავს	}	წვეულებას სტუმარს
		უქმართავდა		
		უქმართავდეს		
		გაუქმართავს		
		გაუქმართავდა		
		გაუქმართავდეს		

II სერია

მასპინძელ-მა	{	გამართა	}	წვეულება
		გამართოს		

მასპინძელ-მა	{	გაუმართა	}	წვეულება სტუმარს
		გაუმართოს		

III სერია

მასპინძელ-ს	{	გაუქმართავს	}	წვეულება
		გაემართა		
		გაემართოს		

მასპინძელ-ს	{	გაუქმართავს	}	წვეულება სტუმრისთვის
		გაემართა		
		გაემართოს		

შენიშვნა: როგორც ვხედავთ, ქვემდებარე სამგვარ კონსტრუქციას ქმნის: სახელობითბრუნვიანს (ნომინატიურს), მოთხრობითბრუნვიანსა (ერგატიურს) და შიკვითბრუნვიანს (დატიურს).

**ჰამდაბარა გარდაუვალი ერთ- და ორპირიანი ზმნით
გადმოცემულ შამასმენელთან**

როგორც ცნობილია, გარდაუვალი 'ზმნა' შესაძლოა იყოს ვნებითი ან სა'შუალი გვარისა. თუ ქვემდებარე დაკავშირებულა ვნებითი ან სა'შუალ-ვნებითი გვარის ზმნით გადმოცემულ 'შემასმენელთან, ის ბრუნვაეცვლელია - ყველა 'შემთხვევა'ში სახელობით ბრუნვაში ღვას:

1 ს ა რ ი ა

გმირ-ი	{	ი'სრღება
		ი'სრღებოდა
		ი'სრღებოდეს
		გაი'სრღება
		გაი'სრღებოდა
		გაი'სრღებოდეს

გმირ-ი	{	ე'სრღება	}	მამუელს
		ე'სრღებოდა		
		ე'სრღებოდეს		
		გაე'სრღება		
		გაე'სრღებოდა		
		გაე'სრღებოდეს		

II სერია

გმირ-ი	$\left\{ \begin{array}{l} \text{გაი'სარდა} \\ \text{გაი'სარდოს} \end{array} \right.$	
გმირ-ი		$\left. \begin{array}{l} \text{გაე'სარდა} \\ \text{გაე'სარდოს} \end{array} \right\} \text{მამულის}$

III სერია

გმირ-ი	$\left\{ \begin{array}{l} \text{გა'სრდილა} \\ \text{გა'სრდილიყო} \\ \text{გა'სრდილიყოს} \end{array} \right.$	
გმირ-ი		$\left. \begin{array}{l} \text{გა'სრდია} \\ \text{გა'სრდიოდა} \\ \text{გა'სრდოდეს} \end{array} \right\} \text{მამულის}$

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ქვემდებარე ერთ კონსტრუქციას ქმნის - სახელობითბრუნვიანს.

მაგრამ, თუ ქვემდებარე სინტაქსურ წყვილს **საშუალოქმედებითი** გვარის სმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქმნის, იგი **ბრუნვაცვალებადი** იქნება: I სერიის ფორმებთან - **სახელობითში**, II სერიის ფორმებთან - **მოთხრობითში**, III სერიის ფორმებთან კი - **მიცემითში** (როგორც ეს გარდამავალი სმნით გადმოცემული შემასმენლის შემთხვევაში გვქონდა):

I სარია

გმირ-ი {
ღარაჯობს
ღარაჯობდა
ღარაჯობდეს
იღარაჯებს
იღარაჯებდა
იღარაჯებდეს

გმირ-ი {
სღარაჯობს
სღარაჯობდა
სღარაჯობდეს
უღარაჯებს
უღარაჯებდა
უღარაჯებდეს } მამულს

II სარია

გმირ-მა {
იღარაჯა
იღარაჯოს

გმირ-მა {
უღარაჯა
უღარაჯოს } მამულს

III სარია

გმირ-ს {
უღარაჯია
ეღარაჯა
ეღარაჯოს

გპირ-ს { უღარაჯია
 ეღარაჯა
 ეღარაჯოს } მაძქელისათვის

შენიშვნა: ამ 'შემთხვევა'ში ქვემდებარემ სამგვარი კონსტრუქცია შექმნა. სახელობითბრუნვიანი, მოთხრობითბრუნვიანი და მიცემითბრუნვიანი, როგორიც ჰქონდა მას გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ურთიერთობის დროს.

ქვემდებარე I და II პირის ფორმებთან

I და II პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ), როგორც ცნობილია, ფორმალურად უბრუნველია. ერთგვარ გამოწვევის წარმოადგენს მე, რომელსაც ნათესაობით ბრუნვაში ჩემ (+თანდებული) ენაცვლება; მაგრამ, ვინაიდან ქვემდებარეს შესაძლოა ჰქონდეს სამი ბრუნვა - სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი - და ამ ბრუნვებში კი მოცემული ნაცვალსახელები ფორმას არ იცვლიან, 'შეიძლება ითქვას, რომ, როგორც არ უნდა იყოს ზმნა-შემასმენელი გარდამავლობისა თუ გვარის მიხედვით, ან რომელი სერიის ფორმასაც არ უნდა წარმოადგენდეს, ამას ფორმალურად არა აქვს არავითარი მნიშვნელობა: მასთან ქვემდებარედ შეწყობილი მე, შენ, ჩვენ თუ თქვენ ნაცვალსახელი ყველგან ერთი და იმავე ფორმით იქნება წარმოადგენილი.

I სკრია

	მოქმედებითი	ვნებითი	საშუაღ-მოქმედებითი
მე (ჩვენ)	ვზრდი(თ)	ვიზრდები(თ)	ვცხოვრობ(თ)
	ვზრდიდი(თ)	ვიზრდებოდი(თ)	ვცხოვრობდი(თ)
	ვზრდიდე(თ)	ვიზრდებოდე(თ)	ვცხოვრობდე(თ)
	გავზრდი(თ)	გავიზრდები(თ)	ვიცხოვრებ(თ)
	გავზრდიდი(თ)	გავიზრდებოდი(თ)	ვიცხოვრებდი(თ)
	გავზრდიდე(თ)	გავიზრდებოდე(თ)	ვიცხოვრებდე(თ)

II სკრია

მე (ჩვენ)	გავზარდე(თ)	გავიზარდე(თ)	ვიცხოვრე(თ)
	გავზარდო(თ)	გავიზარდო(თ)	ვიცხოვრო(თ)

III სკრია

	მოქმედებითი	ვნებითი
მე (ჩვენ)	გამიზარდა (გაგვიზარდა)	გავზარდილვარ(თ)
	გამეზარდა (გაგვეზარდა)	გავზარდილიყავი(თ)
	გამეზარდოს (გაგვეზარდოს)	გავზარდილიყო(თ)

საშუაღ-მოქმედებითი

მიცხოვრია (გვიცხოვრია)
 მეცხოვრა (გვეცხოვრა)
 მეცხოვროს (გვეცხოვროს)

I სერია

	მოქმედებითი	ვნებითი	საშუალ-მოქმედებითი
შენ(თქვენ)	ზრდი(თ)	იზრდები(თ)	ცხოვრობ(თ)
	ზრდიდი(თ)	იზრდებოდი(თ)	ცხოვრობდი(თ)
	ზრდიდე(თ)	იზრდებოდე(თ)	ცხოვრობდე(თ)
	გაზრდი(თ)	გაიზრდები(თ)	იცხოვრებ(თ)
	გაზრდიდი(თ)	გაიზრდებოდი(თ)	იცხოვრებდი(თ)
	გაზრდიდე(თ)	გაიზრდებოდე(თ)	იცხოვრებდე(თ)

II სერია

შენ(თქვენ)	გაზარდე(თ)	გაიზარდე(თ)	იცხოვრე(თ)
	გაზარდო(თ)	გაიზარდო(თ)	იცხოვრო(თ)

III სერია

	მოქმედებითი	ვნებითი
შენ(თქვენ)	გაგიზრდია(თ)	გაზრდილხარ(თ)
	გაგეზარდა(თ)	გაზრდილიყავი(თ)
	გაგეზარდოს (გაგეზარდოთ)	გაზრდილიყო(თ)

საშუალ-მოქმედებითი

გიცხოვრია(თ)
გეცხოვრა(თ)
გეცხოვროს (გეცხოვროთ)

როგორც ვხედავთ, ქვეყნების ფუნქციით გამოიყენებული I და II პირის ნაცვალსახელები ნებისმიერ ზმნა-შემასმენელთან შეწყობისას ფორმას არ იცვლიან არც მხოლოდობით და არც მრავლობითში.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ქვეყნებარეს აქვს განუხასდვრელბრუნვიანი (ანუ ინდეფინიტური) კონსტრუქცია.

იმის დასადგენად, თუ რომელ ბრუნვაში იგულისხმება ფორმალურად უცვლელი ნაცვალსახელი, ცხადია, ჩვეულებისამებრ, შენაცვლების ხერხს გამოვიყენებთ:

მე (აღამიან-ი) ვსრდი, ვისრდები, ვცხოვრობ...

ჩვენ (აღამიან-ებ-ი) ვსრდით, ვისრდებით, ვცხოვრობთ...

მე (აღამიან-ი) გავიზარდე, მაგრამ: მე (აღამიან-მა) გავზარდე, ვიცხოვრე...

შენ (აღამიან-ი) გაიზარდე, მაგრამ: შენ (აღამიან-მა) გაიზარდე, იცხოვრე...

მე (აღამიან-ს) გამიზრდია, მიცხოვრია

შენ (აღამიან-ს) გაგიზრდია, გიცხოვრია, მაგრამ:

შენ (აღამიან-ი) გასრდილხარ და ა.შ.

შესაძლოა I ან II პირის ნაცვალსახელთან ერთად წინადადებაში ბრუნვიანი სიტყვაც იყოს წარმოდგენილი (მე და დედაჩემი... შენ და მამაშენი, ჩვენ და მეზობლები... თქვენ და სტუმრები...), ამ შემთხვევაში ნაცვალსახელები, ცხადია, მაინც ფორმაუცვლელნი იქნებიან, მათთან ერთად წარმოდგენილი ბრუნვიანი სიტყვები კი ისე შეეწყობიან ზმნა-შემასმენელს, როგორც ამას გარდამავლობა გვარი და სერიები განაპირობებს: მე და დედაჩემ-ი ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მე და დედაჩემ-მა სოფლად ცხოვრება გადავწყვიტეთ, მე და დედაჩემ-ს ხშირად გვიოცნებია და ა.შ.

ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან

II პირის ბრძანებითის ფორმასთან ქვემდებარედ ნაფარაუდუვი **შენ, თქვენ** ნაცვალსახელები წინადადებაში, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე წარმოღვენილი (თუ საგანგებო ხაზგასმა არ ხდება): **წადი! მოდი! დაწერეთ!** (მდრ.: **შენ წადი! შენ მოდი! თქვენ დაწერეთ!**). სამაგიეროდ, ბრძანებითის ფორმასთან ხშირად იხმარება მიმართვა - წოდებით ბრუნვაში მდგარი სიტყვა ან სიტყვათშენაერთი (ანუ ის, ვინც ან რამაც უნდა შეასრულოს მოქმელის ნება-სურვილი): **არსენ, წადი!** ჩემო კირილე, **მოდი აქ!** კესო, **ნათლიდედას ჩაი მოართვი!** (ილია); **ბიჭებო! დასცხეთ, დაჰკარით მაგათ!**

უნდა გვახსოვდეს, რომ ქვემდებარეა არა წოდებით ბრუნვაში მდგარი სიტყვა, არამედ ის ნაცვალსახელი, რომელიც მოცემულ **ზმნა-შემასმენელს** ნაგულისხმევ სუბიექტურ პირად შეეწყობა: **არსენ, (შენ) წადი!** კესო, ... **(შენ) მოართვი!** ბიჭებო, **(თქვენ) დასცხეთ, დაჰკარით!**...

იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაზეც, როდესაც **ზმნა-შემასმენელი I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას წარმოადგენს**: **ხალხო, დაფიქრდეთ** და ისე **გადაწყვიტო!** ამ წინადადებაში ქვემდებარეა არა **ხალხო**, არამედ - **ჩვენ**.

ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა (შათანხმებისა და მართვის საითხები)

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ რიცხვში (რამდენადაც რიცხვის კატეგორიაა ის საერთო, რომელიც სახელსაც აქვს და ზმნასაც). ქვემდებარე ითანხმებს ან ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. როგორია ვითარება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ამ თვალსაზრისით?

1. თუ ქვემდებარე მხოლოდით რიცხვშია, შემასმენელიც ცხადია, მხოლოდით რიცხვში დგას: **კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო** (ანდ.):

2. თუ ქვემდებარე კრებითი სახელია ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყველა**, შემასმენელი მხოლოდით რიცხვში დაისმის: **ჯარი და ბრუნდა დაღონებული** (ა. ყაზბ.); **ხალხიც ფუას აძლევდა მას** (ი. გოგებ.); ეს **ყველამ** კარგად იცოდა (ო. იოსელი.); მაგრამ: **ყველანი** გავიდნენ ბაქში (ა. ყაზბ.).

3. თუ ქვემდებარე კრებითი სახელია, მაგრამ მასთან შეწყობილი შემასმენელი რიცხვში მონაცვლე სმნაა, შემასმენელი მხოლოდით რიცხვში დაისმის, მაგრამ იგი იყენებს მონაცვლე მრავლობითის ფუძეს: **კალოსედ მყოფი ხალხი წამოცვივდა** ფეხსედ (ალ. ყაზბ.). **შდრ.: ადამიანები წამოცვივდნენ; სოფლის ახალგაზრდობაც იქვე ისხდა. შდრ.: ახალგაზრდები ისხდნენ...**

4. თუ ქვემდებარეს ახლავეს მსაზღვრელი, რომელიც ერთსე მეტი რაოდენობის გამომხატველი სიტყვაა, ქვემდებარეც მხოლოდითში დგას და შემასმენელიც: **დარბაზში სამი ჭალი ეკიდა** (გ. ფანჯ.); **ბერი ყორანი ჩაეშვა ხევში** (ო. ჭილა.); **რამდენიმე წუთმა** მძიმე სიჩუმეში გაიარა (ა. ყაზბ.):

5. თუ ქვემდებარედ მხოლოდით რიცხვში მდგარი **დაძმა** ტიპის კომპოზიცია, შემასმენელი მას მხოლოდით რიცხვში შეეწყობა: **ერთ სოფელში დარიბი დაძმა ცხოვრობდა; ცოლქმარი ერთმანეთს შეჰყურებდა; ქალ-ვაჟი ერთად ისრდებოდა; მოხუცებული დედ-მამა ტკბებოდა** შვილების ბედნიერებით; **ტყე-მთა-ბარი, ბაღ-ბუჩქნარი** თოვლის ფიფქით **შემოსილა** (ი. გრიშ.).

შენიშვნა: ამგვარ კომპოზიციებთან შემასმენელი შეიძლება მრავლობითის ფორმითაც შეგვხვდეს: **დედა-შვილმა** შენიშნეს ეს საკვირველი ყოფა სტუმრისა (ვ. ბარნ.); **დატრიალდნენ** ორივე **ცოლ-ქმარი** (დ. კლდ.)...

მხოლოდით რიცხვში დასმულ და-ძმა ტიპის რთული სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი მხოლოდით რიცხვში უნდა შეეუწყოს. (ლ. კვაჭაძე).

6. ეტიან მრავლობითში მღგარი სუელიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: ამხანაგებმა ნამდვილი ამხანაგობა იცოღნენ (ი. გრიშ.); ფრინველები ჰაერში ირეოღნენ (ვაჟა); ბაღში შულები დაკუნტრეშებღნენ (ვაჟა);

7. თე ქვემდებარე უსულო საგნის აღმნიშვნელია და ეტიან მრავლობითში ღგას, შემასმენელს ის, ჩეუულებრივ, მხოლოდით რიცხვში შეიწყობს: ცას შავი ღრუბლები გადაეკრა (ვაჟა); ღედის ცრემლები შენგან ღარგულ ევავილებს ნამავს (მ. ლებან.); მარამ, თე შემასმენელი გადმოცემულია მოქმედებითი ან საშუალ-მოქმედებითი გვარის შმნით, ან თე უსულო საგანი გაპროენებულია (სუელიერის თვისება აქვს მინიჭებული), ეტიან მრავლობითში მღგარმა ქვემდებარემ შეიძლება შეითანხმოს რიცხვში შემასმენელი: ელვარე ხმლები ნაპერწყლებს ყრიან (ა. კალანდ.); ცაზე ვარსკვლავები აკიაფღნენ (აკაკი); ფიჭვის ხეებმა თვალთ აიფარეს მწვანე ხელები (ა. კალანდ.);

8. თე სუელიერი საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარე ეტიან მრავლობითში ღგას და შემასმენლად სუბიექტის რიცხვში მონაცვლე შმნა აქვს, შემასმენელს რიცხვში მონაცვლე ფიქტის მრავლობითის ფორმით შეიწყობს: ფრინველები სიცილით იხოცებოღნენ (ვაჟა); მეურმეები... ურმების ქვეშეყარნენ (ილია);

9. თე ქვემდებარე ნართანან მრავლობითშია, შემასმენელიც მას მრავლობით რიცხვში შეეწყობა იმის მიუხედავად, ქვემდებარე სუელიერი საგნის სახელითაა გადმოცემული თე უსულოთი: წერთიც გამოჩნდებიან, ღამამშვიდებნი ცისანი (ვაჟა); ფრინველთ გაიგეს მელიას გამარჯვება (ვაჟა); ჰფიქრობენ შთანი სიფლისანი (ვაჟა);

10. თუ ქვემდებარედ I ან II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებია, შექმასმენელსაც, რა თქმა უნდა, მრავლობითის ფორმა აქვს: ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით (ო. იოსელი.); ახლა თქვენ იანგარიშეთ (ი. გოგებ.).

რა ვითარება გვაქვს რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე სინტაქსურ წყვილს ქმნის შედგენილ შემასმენელთან?

თუ ქვემდებარე უბიან მრავლობითში დგას, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიცა და მეშველი ზმნაც (ორივე) შეიძლება მხოლოდით რიცხვშიც შეგვეხედეს (ეს სახელები მუხის ბოძებზე იყო შეყენებული) და შეიძლება - მრავლობითშიც (ეს კეთილშობილი მცენარეები ჩვენი მეგობრები არიან).

თუ ქვემდებარე ნართანან მრავლობითში დგას, შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი შეიძლება იდგეს მრავლობითში (ისინი დადლილები იქნებიან), ან შესაძლოა სახელადი ნაწილი მხოლოდითში იდგეს, მეშველი ზმნა კი - მრავლობითში (ისინი გაოგნებული ყოფილან).

როგორია ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის მართვის თვალსაზრისით?

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ყოველთვის არის მართვა, მაგრამ ეს მართვა ხან ცალმხრივია, ხანაც - საურთიერთო.

რაზეა ეს დამოკიდებული?

ჩვენ ვიცით, რომ ზმნაში წარმოდგენილია სუბიექტური პირის ნიშანი, ეს კი ნიშნავს, რომ სუბიექტი ანუ ქვემდებარე აუცილებლად მართავს შემასმენელს პირში (მზე ათობს-ს, მე გათობს); შემასმენელი, თუ ის გადმოცემულია გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნით, ან - გარდაქვადლი, მაგრამ სა-

შუალ-მოქმედებითი. ქვემდებარეს უცვლის ბრუნვებს სერიების მიხედვით, ანუ მართავს მას ბრუნვაში: I სერიის ფორმებთან ქვემდებარეს სახელობითი ბრუნვა სჭირდება (აშენებს, ცხოვრობს ადამიან-ი), II სერიის ფორმებთან - მოთხრობითი (ააშენა, იცხოვრა ადამიან-მა), III სერიის ფორმებთან კი - მიცემითი (აუაშენებია, უცხოვრია ადამიან-ს). ამ შემთხვევაში მართვა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, რა თქმა უნდა, საერთო ერთობა იქნება.

თუ შემასმენლად გარდაუვალი ვნებით ან საშუალ-ვნებით გვარის ზმნაა, ის ვერ შეუცვლის ქვემდებარეს ბრუნვას, ქვემდებარე სულ სახელობით ბრუნვაში რჩება (ილაება ადამიან-ი, დაილაა ადამიან-ი, დააღლია ადამიან-ი) და მართვა ცალმხრივი იქნება.

მაშასადამე, თუ შემასმენელი გარდამავალი მოქმედებითი გვარის ან გარდაუვალი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნაა, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის საურთიერთო მართვაა: ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში; მაგრამ, თუ შემასმენლად გარდაუვალი ვნებით ან საშუალ-ვნებით გვარის ზმნაა, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის მართვა ცალმხრივია: ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, შემასმენელი კი ვერ მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში.

შენიშვნა: როდესაც ქვემდებარედ I ან II პირის ნაცვალსახელი გვაქვს (რომლებიც ფორმალურად ბრუნვაუცვლელნი არიან), მათი ურთიერთობა შემასმენელთან მისინეულია „პოტენციურ მართვად კოორდინაციაში“ (ა. დავითიანი).

მოკლედ შევაჯამოთ ის, რაც ითქვა ქვემდებარესთან დაკავშირებით.

ქვემდებარე წინადადების მთავარი წევრია, ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სიტყვა.

ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს უპირატესად არსებითი სახელით (ბუნება იღვიძებს). ნაცვალსახელით (ის აქ არის) ან ნებისმიერი შეკრუვების ნაწილით, თუ ის არსებითი სახელის მნიშვნელობით იქნება გამოქნებული (უფროსმა დამირეკა; ორნი შემოვიდნენ; შეკითხვამ დამაბნია; წუ აკრძალვითი ნაწილაკია; ხოლმე მრავალგისობას გვიხვენებს და ა.შ.).

ქვემდებარე ქართულში შეიძლება იდგეს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში (ინდოევროპული ენების ქვემდებარეს მხოლოდ ერთი ბრუნვა აქვს - სახელობითი). ქვემდებარის ბრუნვას განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელი. კერძოდ, თუ შემასმენლად გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა გვაქვს, ქვემდებარეს I სერიის ფორმებთან სახელობითი ბრუნვა ექნება (საზოგადოება ქმნის, ქმნიდა, ქმნიდეს, შექმნის, შექმნიდა, შექმნიდეს), II სერიის ფორმებთან - მოთხრობითი (საზოგადოება-მ შექმნა, შექმნას), III სერიის ფორმებთან კი - მიცემითი (საზოგადოება-ს შეუქმნია, შეექმნა, შეექმნას).

ასეთივე ვითარება გვაქვს მაშინაც, როდესაც ზმნა-შემასმენელი გარდაუვალი, მაგრამ საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნაა. ამ შემთხვევაშიც ზმნის I სერიის ფორმებთან ქვემდებარე სახელობითშია (საზოგადოება არსებობს, არსებობდა, არსებობდეს, იარსებებს, იარსებებდა, იარსებებდეს), II სერიის ფორმებთან - მოთხრობითში (საზოგადოება-მ იარსება, იარსებოს), III სერიის ფორმებთან - მიცემითში (საზოგადოება-ს ეარსებია, ეარსება, ეარსებოს).

როდესაც შემასმენლად გარდაუვალი ვნებითი ან საშუალ-ვნებითი გვარის ზმნა გვაქვს, ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია (საზოგადოება იცვლება, იცვლებოდა, იცვლებოდეს... საზოგადოება შეიცვალა, შეიცვალოს; საზოგადოება შეცვლილა, შეცვლილიყო, შეცვლილიყოს).

როდესაც ქვემდებარედ I ან II პირის ნაცვალსახელებია, ბრუნვა ქვემდებარისა არ ხანს (რადგანაც აღნიშნული ნაცვალსახელები - მე, შენ, ჩვენ, თქვენ - ფორმალურად უბრუნველია). ამიტომ, როგორც უნდა იყოს სმნა გარდამავლობისა თუ სერიების მიხედვით... ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქვემდებარისათვის, რადგანაც ის ყოველგვარ ფორმასთან ერთი და იმავე სახისა იქნება“ (ა. შანიძე).

როდესაც შემასმენლად ბრძანებითის ფორმა გვაქვს, მისი ქვემდებარე არის არა წოდებით ბრუნვაში მდგარი სახელი (მიმართვა), არამედ - ის ნაცვალსახელი, რომელიც ბრძანებითის ფორმას სუბიექტურ პირად ეწეობა: არსენ, მიკატრონე! (მ. ჯავახ.); ქვემდებარეა შენ (მიკატრონე შენ(=S) მე); კბილი გაუსვით მაგას, კბილი! (ვაჟა); ქვემდებარეა თქვენ (გაუსვით თქვენ(=S) მას ის).

როგორია ქვემდებარე სინტაქსური ძალის თვალსაზრისით?

მრავლობით რიცხვში მდგარი ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

ა) თუ ის სულიერია (მრავლობითი ებიანიც შეიძლება იყოს და ნართანინიც):

უფროსის ბრძანებას დაემორჩილნენ მხედარნი (ვაჟა); ქალები შინაურ ამბებს მიუბრუნდნენ (კ. გამს.);

ბ) თუ ქვემდებარე უსულო საგნის სახელითაა გადმოცემული, მაგრამ გაპიროვნებულია (მიწერილი აქვს სულიერის თვისება): მთელი დამე შეკბლი არ გაუსხსნიათ მთებს (ო. იოსელი.);

გ) თუ ქვემდებარე უსულო საგანს წარმოადგენს, მაგრამ ნართანიან მრავლობითში დგას: ვარდთ (=ვარდებს) შემოუნანავთ წვეთები წვიმის (ა. კალანდ.).

ქვემდებარე ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

ა) თუ ებიან მრავლობითში მდგარ ქვემდებარედ უსულო საგნის სახელია: იქით ტირიფები იდგა (ვაჟა);

ბ) თუ ქვემდებარედ რაოდენობითი რიცხვითი სახელია: **ორივემ** თავისი საკადრისი პასუხი მიიღო (აკაკი):

გ) თუ ქვემდებარედ ნაკვალასხეულება - **ყველა**. **რამდენიმე...**: **ყველამ** ერთხმად დაიძახა (ვაჟა); **რამდენიმემ** უკან მოიხედა ...

დ) თუ ქვემდებარედ ორ(ან მეტი)მნიშვნელობიანი კომპოზიცია: **მთა-ბარი** მწვანით შეიმოსა: **ღამა** გზას გაუდგა ...

ე) თუ ქვემდებარეს მსახდურულად აქვს ერთივე მეტი რაოდენობის გამომხატველი სიტყვა, ქვემდებარეც მხოლოდით რიცხვში დგას და შემასმენელიც: **ოცი** **ოღე** ... **ბიჭი** **გასულ** **იყო** **განსედ** (ა. ყაიხბ); **რამდენიმე** **აღამიანი** **მორიღებით** **იდგა**; **ბევრმა** **ბედვამ** **გაუბეღაობა** **იცისო** (ანდ.);

ვ) თუ ქვემდებარედ კრებითი სახელია: **ქარაგანი** **შორს** **გზას** **გაუდგა** (ი. გოგებ.); **მოსახლეობა** **მარჯულას** **სამზადისს** **შესდგომოდა** (კ. გამს.); მაგრამ, თუ ამგვარ ქვემდებარეს შემასმენლად რიცხვში მონაცვლე უმნა აქვს, იგი მონაცვლე მრავლობითის ფუძით უნდა შევეუქვით, ოღონდ - მხოლოდითი რიცხვის ფორმით: **ბრბო** **დარბასში** **შეცვივდა** (შიდრ.: **აღამიანები** **შეცვივნენ**).

თუ **ებიან** მრავლობითში მღგარი ქვემდებარე სინტაქსურ წყვილს ქმნის შედგენილ შემასმენელთან, შედგენილი შემასმენლის ორივე კომპონენტი შეიძლება იდგეს მრავლობითშიც (ქვემდებარე სუკლიერი საგნის სახელითაა გადმოცემული: **გონიერი ბაღლები** **ჩვენი** **ერთგული** **დამცველები** **არიან**) და მხოლოდითშიც (ქვემდებარედ უსულო საგნის სახელია: **განცხადებები** **კედლებზე** **იყო** **გაკრული**).

ნართანიან მრავლობითში მღგარი ქვემდებარე შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილს. ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში ითხოვს: **ბმანი** **განუყრელნი** **არიან**, მაგრამ შესაძლოა სახელადი ნაწილი მხოლოდითშიც იდგეს: **ისინი** **აღტა-**

ცუბუკლი არიან. უფრო სასურველი (და მართებულის) სახელადი ნაწილის მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენაა (აღტაცებულნი არიან).

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ყოველთვის არის მართვა, ცალმხრივი ან საურთიერთო. როდესაც ქვემდებარე სინტაგმას ქმნის გარდამავალი მოქმედებითი გვარის ან გარდაუვალი საშუალ-მოქმედებითი გვარის სმნით გადმოცემულ შემასმენელთან, მართვა საურთიერთია: ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში (ბუნება გაიღვიძებ-ს, მე გა-ფიღვიძებ; გაიღვიძებს ბუნება, გაიღვიძა ბუნება-მ);

როდესაც ქვემდებარე უკავშირდება გარდაუვალი ვნებითი ან საშუალ-ვნებითი გვარის სმნით გადმოცემულ შემასმენელს, მართვა ცალმხრივია; ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, მაგრამ შემასმენელი ვერ მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში (თოვლი ღნებ-ა, შენ ღნები; ღნება თოვლ-ი, ღაღნა თოვლ-ი).

ღამატებანი

წინადალების წერი, რომელსაც ღამატება ჰქვია, თავისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. არის ორი ჯგუფი: ღამატება-ობიექტები და უბრალო ღამატებანი“ (ა. შანიძე).

ღამატება-ობიექტები, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, სმნის ობიექტურ პირებთან შეწყობილი სახელებია და, ვინაიდან ობიექტური პირი ორგვარია, პირდაპირი და ირიბი, ღამატება-ობიექტიც, ცხადია, ორი სახისა იქნება: პირდაპირი ღამატება და ირიბი ღამატება; უბრალო ღამატება კი ისეთი ღამატებაა, რამელიც არაა შეწყობილი სმნის ობიექტურ პირთან.

შევისწავლით ისინი ცალ-ცალკე.

პირდაპირი დამატება

პირდაპირი დამატება წინადადების მთავარი წევრია, პირდაპირობიექტური პირის ფარდი სიტყვა. რადგან პირდაპირი ობიექტი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გარდამავალ სმნას, პირდაპირი დამატებაც მხოლოდ გარდამავალი სმნით გადმოცემულ შემასმენლოთან გვექნება. მაგ.:

მზაგანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო (ანდ.). შემასმენლოთან - ვერ დაიჭერსო - ორი პირია დაკავშირებული: ვერ დაიჭერს ის (S=კატა) მას (O=თაგვს). ეს უკანასკნელი პირდაპირი ობიექტია. რადგან ბრუნვაცვალებაია: ვერ დაიჭერს ის მას (კატას), ვერ დაიჭირა მან ის (კატა). ამიტომ ამ წინადადებაში სამი მთავარი წევრი გვექნება: თავად შემასმენელი (მარტივი შემასმენელი) ვერ დაიჭერსო, ქვემდებარე - კატა და პირდაპირი დამატება - თაგვს.

მზემ მიდამოს მშენიერი გაზაფხული მოაგონა (გ. ტაბ.). ამ წინადადებაში მარტივ შემასმენლოთან (მოაგონა) სამი პირია დაკავშირებული: მოაგონა მან (S=მზემ=ქვემდებარე) მას ირ. O = მიდამოს) ის (პირდ. O=გაზაფხული). რადგან გაზაფხული პირდაპირობიექტური პირის ფარდი სიტყვაა, ამიტომ, ცხადია, ის პირდაპირი დამატება იქნება.

რით შეიძლება გადმოიცეს პირდაპირი დამატება?

ქვემდებარის მსგავსად, პირდაპირი დამატება შეიძლება გადმოიცეს არსებითი სახელით (არც მწვადი და ის წვა და არც შამფურიო: ანდ.), სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელით (შენ მე წამახალისე, მე კილევ შენ წაგახალისე: ილია: ამას და ამგვარს... მეტყოდა ჩემი მეგობარი: ვ.ბარნ.; ...ვერაფერს გავიგონებ... ვერაფის რას გავაგონებ: ვაჟა: არჩილმა... ყველაფერი თავის დას უამბო: ილია), საწყისით (კაჭკაჭებმა... დაშლა დაიწეს: თ. რაიკ.) მიმდებარებით (...სარგებელი ვერა ვნახე: ანდ.), და, საერთოდ,



ნებისმიერი შეცვლას ნაწილით, თუ ის ხახელის მნიშვნელობით იქნება გამოყენებული.

პირდაპირი დამატების ბრუნვა

რადგან პირდაპირი დამატება უმნის პირდაპირობიექტური პირის ფარდის ხიჯევა, ე.ი. ის ბრუნვაცვალებადა და იგივე ბრუნვები აქვს, რაც პირდაპირ ობიექტს: **სახელობითი და მიცემითი**. კერძოდ, თუ უმნა-შემასმენელი I სერიის ფორმაა, ის პირდაპირ დამატებას მიცემითი ბრუნვით შეიწკობს, თუ II ან III სერიისა - სახელობითით.

პირდაპირი დამატების ბრუნვაცვალებადა კარგად ჩანს III პირის ფორმასთან. ხანიმუშოდ წარმოვადგენთ პირდაპირ დამატებას ორიპირიანი და სამპირიანი გარდამავალი უმნით გამოხატულ შემასმენელთან.

პირდაპირი დამატება ორიპირიანი გარდამავალი უმნით ბადმოსამულ მამასმენელთან



III სერია

მამა-ს { შეესარულებია
შეესარულებინა
შეესარულებინოს } დანაპირებ-ი

პირდაპირი დამატება სამკირიანი გარდამავალი ზმნით
გადმოცემულ შამასთან

I სერია

მამა { უსრულებს
უსრულებდა
უსრულებდეს
შეესრულებს
შეესრულებდა
შეესრულებდეს } დანაპირებ-ს [შვილს]

II სერია

მამა-მ { შეესრულა
შეესრულოს } დანაპირებ-ი [შვილს]

III სერია

მამა-ს { შეესარულებია
შეესარულებინა
შეესარულებინოს } დანაპირებ-ი [შვილისთვის]

როგორც ვხედავთ, ორპირიანი გარდაამავალი 'სმნითაა გამოს-
ხატული 'შემასმენელი თუ სამპირიანი გარდაამავალით. პირდა-
პირი დამატების თვალსა'ხრისით სხვაობა არ არის.

როდესაც პირდაპირი დამატების მნიშვნელობით I და II
პირის ნაცვალსახელებია გამოყენებული, ისინი ფორმალურად
უცვლელნი არიან. ბრუნვის დაღვენა ადვილად მოხერხდება,
თუ. წესისამებრ, მათ არსებითი სახელით 'შევანაცვლებთ. მაგ.:
'შენ მე წამახალისე, მე კიდევ 'შენ წაგახალისებ (ილია).

წამახალისე 'შენ (S=ადამიან-მა=ქვემდებარე) მე (პირდ.
O=ბავშვ-ი=პ. დამატება), ე.ი. ქვემდებარე 'შენ მოთხრობით ბრუ-
ნვაში იგულისხმება, პირდ. დამატება მე - სახელობითში.

წაგახალისებ მე (S=ადამიან-ი) 'შენ (პ. O=ბავშვ-ის=პ. დამატე-
ბა).

ამჯერად ქვემდებარე მე სახელობით ბრუნვაშია, პირდ.
დამატება 'შენ - მიცემითში.

ქვემდებარე და დამატება O C O S და უ ც ყ O S ზმნაბთნა

ჩვენ ვიცით, რომ იცის და უწყის 'სმნებს ახალ ქართულში
ახლანდელი დროის მნიშვნელობა აქვთ და I სერიის აწმყოს
მწკრივის ფორმებს წარმოადგენენ. ეს 'სმნები იმით იქცევენ
ქერადლებას, რომ სუბიექტურ პირს, ქვემდებარეს, მოთხრობითი
ბრუნვის ფორმით 'შეიწყობენ, პირდაპირობიექტურს - პირდაპირ
დამატებას - სახელობითით, ანუ I სერიაში 'შედიან და კონ-
სტურქცია კი II სერიისა აქვთ: იცის მან (S) ის (პ. O); უწყის მან
(S) ის (პ. O). ჩვენ ამის მი'ხეიცი ვიცით: ორივე 'ზმნა წარმო'მო-
ბით II სერიის II ხოლმეობითის მწკრივის ფორმაა. ეს მწკრივე-
ბი I სერიაში არიან გადასუელი, მაგრამ 'შენარჩუნებული აქვთ
ის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის გარდაამავალი

'სმნა II სერიაში (მდრ.: ააშენა მან ის: მოაწყო მან ის, დადგა მას ის და ა.შ.).

იცის და უწყის სმნებმა (აწყოდ გააწრების შემდეგ) გაიხინეს უწვევრალია და აწყოთ კავშირებითის ფორმებიც (იცოდა, იცოდეს; უწყოდა, უწყოდეს). II სერიის ფორმები ორივე სმნას აკლია. მყოფადის მწკრივში იცის გარდამავალმა სმნამ შეინაცვლა გარდაკვალა ტიპის ეცოდინება, ეცოდინებოდა, ეცოდინებოდეს ფორმები და III სერიაც ამის შესაბამისად აწარმოვა: სცოდნია, სცოდნოდა, სცოდნოდეს (უწყის სმნას მონაცვლე ფორმები არ გააჩნია). მიუხედავად იმისა, რომ იცი სმნის აწყოთ წრისა და დანარჩენი შენაცვლებული ფორმები „სხვადასხვაგვარად აგებული ფორმებია, გრამატიკული შინაარსით ისინი ერთნია და ერთმანეთის მაგივრობას ეწვეიან მწკრივებში“ (ა. შანიძე). ამიტომ ყველა შენაცვლებულ ფორმაში (ეცოდინება მას ის, ეცოდინებოდა მას ის, ეცოდინებოდეს მას ის; სცოდნია მას ის, სცოდნოდა მას ის, სცოდნოდეს მას ის) ქვემდებარედ ითვლება მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელი (მას), ხოლო სახელობით ბრუნვაში მდგარს (ის) პირდაპირი დამატების მნიშვნელობა აქვს (ა. შანიძე). თუმცა გრამატიკულად მას ირიბი ობიექტია, ხოლო ის კი - სუბიექტი, რადგანაც სმნა გარდაკვალა, ვნებითი გვარისა.

I სერია:

	აწყოთ წრე	ქვემდებარე	პირდაპირი დამატება
{	იცის/უწყის იცოდა/უწყოდა იცოდეს/უწყოდეს	}	მან (აღამიან-მა) ის (სიმაროლე)
	მყოფადის წრე		
{	ეცოდინება ეცოდინებოდა ეცოდინებოდეს	}	მას (აღამიან-ს) ის (სიმაროლე)

III სერია: { სკოღნია } მას (აღამიან-ს) ის (სიმართლე)
 { სკოღნიჯდა }
 { სკოღნიჯდეს }

ამრიგად, იცის და უწყის 'სმნები I სერიის აწმქოს წრის მწკრივებში ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობენ, პირდაპირ დამატებას - სახელობითში. იცის 'სმნის მონაცვლე ფორმებში კი (ე.ი. მყოფადის წრეშიც და მესამე სერიაშიც) ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელია (მას), სახელობით ბრუნვაში მდგარი კი (ის) - პირდაპირი დამატება.

**პირდაპირი დამატებისა და შამასმენლის
ურთიერთობა
(შეთანხმებისა ღა მართვის საკითხები)**

როდესაც პირდაპირ დამატებად I პირია, მისი მრავლობითობა ყოველთვის ასახეულია 'სმნა-შემასმენლის ფორმაში: მ-ლოცავს ის მე - ის ჩვენ გვ-ლოცავს; მ-ლოცავ შენ მე - შენ ჩვენ გვ-ლოცავ; მ-ლოცავენ ისინი მე - ისინი ჩვენ გვ-ლოცავენ.

თუ პირდაპირ დამატებად II პირის ფორმაა, მისი მრავლობითობა 'სმნა-შემასმენელში იმ შემთხვევაში აისახება, თუ ქვემდებარე მხოლოდით რიცხვში დგას: გ-ლოცავს ის შენ - გ-ლოცავ-თ ის თქვენ; მაგრამ, თუ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, 'სმნა-შემასმენელი ქვემდებარის მრავლობითობას ასახავს, II ობიექტური პირის მრავლობითობა კი აღუწინავე დარჩება: 'სმნა-შემასმენელის ფორმაში იქნება მხოლოდ II ობიექტური პირის ნიშანი გ. მრ. რიცხვის გამომხატველი თ კი - აღარ, რადგან მის ადგილს სუბიექტის (ქვემდებარის) მრავლობითობის

გამომხატველი ნიშანი დაიქერს: გ-ლოცავ-თ ის თქვენ, მაგრამ: გ-ლოცავ-ენ იხინი თქვენ.

რაც შეეხება III პირის პირდაპირი დამატებისას, ცნობილია, რომ პირის ნიშანი არც მხოლოდითში წანს და არც მრავლობითში: მ-ლოცავს ის მე, გ-ლოცავს ის შენ, მაგრამ: - ლოცავს ის მას; გ-ლოცავს ის ჩვენ. გ-ლოცავ-თ ის თქვენ, მაგრამ: ლოცავს ის მათ (მღრ.: ლოცავს ის მას/მათ). მაშისადაძვე, 'სმნა-შემასმენელ'ში III პირის პირდაპირი დამატების მრავლობითობაც არ აისახება.

შენიშვნა: ძველ ქართულში მიცემით ბრუნვაში მღვარი პირდაპირი დამატების რიცხვი 'სმნა-შემასმენელ'ში ასახული არ იყო, მაგრამ, როდესაც პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაში იღვა, მისი მრავლობითობა 'სმნა-შემასმენლის ფორმა'ში ყოველთვის ენ/ნ ბოლოსართით იყო წარმოდგენილი. გავიხსენოთ ცნობილი ციტატა იაკობ ხუცესის „სქემანიკის წამებიდან“: „მამამან შენმან აღმართ-ნ-ა სამარტულე-ნ-ი და ეკლესია-ნ-ი აღაშენ-ნ-ა, ხოლო შენ მამისა შენისა საქმე-ნ-ი განპრყენ-ენ და სხეად გარდააქცი-ენ კეთილ-ნ-ი მის-ნ-ი...“ ან - სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“:

„მეფემან იხმ-ნ-ა ვა'სირ-ნ-ი, თვით 'ისი ლაღი და წყნარია, გვერდსა დაისხ-ნ-ა, დაუწყო მათ ამო საუბნარია“...

თუ პირდაპირი დამატება უკავშირდება ობიექტის რიცხვში მონაცვლე 'სმნას, მაგალითად, გადაფაღლე მე ის (=ქვა), პირდაპირი დამატების მრავლობითობის შემთხვევაში 'სმნა-შემასმენელი მონაცვლე მრავლობითის ფუძით 'მეწყობა მას: მე ისინი (=ქვები) გადაფყარე. ასეთივე ვითარება გვექნება მაშინაც, როდესაც პირდაპირი დამატება კრებითი სახელითაა გადმოცემული: მე ის=ნაგავი გადაფყარე.

როგორია პირდაპირი დამატების ურთიერთობა 'შემასმენელთან მართვის თვალსაზრისით?

როდესაც პირდაპირი დამატება სინტაქსურ წყვილს ქმნის ორიპრიანი გარდამავალი სმნით გადმოცემულ შემასმენელთან, იგი მასთან ყოველთვის საერთოერთო მართვითაა დაკავშირებული: პირდაპირი დამატება მართავს სმნა-შემასმენელს პირში: ის ღოცავს მას, მაგრამ: ის მე მ-ლოცავს... შემასმენელი კი, თავის მხრივ, მართავს პირდაპირ დამატებას ბრუნვაში: ის ღოცავს მას (აღამიან-ს), მაგრამ: მან დალოცა ის (აღამიან-ი).

როდესაც პირდაპირი დამატება უკავშირდება სამპრიანი გარდამავალი სმნით გადმოცემულ შემასმენელს, გარკვეულ სმნებში ხერხდება პირდაპირობიექტური პირის ნიშნის წარმოდგენა (როგორც ცნობილია, სამპრიან სმნაში ობიექტური პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, ირიბისაა ხოლმე).

შლრ.: შე-მ-აჯიბრა მან მე (აღამიან-ს=ირ.ო) ის (მოწინააღმდეგე), სადაც მ თავსართით I ირიბობიექტური პირია გამოხატული, და: შე-მ-აჯიბრა მან მე (აღამიან-ი = პირდ. დამატება) მას (მოწინააღმდეგეს), სადაც მ თავსართი I პირდაპირობიექტურ პირს (პირდაპირ დამატებას) გამოხატავს.

ამავე რიგისაა: მი-მ-ათვალა მან მე მას, მი-გ-ათვალა მან შენ მას; მი-მ-ათხოვა მან მე მას, მი-გ-ათხოვა მან შენ მას; მი-მ-ამსგავსა მან მე მას, მი-გ-ამსგავსა მან შენ მას; და-მ-ალაპარაკა მან მე მას, და-გ-ალაპარაკა მან შენ მას; შე-მ-აჯიბრა მან მე მას, შე-გ-აჯიბრა მან შენ მას და ა.შ. ამგვარ შემთხვევებში პირდაპირი დამატება სმნა-შემასმენელთან, ცხადია, საერთოერთო მართვით იქნება დაკავშირებული, რამდენადაც პირდაპირი დამატება მართავს სმნა-შემასმენელს პირში (სმნაში წარმოდგენილი პირის ნიშანი პირდაპირი ობიექტისაა), ხოლო სმნა-შემასმენელი კი მართავს პირდაპირ დამატებას ბრუნვაში (შემაჯიბრებს ის მე (აღამიან-ს) მას (მოწინააღმდეგეს) - შემაჯიბრა მან მე (აღამიან-ი) მას (მოწინააღმდეგეს).

თუ სამპირიანი გარდაბავალი 'სმნით' გადმოცემული 'შემას-
მენელი ვერ ახერხებს ფორმის იმეკვრად' 'შეცვლას, რომ მასში
პირდაპირი ობიექტის (პირდაპირი დაბაჯების) ნიშანი იყოს წარ-
მოდგენილი, მართვა ცალმხრივი იქნება.

ორიბი დამატება

ორიბი დამატება წინადადების მთავარი წევრია, 'სმნა-შემას-
მენელთან' 'შეწყობილი ორიბობიექტური პირის ფარული სიტყვა.
ორიბი დამატება 'შეიძლება' პქინდეს ორიბიანი გარდაუვალი
'სმნით' გადმოცემულ 'შემასმენელსაც' და სამპირიანი გარდაბა-
ვალი 'სმნით' გადმოცემულსაც. განვიხილოთ მაგალითი:

„ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა სუსამბრის“ (ა. კაღანდ.).

ამ წინადადებაში 'სმნა-შემასმენელთან' ორი სახელია დაკავ-
შირებული: 'შერჩა' ის (S=ღერო=ქვემდებარე) მას (ორ. O=კა-
ბას=ირიბი დამატება). დამატება რომ ირიბია, ამას ადასტურებს
მისი ბრუნვაუცვლელობა - ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში
რჩება: 'შერჩა' ის მას, 'შერჩება' ის მას, 'შერჩენია' ის მას და
ა.შ. მიცემითი ბრუნვა ერთადერთია ირიბი დამატებისათვის.

ორიბი დამატება (ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების
მსგავსად) 'შეიძლება' გადმოიცეს არსებითი სახელით (არწივი
გამოემშვიდობა მთებს: ვაჟა), ნაცვალსახელით (ისინი მიესალმ-
ნენ ერთმანეთს: ა. ყა'სბ.); რიცხვითი სახელით (ორივეს დაეკრა
გიორგიმ თავი: ილია), საწყისით ('შენს ძარღვის ცემას მე ყურს
ეუგაღებ სულგანაბული: ილია), მიმღობით (ის დამსწრებს მოქ-
მედი პირების თავგადასავალს მოუთხრობდა: ი. გრიშ.)... და,
საერთოდ, ნებისმიერი მეტყველების ნაწილით, თუ ის სახელის
ფუნქციით იქნება გამოყენებული (თვით 'შორისდებულთაც კი,
თუ ის მიცემითი ბრუნვის ფორმას მიიღებს და ირიბობიექტურ

პირად სქე/სკობა სმნა-სქმასმენელს: ვაის გავქეარე და უის
 შევექარეო: ანდ.)

ირიბი დამატება განსხვავებულ ვითარებას გვინუნებს იმის
 მიხედვით. ორპირიანი გარდაუვალნი სმნით გადმოცემულ
 შემასმენელთანაა დაკავშირებული თუ სამპირიანი გარდამავალი
 სმნით გადმოცემულთან. კერძოდ, თუ ირიბი დამატება ორპირი-
 ან გარდაუვალ სმნასთან ქმნის სინტაქსურ წყვილს, იგი სამივე
 სერიაში გვაქვს, მაგრამ, თუ ირიბი დამატება სამპირიანი გარ-
 დამავალი სმნით გადმოცემულ შემასმენელს უკავშირდება, იგი
 მხოლოდ I და II სერიის ფორმებთან გვექნება. რაც შეეხება III
 სერიას სამპირიანი გარდამავალი სმნისას, აქ მიცემით
 ბრუნვაში მდგარი სახელი - ირიბი დამატება - აღარ გვაქვს
 (სმნას ერთი პირი აკლდება). გავეცნოთ ამ ფორმებს:

ირიბი დამატება ორპირიანი გარდაუვალნი სმნით
 გადმოცემულ შემასმენელთან

I სერია

ის (დედა=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{ეფერება} \\ \text{ეფერებოდა} \\ \text{ეფერებოდეს} \\ \text{მოეფერება} \\ \text{მოეფერებოდა} \\ \text{მოეფერებოდეს} \end{array} \right\}$ მა-ს (შეიღს = ირიბი დამატება)

II სერია

ის (დედა=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{მოეფერა} \\ \text{მოეფეროს} \end{array} \right\}$ მა-ს (შეიღს = ირიბი დამატება)

III სერია

ის (დედა=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{მოქუერებია} \\ \text{მოქუერებოდა} \\ \text{მოქუერებოდეს} \end{array} \right\}$ მა-ს (შეილს = ირიბი დამატება)

ირიბი დამატება სამკირიანი გარდამავალი ზონით
გადმოცემულ შავსაწინათ

I სერია

ის (დედა=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{უკითხავს} \\ \text{უკითხავდა} \\ \text{უკითხავდეს} \\ \text{წაუკითხავს} \\ \text{წაუკითხავდა} \\ \text{წაუკითხავდეს} \end{array} \right\}$ მა-ს (ზღაპარს) მა-ს (შეილს)

II სერია

მა-ნ (დედა-მ=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{წაუკითხა} \\ \text{წაუკითხოს} \end{array} \right\}$ ის(ზღაპარ-ჰპირდ.დამატ.) მ-ს (შეილ-ჰრდამატ.)

III სერია

მა-ს (დედა-ს=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} \text{წაუკითხავს} \\ \text{წაუკითხა} \\ \text{წაუკითხოს} \end{array} \right\}$ ის(ზღაპარ-ჰპირდ.დამატ.) მისთვის (შეილსთვის)

როგორც ვხედავთ, III სერიაში ირიბი დამატება (რომელიც აუცილებლად მიცემით ბრუნვაში უნდა იდგეს) აღარ გვაქვს: ის ნათესაობით ბრუნვაში გადადგა, დაიროთ -თვის თანდებული და იქცა უბრალო დამატებად (რომელსაც შემდეგ განვიხილავთ).

ასე დაეპაროება სამპირიანი გარდასავალი 'სმნით გადმო-
ცემულ' შემასმენელთან დაკავშირებულ ყველა ირიბ დამატებას:

გაუნაწილა მან ის მას → გაუნაწილებია მას ის მისთვის
დაუსხა მან ის მას → დაუსხამს მას ის მისთვის
დაუტოვა მან ის მას → დაუტოვებია მას ის მისთვის
დაუმტკიცა მან ის მას → დაუმტკიცებია მას ის მისთვის
ჩაუკეტა მან ის მას → ჩაუკეტავს მას ის მისთვის
ურჩია მან ის მას → ურჩევია მას ის მისთვის
შეუგროვა მან ის მას → შეუგროვებია მას ის მისთვის
და ა.შ.

ირიბი დამატების ბრუნვა (მიცემითი) კარგად ჩანს, რადგან
საც' ის III პირის ფორმაა. I და II პირის ფორმები კი (მე, ჩვენ;
შენ, თქვენ), როგორც არაერთხელ გვითქვამს, ფორმალურად
უბრუნველია: ისინი სახელობითი ბრუნვის ფორმებიც შეიძლება
იყვნენ, მოთხრობითისაც და მიცემითისაც. ეს ნაცვალსახელები
ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარის ფუნქციითაც გვხვდებიან,
პირდაპირი დამატების ფუნქციითაც და ირიბი დამატების ფუნქ-
ციითაც. საკითხის გასარკვევად, ჩვეულებისამებრ, არსებითი
სახელით შენაცვლების ხერხს გამოვიყენებთ და ბრუნვაცა და
ფუნქციაც ნათელი გახდება. მაგალითად:

დაგინთებ მე (აღამიან-ი) შენ (წმინდან-ს) სანთელ-ს
დაგინთე მე (აღამიან-მა) შენ (წმინდან-ს) სანთელ-ი
ე.ი. მე ქვემდებარეა, შენ - ირიბი დამატება, რადგან
მიცემით ბრუნვაში დგას და არ იცვლება.

მიგამსგავსებ მე (აღამიან-ი) შენ (მეგობარ-ს) მა-ს (მე'სო-
ბელ-ს)

მიგამსგავსე მე (აღამიან-მა) შენ (მეგობარ-ი) მა-ს (მე'სო-
ბელ-ს)

ამ შესთხვევაშიც მე ქვემდებარეა, **შენ კი** - პირდაპირი დამატება (მას - ირიბია).

შენიშვნა: ჩვენ ვიცით, რომ ქართულ ენაში არის ერთი წყება გარდაუვალი ზმნებისა (მიყვარს, მომწონს, მაქვს, მყავს, მინდა, მშია, მწყურია, მომაქვს, მომყავს, მიჭირს და ა.შ.), რომელიც, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ინვერსიულად უნდა ჩაითვალოს: რეალურ სუბიექტად (ანუ ქვემდებარედ) უნდა მივიჩნიოთ მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელი, რომელიც გრამატიკულად ირიბ ობიექტს (ირიბ დამატებას) წარმოადგენს, ირიბობიექტური პირის ნიშნით გამოხატულს, ხოლო სახელობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა, რომელიც გრამატიკულად სუბიექტია (ანუ ქვემდებარე), სუბიექტური პირის ნიშნით წარმოადგენილი, - რეალურ ობიექტად (რეალურ დამატებად). ე.ი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, წინადადებაში „**მე შენში მიყვარს** ოცნება ჩემი“ (გ. ტაბ.), **მიყვარს მე** (ადამიან-ს) ის (ოცნება), **რეალურად ქვემდებარეა მე**, ხოლო ის - **რეალური დამატება** (არა პირდაპირი, რადგან ზმნა გარდაუვალია, არც ირიბი, რადგან სახელობითში დგას და არა მიცემითში).

საპირისპირო თვალსაზრისის მიხედვით, ამოსავლად მიჩნეულია გრამატიკული ვითარება: სუბიექტური პირის ფარდი სიტყვა, სახელობით ბრუნვაში მდგარი, ქვემდებარეა, მიცემით ბრუნვაში მდგარი, ირიბობიექტური პირის ნიშნით წარმოადგენილი კი - ირიბი დამატება (ე.ი. **მიყვარს მე ის** - მე ირიბი დამატებაა, ის - ქვემდებარე).

როგორც აღვნიშნეთ, ირიბი დამატება აქვს ორპირიანი გარდაუვალი ზმნით გამოხატულ შემასმენელს (ქვემდებარე და ირიბი დამატება), ან - სამპირიანი გარდამავალი ზმნით გამოხატულს (ამ შემთხვევაში გვექნება ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება): მაგრამ ქართულ ენაში ისეთი სამპირიანი გარდაუვალი ზმნებიც გვაქვს, რომელთაც სუბიექტთან

ერთად ორი ობიექტი ეწეობათ, ორივე მიცემით ბრუნვაში მდგარი და ბრუნვაუცვლელი. ე.ი. ირიბი. ასეთებია: უფება ის (აღამიან-ი) მა-ს (შვილ-ს) მა-ს (სლაპარ-ს). რა ქნა? მოუფა ის (აღამიან-ი) მა-ს (შვილ-ს) მა-ს (სლაპარ-ს);

ეხვეწება ის (ვაჟ-ი) მა-ს (მეგობარ-ს) მა-ს (დაბრუნება-ს), რა ქნა? შეეხვეწა ის (ვაჟ-ი) მა-ს (მეგობარ-ს) მა-ს (დაბრუნება-ს);

ევედრება ის (შეჭირვებულ-ი) მა-ს (უფალ-ს) მა-ს (შემწეობა-ს). რა ქნა?

შეევედრა ის (შეჭირვებულ-ი) მა-ს (უფალ-ს) მა-ს (შემწეობა-ს);

ჰპირდება ის (კაც-ი) მა-ს (ძმა-ს) მა-ს (დახმარება-ს).

რა ქნა? შეჰპირდა ის (კაც-ი) მა-ს (ძმა-ს) მა-ს (დახმარება-ს) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი სამივე პირი ბრუნვაუცვლელია: სახელობით ბრუნვაში მდგარი ის (აღამიან-ი, ვაჟ-ი, შეჭირვებულ-ი, კაც-ი...) ქვემდებარეა, მიცემით ბრუნვაში მდგარი სიტყვები კი - ირიბი დამატებები (რადგან ორივე დამატება მიცემით ბრუნვაში რჩება). ნათქვამიდან გამომდინარე, შეცდომაა: მოუყვა მან მას ის (სწორია: მოუყვა ის მას მას), შეეხვეწა მან მას ის (სწორია: შეეხვეწა ის მას მას), შეევედრა მან მას ის (სწორია: შეევედრა ის მას მას), შეჰპირდა მან მას ის (სწორია: შეჰპირდა ის მას მას)...

შენიშვნა: ა. შანიძის აზრით, აღნიშნულ ზმნებს „დეპონენსური“ გაგება აქვთ“ (ე.ი. ისინი ფორმით გარდაუვალი ვნებითი გვარისანი არიან, მნიშვნელობით კი - მოქმედებითისა). მეცნიერი თვლის, რომ ზმნა-შემასმენლებისათვის - უყვება ის მას მას=ზლაპარს, ეხვეწება ის მას მას=დაბრუნებას, ევედრება ის მას მას=შემწეობას, ჰპირდება ის მას მას=დახმარებას... - ხაზგასმულ სიტყვებს (სლაპარს, დაბრუნებას, შემწეობას, დახმარე-

ბას...) პირდაპირი დამატების მნიშვნელობა აქვს. თქვენი ისინი წარმოშობით ირიბი დამატებებია (ა. შანსი. ქარაყელი ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 299). ენაში არსებული ტენდენციაც (რომ სუბიექტი მოთხრობითში გადავიდეს, ერთ-ერთი ობიექტი კი - სახელობითში) ამითაა განპირობებული.

ირიბი დამატებისა და შანსიანლის ურთიერთობა

(შითანხმებისა და მართვის საკითხები)

როდესაც ირიბ დამატებად I პირის ფორმაა, მისი მრავლობითობა 'სმნა'ში ყოველთვის წარმოდგენილია, ანუ პირველი პირის ირიბი დამატება ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: ის მე მეჯობრება - ის ჩვენ გვეჯობრება;

ისინი მე მეჯობრებიან - ისინი ჩვენ გვეჯობრებიან;

'შენ მე მეჯობრები - 'შენ ჩვენ გვეჯობრები;

თქვენ მე მეჯობრებით - თქვენ ჩვენ გვეჯობრებით;

თუ ირიბ დამატებად II პირის ფორმაა, ისეთივე ვითარება გვაქვს. როგორც II პირის პირდაპირი დამატების 'შემთხვევაში გვექნდა, ანუ: II პირის ფორმით წარმოდგენილი და მრავლობით რიცხვში მდგარი ირიბი დამატება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში, თუ ქვემდებარე მხოლოდით რიცხვშია: ის 'შენ გვეჯობრება - ის თქვენ გვეჯობრება-თ. მაგრამ, თუ 'სმნა-შემასმენელს ქვემდებარე მრავლობით რიცხვში აქვს, 'სმნა'ში აისახება ქვემდებარის მრავლობითობა (ქვემდებარე 'შეითანხმებს 'შემასმენელს რიცხვში), ირიბი ობიექტის მრავლობითობა კი 'სმნა-შემასმენელში აღუჩინა და რჩება: ის თქვენ გვეჯობრება-თ. მაგრამ: ისინი თქვენ გვეჯობრებიან. როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში (ის თქვენ გვეჯობრება-თ), როდესაც ქვემდებარე (ის) მხოლოდით

რიცხვში იდგა. 'შემასმენელში ირიბი ობიექტის მრავლობითობა გ-თ თავსართი-ბოლოსართით გამოხატვა (გ პირის ასახავს, თ - მის მრავლობითობას), მაგრამ, როგორც კი ქვემდებარე მრავლობით რიცხვში გადავიყვანეთ (ისინი), 'შემასმენელმა ქვემდებარის მრავლობითობა გამოხატვა ან ბოლოსართით, II პირის ირიბი დამატების მრავლობითობა კი 'სმნაში აღარ არის წარმოდგენილი: ისინი გ-ეჯიბრები-ან 'იენ//თქვენ.

ნათქვამის გათვალისწინებით გავანალიზოთ 'სმნა-შემასმენელი გ-ეჯიბრები-თ. ამ ფორმაში ორი ნიშანია გამოყოფილი: გ თავსართი და თ ბოლოსართი. გ - არის II პირის დამატება-ობიექტის (ამ შემთხვევაში - ირიბის) მაჩვენებელი, მაგრამ რის მრავლობითობას გამოხატავს -თ ბოლოსართი? იგი ხომ I სუბიექტური პირის მრავლობითობასაც 'შიძლება გადმოსცემდეს (მე ვთხოვ, ჩვენ ვთხოვ-თ) და ირიბისასაც (მე შენ ვთხოვ, მე თქვენ ვთხოვ-თ)? პასუხი ასეთია: თუ გ-ეჯიბრები-თ ფორმაში იგულისხმება მე თქვენ: გ-ეჯიბრებით მე(=S) თქვენ (=ირ.О), თ ბოლოსართი ირიბი დამატების მრავლობითობის გამომხატველი იქნება (ირიბმა დამატებამ 'შეთანხმა 'შემასმენელი რიცხვში). მაგრამ, თუ გ-ეჯიბრები-თ ფორმა 'შეყობილ პირებად გულისხმობს ჩვენ თქვენ: გ-ეჯიბრები-თ ჩვენ (=S) თქვენ (=ირ.О), ამ შემთხვევაში თ ბოლოსართით ქვემდებარის მრავლობითობა იქნება გამომხატველი და არა - ირიბი დამატებისა (ამ შემთხვევაში II პირის ირიბი დამატება ვერ ითანხმებს 'შემასმენელს რიცხვში).

როდესაც ირიბ დამატებად III პირის ფორმაა, 'სმნა-შემასმენელი კი სამპირიანი გარდამავალი 'სმნიტაა გადმოცემული, ირიბი დამატება ვერ ითანხმებს 'შემასმენელს რიცხვში: არჩილმა... მოახლე-მოსამსახურებს ... ანიშნა ოთახილამ გასულა (ილია). ანიშნა მან (არჩილმა - ქვემდებარე) მათ (მოახლე-მოსამსახურებს=ირიბი დამატება მრავლობით რიცხვში) ის

(გახვლა=პირდ. დამატება). მრავლობით რიცხვში მდგარმა ირიბმა დამატებამ ვერ შეითანხმა შემასმენელი რიცხვში: ასეთივე ფორმა აქვს შემასმენელს მაშინაც, როდესაც ირიბი დამატება მხოლოდით რიცხვშია: ანიშნა მან მას (მოახლეს, მოსამსახურეს) ის (გახვლა).

სხვა მაგალითი: მეხობელმა მოუბრუნინა პური დამშეულ ბავშვებს (ე. გაბ.). მოუბრუნინა მან (მეხობელმა=ქვემდებარე) მათ (ბავშვებს=ირიბი დამატება) ის (პური=პირდ. დამატება).

შდრ: მოუბრუნინა მან მას (ბავშვს=ირიბი დამატება მხოლოდით რიცხვში) ის (პური). ზმნა-შემასმენელს ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა აქვს.

როდესაც ირიბ დამატებად ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა, ირიბმა დამატებამ შეიძლება შეითანხმოს შემასმენელი მრავლობით რიცხვში, ან - ვერ შეითანხმოს.

ა) ირიბი დამატება ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

დადლილებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. შდრ.: დადლილს ჩამოსდიოდა;

ადამიანებს მალე დაუბრუნდებათ რწმენა. შდრ.: ადამიანს დაუბრუნდება;

მეტებარ ძაღლებს ნადირის სენი ეცათ. შდრ.: ძაღლს ეცა და ა.შ.

ბ) ირიბი დამატება ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

მთის კალთებს შვენის ცხვარ-ძროხა (ვაჟა). შდრ: კალთას შვენის;

მეხობელი გეშინდელ ამბებს მიუბრუნდა. შდრ.: ამბავს მიუბრუნდა;

მხედარი მიჰყვებოდა ბილიკებს. შდრ.: მიჰყვებოდა ბილიკს...

ა) შემთხვევაში ირიბი დამატება სუულიერი საგნის სახელითაა გადმოცემული, ბ) შემთხვევაში კი ირიბ დამატებას უსულო საგნის სახელი გადმოსცემს; მაგრამ შესაძლოა ირიბი დამატე-

ბა სუკლიური საგნის აღმნიშვნელი იყოს. მაგრამ რიცხვში 'მე-
თანხმება მაინც არ მოხდეს: მასპინძელი შინ შეეკლვა სტუ-
მარს/სტუმრებს...

როდესაც ირიბ დამატებას შემასმენლად აქვს ეკითხება,
ეხვეწება, ვევედრება, უყვება, ჰპირდება... ტიპის 'სმნები, მისი
მრავლობითობა შემასმენელში არასოდეს არ აისახება, ანუ
ირიბი დამატება ამ ტიპის შემასმენელს ვერ ითანხმებს
რიცხვში:

ეკითხება	ის	მას/მათ	მას
ეხვეწება	ის	მას/მათ	მას
ვევედრება	ის	მას/მათ	მას
უყვება	ის	მას/მათ	მას
ჰპირდება	ის	მას/მათ	მას და ა.შ.

III პირის ირიბი დამატების მრავლობითობა ვერ აისახება
შემასმენლის ფორმაში, თუ ქვემდებარე მრავლობითის ფორმით
იქნება წარმოდგენილი (როგორც ეს ხდება მაშინ, როდესაც
ირიბი დამატება I ან II პირის ფორმაა).

შღრ.: ხოხბებს თავ სარი დაუცათ (ირიბი დამატება ითან-
ხმებს შემასმენელს რიცხვში), და: ხოხბებს მონადირეები
დაუცნენ ('სმნა-შემასმენელში ქვემდებარის - მონადირეების -
მრავლობითობაა ასახული და არა - ირიბი დამატებისა - ხოხ-
ბებს).

გრამატიკულად ირიბი ობიექტის მრავლობითობა ყოველთვის
აისახება მიყვარს, მომწონს, მაქვს, მყავს, მინდა, მშია,
მწყურია, მომაქვს, მომიყავს, მიჭირს... ტიპის 'სმნებში:

მე მიყვარს (მომწონს, მაქვს...) - ჩვენ გვიყვარს (მოგვწონს,
გვაქვს...)

შენ გიყვარს (მოგწონს, გაქვს...) - თქვენ გიყვართ (მოგ-
წონთ, გაქვთ...)

მას უყვარს (მისი წინა, აქცხ...) - მათ უყვართ (მისი წინა, აქცხ...) (ეს ის სწნებია, რომელზეც მიც ირიბი ობიექტი=დამატება რეალურ სუბიექტად=ქვემდებარედაა გაასრებული).

რაც შეეხება მართვას: ირიბ დამატებასა და შემასმენელს შორის მართვა საერთოერთოა, რადგან ირიბი დამატება ყოველთვის მართავს შემასმენელს პირში (სმნაში წარმოღვენილია ირიბობიექტური პირის ნიშანი). შემასმენელი კი მართავს ირიბ დამატებას ბრუნვაში, რადგან იგი მას მიცემითი ბრუნვის ფორმით ითხოვს (დაუბრუნა მან მას ის - დამბრუნა მან მე ის; დაუბრუნებს ის მას მას; დაუბრუნოს მან მას ის...)

ახლა მივლედ შევაჯამოთ ის, რაც ითქვა დამატება-ობიექტების ანუ პირდაპირი და ირიბი დამატების შესახებ.

პირდაპირი და ირიბი დამატება წინადადების მთავარი წევრებია, შესაბამისად, - პირდაპირობიექტურ და ირიბობიექტურ პირთა ფარული სიტყვები.

პირდაპირი დამატება მხოლოდ გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელს აქვს, ოპირიანს ან სამპირიანს, ირიბი დამატება კი შეიძლება აქონდეს როგორც გარდაუვალი ორპირიანი (ან სამპირიანი ეკითხება, ევეღრება ტიპის), ისე გარდამავალი სამპირიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელს.

პირდაპირ დამატებას ორი ბრუნვა აქვს: მიცემითი (ზმნის I სერიის ფორმებთან) და სახელობითი (II და III სერიის ფორმებთან; III სერიასთან - ინვერსიის გათვალისწინებით), ირიბ დამატებას კი მხოლოდ ერთ ბრუნვაში ვხედავთ - მიცემითში.

პირდაპირი დამატებაცა და ირიბი დამატებაც (ქვემდებარის მსგავსად) შეიძლება გადმოიცეს არსებითი სახელით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით, სახელსმნით... და, საერთოდ, ნებისმიერი მეტყველების ნაწილით, თუ ის არსებითი სახელის ფუნქციით იქნება გამოყენებული.

პირდაპირი დამატება როგორც ორპირიანი, ისე სამპირიანი გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან სამივე სერიაში გვხვდება, ირიბი დამატება, როცა ის ორპირიან გარდაუვალ ზმნასთანაა დაკავშირებული, სამივე სერიის ფორმებში გვაქვს (ეფერება **შიღლს**, მოეფერა **შიღლს**, მოჰეფერებია **შიღლს**), მაგრამ, თუ ირიბი დამატება შეწყობილია გარდამავალი სამპირიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან, იგი მხოლოდ I და II სერიის ფორმებთან არის შესაძლებელი (უმსაღებს საუხმეს **შიღლს**, მოემსაღა საუხმე **შიღლს**), III სერიაში კი ირიბი დამატება აღარ გვექნება, რადგან ის, რაც მიცემით ბრუნვაში მღგარი ირიბი დამატება იყო, გადავა ნათესაობით ბრუნვაში, დაიჩრთავს -**თვის** თანდებულს და უბრალო დამატებად გადაიქცევა (მოემსაღებია საუხმე, მოემსაღებინა, მოემსაღებინოს... **შიღლ-ის-თვის**).

რაც შეეხება სამპირიან გარდაუვალ უწყება, ჰპირდება, ეხვეწება... ტიპის ზმნებთან შეწყობილ ირიბ დამატებებს, ისინი სამივე სერიის ფორმებთან მიცემით ბრუნვაში რჩებიან. ბრუნვაეცვლელია სახელობით ბრუნვაში მღგარი ქვემდებარეც (ევედრება, ჰპირდება, ეკითხება... ის მას მას; შევედრა, შეჰპირდა, შეეკითხა... ის მას მას; შევედრებია, შეჰპირებია, შეეკითხებია... ის მას მას).

როგორია დამატება-ობიექტების ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან შეთანხმებისა და მართვის თვალსაზრისით?

როდესაც დამატება-ობიექტები (პირდაპირიც და ირიბიც) I პირის ფორმებია, ისინი ყოველთვის ითანხმებენ შემასმენელს რიცხვში: მან მე დამხატა - მან ჩვენ დაგხატა; მან მე მომწერა - მან ჩვენ მოგწერა.

როდესაც დამატება-ობიექტებად II პირის ფორმებია, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეითანხმებენ რიცხვში შემასმენელს, თუ ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვში იქნება: მან შენ დაგხატა - მან თქვენ დაგხატათ; მან შენ მოგწერა - მან თქვენ

მოგწერათ: მაგრამ, თუ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, II პირის დამატება-ობიექტები ვეღარ შეითანხმებენ რიცხვში 'სმნა-შემასმენელს, რადგან 'სმნა'ში ქვემდებარის მრავლობითობა იქნება წარმოლგენილი: მან თქვენ დაგხატათ, მაგრამ: მათ თქვენ დაგხატეს; მან თქვენ მოგწერათ, მაგრამ: მათ თქვენ მოგწერეს.

III პირის ფორმით წარმოლგენილი პირდაპირი დამატება ვერ ითანხმებს 'შემასმენელს რიცხვში: მან დახატა ის // ისინი. ვერ ითანხმებს 'შემასმენელს რიცხვში ვერც ირიბი დამატება, როდესაც 'შემასმენელი გადმოცემულია ან ა) გარდამავალი სამპირიანი 'სმნით: ასწავლა მან მას//მათ ის; ან ბ) ეკითხება, პპირდება, ეხვეწება... ტიპის 'სმნებით: ეკითხება ის მას//მათ რაღაცას, პპირდება ის მას//მათ 'შეუღას; მაგრამ, თუ ირიბი დამატება ორპირიანი გარდაუვალი 'სმნით გადმოცემულ 'შემასმენელს დაუკავშირდება, აქ ორივე შესაძლებლობა არსებობს: ირიბი დამატების მრავლობითობა შეიძლება აისახოს 'შემასმენელში (ბიჭს მოუხვეწრობა დაეტყო - ბიჭებს... დაეტყოთ), ან არ აისახოს (მასპინძელი 'შეუძღვა 'შინ სტუმარს/სტუმრებს); მიუჯარს, მოძწონს, მინდა... ტიპის ორპირიანი გარდაუვალი 'სმნით გადმოცემულ 'შემასმენელს კი გრამატიკულად ირიბი ობიექტი (რეალურად - ქვემდებარე) ყოველთვის ითანხმებს რიცხვში: მას უჯარს - მათ უჯართ; მას მოსწონს - მათ მოსწონთ; მას უნდა - მათ უნდათ და ა.შ.

პირდაპირი დამატება ორპირიანი გარდამავალი 'სმნით გადმოცემულ 'შემასმენელთან საერთოერთო მართვითაა დაკავშირებული: მართავს 'შემასმენელს პირში (დახატა მან ის, მაგრამ: მან მე დახატა) და იმართვის 'შემასმენლის მიერ ბრუნვაში (დახატა სურათი, მაგრამ: დახატავს სურათს).

სამპირიანი გარდამავალი 'სმნით გადმოცემულ 'შემასმენელსაც (გარკვეულ შემთხვევებში) პირდაპირი დამატება საერთო-

ერთი მართვით უკავშირდება: შემასმენელი მართავს პირდაპირ ღამატებას ბრუნვაში (მიხატა მან მას ის (სურათ-ი), მაგრამ: მიხატავს ის მას მას (სურათ-ს), პირდაპირი ღამატება კი ასურებს სმნა-შემასმენლის მართვას პირში (მიხატა მან ის (სურათი) მას (კედელს), მაგრამ: მიხატავს მან მე მას (კედელს). გარდამავალ სამპირიან სმნასთან პირთა ამგვარი კომბინაცია ყოველთვის არაა შესაძლებელი. მაგალითად, გაუგზავნა მან მას ის. ამ შემოსხვევაში არ ხერხდება პირდაპირი ობიექტის მნიშვნელობით მე-ს ასახვა სმნაში შესაბამისი მ ნიშნით, რომელიც ამგვარ ვითარებაში, ჩვეულებრივ, ირიბისაა ხოლმე (გაუგზავნა მან მას ის - გამომგზავნა მან მე (ირიბი ღამატება) ის.

რაც შეეხება ირიბ ღამატებას, იგი საერთოერთო მართვით უკავშირდება. შემასმენელს, იმის მიუხედავად, ეს შემასმენელი ორპირიანი გარდაუვალი სმნაა თუ სამპირიანი გარდამავალი (ეფერება ის მას, მაგრამ: ის მე მეფერება; გააკეთებინა მან მას ის, მაგრამ: გააკეთებინა მან მე ის), სმნა-შემასმენელი კი მართავს ირიბ ღამატებას ბრუნვაში: ყოველთვის ითხოვს მისგან მიცემით ბრუნვას სამივე სერიაში, თუ ორპირიანი გარდაუვალი სმნაა (ეფერება ის მას, მოეფერა ის მას, მოჰფერებია ის მას), ან - I და II სერიაში, თუ შემასმენელი სამპირიანი გარდამავალი სმნითაა გადმოცემული (გაკეთებინებს ის მას მას (საქმეს), გააკეთებინა მან მას ის=საქმე). III სერიაში, როგორც უკვე ითქვა, სმნას ერთი პირი აკლდება - ირიბი ღამატება აღარ გვაქვს.

დასასრულად, ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: ქვემდებარესა და ღამატება-ობიექტებს სასიარო ბრუნვები აქვთ, კერძოდ: სახელობით ბრუნვაში შეიძლება იდგეს ქვემდებარეცა და პირდაპირი ღამატებაც, მიცემითი ბრუნვის ფორმით ქვემდებარეც გვხვდება, პირდაპირი ღამატებაცა და ირიბი ღამატებაც

(გვახსოვდეს: მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარისაა ან მასთან ერთად წარმოდგენილი მისი მსაზღვრელი სიტყვისა: ღრუბელმა დაფარა ლერჯი ცა, შავმა ღრუბელმა დაფარა ლერჯი ცა).

იმის გასარკვევად, როდის რომელი ბრუნვა აქვთ მთავარ წევრებს და რა საშუალებები არსებობს ბრუნვების დამოხვევისას მათს გასარჩევად, წარმოვადგენთ სქემას (სმნა-შემასმერელთა გარდაამავლობა - გვარის გათვალისწინებით).

შემასმენლად გარდაამავალი მოქმედაბით გვარის ან გარდაამავალი საშუალ-მოქმედაბითი გვარის ზმნა:

- I სერია:** ქვემდებარე - სახელობით ბრუნვაში
პირდ. დამატება - მიცემით ბრუნვაში (ზმნა გარდაამავალი)
ირობი დამატება - მიცემით ბრუნვაში (ზმნა სამპირიანი გარდაამავალი ან ორპირიანი გარდაამავალი)
- II სერია:** ქვემდებარე - მოთხრობით ბრუნვაში
პირდ. დამატება - სახელობით ბრუნვაში (ზმნა გარდაამავალი)
ირობი დამატება - მიცემით ბრუნვაში (ზმნა გარდაამავალი სამპირიანია, ან გარდაამავალი ორპირიანი)
- III სერია:** ქვემდებარე - მიცემით ბრუნვაში (ინფერსიის გათვალისწინებით)
პირდ. დამატება - სახელობით ბრუნვაში (გარდაამავალი ზმნის შემთხვევაში ინფერსიის გათვალისწინებით)
ირობი დამატება - აღარ ვააქვს

თუ ზმნა-შემასმენლად გარდაამავალი ზმნაა (ენებითი, საშუალ-ენებითი), ქვემდებარეცა და ირობი დამატებაც სამივე სერიაში ბრუნვა-ეცვლეულია: ქვემდებარე სუულ სახელობით ბრუნვაში დგას, ირობი დამატება კი (თუ ზმნა ორპირიანია ან სამპირიანი, მაგრამ ეკითხება, ჰპირდება ტიპისა) - მიცემითში.

რეაგირეც ვსკლავთ, მთავარი წევრებიდან ბრუნვაში ერთმანეთის მხოლოდ დამატება-ობიექტები თანხვლებიან, ისიც - მხოლოდ I სერიის ფორმებში. ასეთ შემთხვევაში პირდაპირისა და ირიბის გასარჩევად საკმარისია მივმართოთ II სერიას: სახელობით ბრუნვაში გადასუელი სიტყვა პირდაპირი დამატებაა, მიცემით ბრუნვაში დარჩენილი - ირიბი.

არასილეს ემთხვევა ერთმანეთს ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების ბრუნვები, რადგან, როდესაც პირდაპირი დამატებაა მიცემითში, ქვემდებარეს სახელობითი ბრუნვა აქვს, როცა პირდაპირი დამატება გადადის სახელობით ბრუნვაში, მაშინ ქვემდებარე ან მოთხრობითშია, ან - მიცემითში.

არ ემთხვევა ერთმანეთს არც ქვემდებარისა და ირიბი დამატების ბრუნვა, ვინაიდან ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში გარდამაფალ ან გარდაუფალ საშუალ-მოქმედებითი გვარის სმნას მხოლოდ III სერიაში აქვს (ინვერსიის გათვალისწინებით), როცა მიცემით ბრუნვაში მღგარი ირიბი დამატება ან საერთოდ აღარ არის, ან - თუ არის, მაშინ სმნა გარდაუფალია (ვნებითი ან საშუალ-ვნებითი) და ე.ი. ქვემდებარე მას სახელობით ბრუნვაში ექნება.

წინადადების არამთავარი წევრები ზურალო დამატება

წვენ ვიცით, რომ დამატებები, თავისი ფორმითა და მინაარსით, რამდენიმე სახისაა. ისინი ორ ჯგუფს ქმნიან: დამატება-ობიექტებსა და უბრალო დამატებებს (გვ. 27). დამატება-ობიექტები, პირდაპირი და ირიბი (ქვემდებარის მსგავსად) სმნის ფორმაშია ნაგუკლისხმევი და შესაბამისი პირის ნიშნებით წარმოდგენილი. ამიტომ ისინი (პირდაპირი დამატებაცა და ირიბი დამატებაც) წინადადების მთავარი წევრებია; უბრალო დამატე-

ბა კი არაა შექცობილი სძნის თბიქქურ პირთან, იგი არახი-
დეს არაა სძნა-შქსასქენელში პირის ნიშნით წარმოადგენილი:
ამდენად, უბრალო დამატება წინადადების არამთავარი (მეო-
რეხარისხოვანი) წევრია.

უბრალო დამატებაც, თავის მხრივ (ფორმისა და შინაარსის
გათვალისწინებით) რამდენიმე სახისა არსებობს. მან შეიძლება
გამოხატოს:

ა) ე.წ. თანაობა: ნიავი... ტყეში ფოთლებთან და ს და ნ და -
რობ და (ილია); მერცხლებთან ერთად ჰრელი ფოთლებიც
მიჰქრიან ცაში (მ. ლებან.);

ბ) დანიშნულება: თავის... რჩევას უმცირესობისათვის საველ-
დებულოდ ხდის (ვაჟა), იმაზე მეტს მე არ ვინატრი სი-
კეთეს ჩემთვის; [სიკეთე], ძმაო, მე შენთვის მინდა (მ. ლე-
ბან.);

გ) მასალა, რომლისგანაც რამე ექოდება: ერთი ხისგან ბა-
რიც გამოვა და ნიჩაბიცო... (ანდ.); ჯვარი ვაისის ნახსლა-
ვისგან არის გამოჰრილი (გ. რობაქ)...

დ) საჭურველი, იარაღი, რომლითაც მოქმედება სრულდება:
ცარცით წერდნენ ხის ფიცარზე. (ი. გოგებ.); ირემა ხარი
შავტარა დანით დაიკვლება (მ. ლებან.);

ე) ახალი ვითარება, ცვლილება. გადაქცევა, გარდაქმნა...:
ცოდვას მადლად გადავაქცევთ... (ვაჟა); ამ დღიდან მოუ-
ლი სიცოცხლე ბავშვს ჯოჯოხეთად გადაუქცია (ა. ყაიბ.)...
და სხვა.

უბრალო დამატება შეიძლება გადმოიცეს: არსებითი სახე-
ლით (...ახალი ტყავით... მე ვიმოსები: მ. ლებან.); ნაცვალ-
სახელით (სიოყელი მარტო ამაზე ფიქრობდა: თ. ბიბილა.; მე
ვფიქრობ შენზე: ა. კალანდ.), საწყისით (მომეცით მე...
მოუხევენარი დღე თავის ტანჯვითა... ილია), მიმღობით (მუარ-
ველად ჰყავდეს მეფე თამარი: პ. იაშვი.; შუამავლად ღვთი-

საღვარძამო 'საღვარძამო ბარათა' მქონე დანიშნული: მ. ჯ. ავთი.): 'სკლარების' იმპროვიზაცია - სხვა მეტყველების ნაწილებითაც, თუ ისინი სახელის ფუნქციით იქნებიან გამოყენებული (ვათა და ვით საქმეს აღარაფერი ეშველება).

უბრალო დამატება შეიძლება დაუკავშირდეს:

ა) ზმნა-შემასმენელს (ყველაზე ხშირად): ბავშვი დედასთან მიიჭრა, ახალგაზრდები სიყვარულზე საუბრობენ, ამ ბიჭს სიმღერაში ვერაფერს აჯობებს, მეგობრებისთვის უთქვამს; ყველასათვის კარგი მსურს; ტყვიანი სიტყვით მიიჩვია; ბუჩქი სპილღო მთეჩვენა და ა.შ.

ბ) საწყისს: ცეცხლთან ხუმრობა არ შეიძლება; მშობლებთან ყოფნა ძალიან კარგია...

გ) მიმღობას: წინაპრებისაგან მომდინარე ტრადიცია შეინარჩუნა; საფრთხეში წავადნილი ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან...

დ) ზედსართავ სახელს: ჩემი ძმა მამაჩემზე დონიერი კაცი დადგა; თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია...

ე) ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმას: სვეულზე რჯულზე უმტკიცესიაო (ანდ.); ცუდი შემნახავი ქურდზე უარესიაო (ანდ.). ამ შემთხვევაში ხარისხის ფორმა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია.

უბრალო დამატება შეიძლება შეგვეხვედეს ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. პირველი სამი ბრუნვა (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი) თანდებულთან იც 'შეიძლება იქონ და უთანდებულთ, ვითარებით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება კი ყოველთვის უთანდებულთა.

უბრალო დამატების ამოსაცნობად კითხვის დასმის ხერხსაც იყენებენ დამხმარე საშუალებად. ეს კითხვებია ვინ და რა, ცხადია, შესაბამისი ბრუნვებისა და თანდებულების გათვალისწინებით (ე.ი. ვის? ვისზე? ვისთან? ვისთვის? ვისგან? ვის მიერ? ვის

შესახებ, ვისთან? ვისად?... რას? რაზე? რასთან? რის შესახებ?
რისთვის? რისგან? რით? რად?...

უბრალო დამატების ბრუნვები

უბრალო დამატება მიყვაროდა

უბრალო დამატება მიყვაროდა, ჩვეულებრივ, თანდებულთან.
ეს თანდებულება: -სე, -ში, -თან. მაგალითები:

- **ზე თანდებულებანი:** ჯერი მიღება ჩვენს შეფუთვებში (ილია):
ის ფიქრობდა თავის ავადმყოფ ქმარზე (მ. არაგვ.); მე დღენი-
აღად ვფიქრობდი მასზე (ა. კალანდ.)...

- **ში თანდებულებანი:** ...სწავრობდა თოფის სროლაში... (ვა-
ჟა); ეს თქვენი დიდი გამოცდაც იქნება... საიდუმლოს შენახვა-
შიც (ლ. გოთ.); კამათი მალე ჩხუბში გადაიხარდა...

- **თან თანდებულებანი:** მაგასთან ხუმრობა არ გამოგადგება
(ა. ყაზბ.), ...ორგულთან ვარ დაუნდობელი... ერთგულთან მეც ვი-
ცი ძმობა (ილია): როგორ მინდა შენთან, ჩემო. მაგნოლია (ა. კა-
ლანდი.)...

თუ დავუკვირდებით საიდუმლოებრივ მასალას, შევნიშნავთ,
რომ მიცემით ბრუნვაში მღვარი უბრალო დამატება სხვადასხ-
ვა მნიშვნელობისაა. მაგალითად, **ზე** თანდებულებანი უბრალო
დამატებამ შეიძლება გამოხატოს სამოქმედო საგანი, რომელს-
აც ეხება სმნით გადმოცემული მოქმედება (ლ. კვაჭ.): ფიქ-
რობდა ქმარზე...

- **ში** თანდებულებანი უბრალო დამატებად ხშირად შევხვდებ-
ით საწყისებსა და აბსტრაქტულ სახელებს: წავრობდა ჯირით-
ში, მტრობა სიკეთეში გაცვალა...

- **თან** თანდებულებანი უბრალო დამატებისათვის ყველაზე
მეტად დამახასიათებელი თანაობის, თანამონაწილეობის გამო-
ხატვაა, რომლის მნიშვნელობის გაძლიერება ხდება ერთად
სმნისუფლის დამატებისათვის: მგლები მეცხვარეებთან ერთად მთაბა-

რობენ (თ. რა'სიკ.): ნიათან ერთად მკც ვარსყველი ოცნების ხეხილს (ი. გრი'შ.)...

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, ზე თანდებულებიანი უბრალო დამატება გვხვდება უფროობითი ხარისხის ფორმასთანაც, რომელიც შედგენილი შემასმენლის სახეადად ნაწილს წარმოადგენს: ჩვეულება რჯუალზე უმტკიცესია=ჩვეულება არის რჯუალზე უმტკიცესი. ძველ ქართულში კი უბრალო დამატება უფროობითი ხარისხის ფორმასთან ნათესაობით ბრუნვაში იღვა: გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი შეგონება: „არცარა ენის უტკებესი იქნებო და არცარა ენის უმწარესიო მთელს ქვეყანაზე...“ სულხან-საბასთან ზე თანდებულებიანი უბრალო დამატებაც გვხვდება უფროობითი ხარისხის ფორმასთან: **გაზაფხულზე უკეკლუცესი, შემოდგომაზე უმსუქნესი და თვალზე უმაღესი** არა იქნება რაო“.

უბრალო დამატება მიცემით ბრუნვაში უთანდებულოდაც შეიძლება შეგვხვდეს: „ქართველო, ხელი **ხმაღს** იკარ!“... ხელი გავიკარ **სატევარს** (აკაკი)... ამგვარი უთანდებულო მიცემითი უბრალო დამატების მნიშვნელობით ძალიან აღვიღადა და ბუნებრივად შეიძლება შეიცვალოს ზე თანდებულებიანი ფორმით: ხელი **ხმაღზე** იკარ! ხელი გავიკარ **სატევარზე** და ა.შ.

უბრალო დამატება ნათესაობითში

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება ძალიან მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. მან შეიძლება გამოხატოს რეალური ვითარების მიხედვით მოქმედი საგანი: დედის დანატოვარი ბეჭედი (შდრ.: **დედამ** დამიტოვა ბეჭედი), **გვალვისაგან** გამხმარი ბალახი (შდრ.: **გვალვამ** გაახმო ბალახი), შეიძლება გამოხატოს სამოქმედი საგანი: **სურათის** დახატვა (შდრ.: **სურათი** დახატა), **შვილისთვის** ნაყიდი სათამაშო... (შდრ.: **შვილს** ვყიდი...), მიუთითოს საგნის დანიშნულება (**ქვეყნისათვის**

თავდადებულნი...) ან - მასხალა. რომლისგანაც რაღაც კეთდება (სექქერომა ხისგან დაიშინადეს) და ა.შ.

აღბათ შენიშნეთ, რომ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულობანიც. თანდებულთაგან, ჩვეულებრივ, გვხვდება: -თვის, -გან, მიერ, გამო, შესახებ, თაობაზე, მაგივრად, ნაცვლად (წილ), მიმართ... მაგალითები:

- თვის თანდებულობანი: ძლიერო ღმერთო, შენთვის ბრძოდნენ ქართველთა ძენი (ილია); ის მათთვის არ არსებობდა (ო. ჭილა); ქართველ მეფეებს ხშირად მიუმართავთ ამქრებისათვის (ი. გრიშ.); თოკისათვის ხელი არ გაუშვია (ო. იოსელი); ...აქ ვისთვის აგროვებ იებს? (ა. კალანდ.)...

შენიშვნა 1: ნათესაობით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატებისათვის -თვის თანდებულის მაგივრობა შეიძლება გასწიოს ცალკე მდგომმა „გულისთვის“: მეგობრისათვის/მეგობრის გულისთვის გაიღო მან ეს მსხვერპლი.

2. თვის თანდებულის მნიშვნელობით ძველ ქართულში და თანდებულები იხმარებოდა (შეკვეცით - დ). იგი შემონახულია ფშაურ კილოში და ხშირად ვხვდებით ვაჟა-ფშაველას ნაწერებში: „იქ ყოფილაა აღვილი სხვისად მიცემა აბჯრისა“...: „გაციხად იარაღისა აყრა სიკვდილის სწორია“ (ვაჟა);

სხვისად=სხვისთვის; კაცისად=კაცისთვის. ორივე ფორმას - ძველსა და ახალს - გვერდიგვერდ ვხვდებით ანა კალანდაძის პოეზიაშიც: „მე ავმადლები შენს ლურჯ ცაზე, შენთვის ვიბრწყინებ, აღვინთები და დავმრტები შენდა“.

- გან თანდებულობანი: მისხენი, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან (ილია); არავინ იყო დასჯეული განსაცდელისაგან (ო. ჭილა); მეზობლისაგან ისესხა ბეჩაემა ლელამ პური (ვაჟა); ო, ისე ჩემად წავიდა ჩემგან... (ა. კალანდ.), ბევრ სადღეგრძელოს შენგან მოველი (მ. ლებანი.)...

მიერ თანდებულებანი: ის ჩამოსხმულია თითქო მათილოგიური როდენის მიერ (გ. რიბაქ.); ეს დღეს ჩემს მიერ იყო აღმოსენილი (რ. ინან.); 'სოგიერთი მოკრივე ხალხის მიერ დარქმეულ 'სედ-მეტ' სახელს ატარებდა (ი. გრიშ.); რედაქტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას... არასოდეს არ აკლდა იუმორი... (გ. ფანჯ.);

შესახებ თანდებულებანი: არც უფროსები გვეკითხებოდნენ ამ ამბის შესახებ (აკაკი); ...სვიმონთანაც კი ერთი სიტყვა არა თქვა წასვლის შესახებ (ა. ყა'სბ.); მე თითქმის ეველაფერი გი-ამბეთ თბილისის აბანოების შესახებ (ი. გრიშ.); დაღუპულთა შესახებ ჩონგურსე ლექსებს გამოთქვამდნენ (გ. ლეონ)...

შესახებ თანდებულის მნიშვნელობით გვხვდება თაობა'ზე: ამბის შესახებ//ამბის თაობა'ზე; წასვლის შესახებ//წასვლის თაობა'ზე; აბანოების შესახებ//აბანოების თაობა'ზე და ა.შ.

ნაცვლად თანდებულებანი: ღმერთმა ჰქნას, მომავალმა დრომ სობრალულის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს (ვაჟა); სუფრა'სე ჭიჭების ნაცვლად თიხის ფილაები იყო ჩამწკრივებული (ი. გრიშ.); ისინი ბაიათების ნაცვლად იადონის სტვენას იმენდნენ (ი. გრიშ.); სიკეთის ნაცვლად ბოროტებას სჩადიოდა (ო. ჭილა.); სურგ-ჩანთას დავწვი პასუხის ნაცვლად (მ. ლებან.)...

ნათესაობით ბრუნვა'ში მდგარ უბრალო დამატებას ნაცვლად თანდებულის ფუნქციით შეიძლება დაერთოს წილ. ნ. ბარათა-შვილის „მერანის“ ცნობილ სტრიქონებში - „სატრფოს ცრემ-ლის წილ მკედარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სევანი მკივარნი“ - ეს ორი სიტყვა (წილ, ნაცვლად) სინონიმური მნიშვნელობითაა გვერდიგვერდ გამოყენებული.

ამავე მნიშვნელობით უბრალო დამატების ნათესაობით ბრუნვასთან გვხვდება მაგივრად//მაგიერ: მე განა სისხლის მა-გივრად ძარღვებში წყალი მიდგა... ვულის მაგივრად მკერდში ქვა მიძევს? (ვაჟა); ცხარე ბრძოლის მაგივრად ხალხი საჩქა-

როდ დაძმობილდა (ა. ყაზბ.): კახისა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველ ქალების მაგიერად სა'ხოგადოდ (აკაკი)...

ჯილდოს მაგიერ ჩვენ გვლენიან (ილია): მის მაგიერ მე გთხოვთ (აკაკი); ის ქალი აქ დედათქვენის მაგიერ დაპარპა'შობს (ო. იოსელი.); მიწის მაგიერ აქ ასფალტი იყო (გ. რობაქ.); ბუნრის მაგიერ სანთელი გენთო (პ. იაშვი.)...

ნათესაობით ბრუნვაში მღვარ უბრალო დამატებას 'შეიძლება დაერთოს მიმართ: იქ... 'ქ'ირავთ უფლისა მიმართ მსხვერპლი ქებისა... (ილია); მტრების მიმართაც კი მტრობას აღარ ჰგრძნობდა (ვაჟა); შეცდომის მიმართ აღამიანი 'უმთავრესად ბრმაა (ო. ჭილა.); თავი მაღლა გქონდეს ვარსკვლავებით ათვალ'ულ ცის მიმართ (გ. რობაქ.)...

შენიშვნა: გარკვეულ 'შემთხვევებ'ში უბრალო დამატება 'შეიძლება გადმოსცეს კენ თანდებუ'ლიანმა ნათესაობითმა ბრუნვამაც: ვისკენ მი აქვთ ეს აღმები? (ლ. ასათ.); არ გამოუხედავს დედუნასკენ (რ. ინან.). (ე. კოშორიძე).

ნათესაობით ბრუნვაში მღვარი უბრალო დამატება, ჩვეულებრივ, სინტაგმას ქმნის სახელ'სმნასთან - სა'ყ'ისთან ან მიმდებარესთან, მაგრამ, როგორც საანალი'სო მაგალითებიდან 'შენიშნავდით, იგი ხშირად უკავშირდება 'სმნა-'შემასმენლის პირიან ფორმასაც, თუ'მცა უბრალო დამატება 'სმნაში პირის ნი'შნით არასოდეს არ იქნება წარმოდგენილი. ამით განსხვავდება იგი მთავარი წევრების - ქვემდებარისა და დამატება-ობიექტებისაგან; მაგრამ საინტერესოა, რომ უბრალო დამატება ხშირად ქვემდებარის, პირდაპირი დამატებისა და ირთი დამატებისგანაა „გამოსუული“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „პირიან 'სმნასთან 'შე'ყობილი ქვემდებარე (ანუ სუბიექტი) და დამატება-ობიექტები უპიროსთან 'შე'ყობისას ნათესაობით'ში დადგებიან (თანდებუ'ლით ან უთანდებუ'ლოდ) და უბრალო დამატებად გადაიქცევიან“ (ა. 'შანიძე).

შთავარი წევრებისაგან „გამოსუელი“ უბრალო დამატება, ნათესაობით ბრუნვაში მდგარი, შეიძლება დაჯიქავსირდეს არა მხოლოდ სახელსმნას (უპირო ფორმას), არამედ - პირიანსაც.

განვიხილოთ ეს საკითხები უფრო დაწვრილებით.

ჩვენ ვიცით, რომ მოქმედებითი გვარის სმნა შეიძლება ვნებითად გადაკეთდეს (ამას კონვერსია ჰქვია. იხ. გეგუჩაძე. ქართული ენა, ნაწილი მესამე, გვ. 83-85). ამ შემთხვევაში მას ერთი პირი დააკლდება (ეს პირი სუბიექტია, ანუ ქვემდებარე). ამიტომ სამპირიანი მოქმედებითი გვარის სმნა ორპირიან ვნებითს მოგვცემს, ორპირიანი - ერთპირიანს: ვნებითი გვარის სმნას სუბიექტად (ქვემდებარედ) ექნება მოქმედებითი გვარის სმნის პირდაპირი ობიექტი (პირდაპირი დამატება), ხოლო ის, რაც მოქმედებითი გვარის სმნის სუბიექტი (ქვემდებარე) იყო, ნათესაობით ბრუნვაში გადადგება, დაიროთავს მიერ ან გან თანდებულს და უბრალო დამატებად გადაიქცევა (ირიბი ირიბად რჩება). მაგალითად:

სამპირიანი მოქმედებითი: ასეთმა ყურადღებამ (S=ქვემდებარე) იმედი (პ.0=პირდ. დამატ.) ჩ ა უ ს ა ხ ა მოხუცს (ირ.0=ირ. დამატება).

ორპირიანი ვნებითი: ასეთი ყურადღებისაგან იმედი (S=ქვემდ.) ჩ ა ე ს ა ხ ა მოხუცს (ირ.0=ირ. დამატება);

ორპირიანი მოქმედებითი: საინტერესო სპექტაკლი (პ.0=პირ. დამატ.) დ ა დ გ ა ახალგაზრდა რეჟისორმა (S=ქვემდებარე).

ერთპირიანი ვნებითი: საინტერესო სპექტაკლი (S=ქვემდ.) დ ა ი დ გ ა ახალგაზრდა რეჟისორის მიერ.

ქვემდებარისაგან უბრალო დამატება შეიძლება მივიღოთ მაშინაც, როდესაც სმნა-შემასმენელს საწყისად ან მიმღობად გადავაქცევთ. შდრ.:

ნიაზმა (S=ქვემდ.) შ ე რ ხ ი ა ფოთლები, და:

ნიავის//ნიავისაგან//ნიავის მიერ (უბრ. დამატება) შ ე რ ხ ე უ ლ ი ფოთლები; ან: ნიავის მიერ//ნიავისაგან ფოთლების შ ე რ ხ ე ვ ა .

ახლა გავხსენიოთ, რა ემართება საპირიანი მოქმედებითი ან ორპირიანი საშუალო-მოქმედებითი გვირგვინის 'სმნის ირიბი ობიექტის (ირიბი დამატებას) III სერიის ფორმებში - აქ ირიბი დამატება აღარ გვაქვს: იგი მიცემითიდან ნათესაობითში გადადის, დაირთავს თვის თანდებულს და ხდება უბრალო დამატება:

მაშამ (S=ქვემდ.) ოცნება (პ.ო=პირდ. დამატ.) ა უ ხ დ ი ნ ა შვილს (ირ.ო=ირ. დამატ.), მაგრამ:

მაშას (S=ქვემდ.) ოცნება (პ.ო=პირდ. დამატ.) $\left\{ \begin{array}{l} აუხდენია \\ აუხდინა \\ აუხდინოს \end{array} \right\}$ შვილსთვის (უბრ.დამატ.)

მესაზღვრე (S=ქვემდ.) ს დ ა რ ა ჯ ო ბ ს ქვეყანას (ირ.ო=ირ. დამატ.).

მესაზღვრეს(S=ქვემდ.) $\left\{ \begin{array}{l} უდარაჯია \\ ედარაჯა \\ ედარაჯოს \end{array} \right\}$ ქვეყნისათვის (უბრალო დამატება).

ირიბი დამატებისაგან ნათესაობით ბრუნვაში მდგარ უბრალო დამატებას მივიღებთ მაშინაც, თუ 'სმნა-შემასმენელს საწყისად ან მიმდებარე ვაქცევთ. მაგალითად:

ნიჭს (O=ირ. დამატ.) ვ ა ფ ა ს ე ბ თ . 'სდრ.:

ნიჭის (უბრ. დამატება) დ ა ფ ა ს ე ბ ა : ნიჭის (უბრ. დამატ.) დ ა მ ფ ა ს ე ბ ე ლ ი .

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება შეიძლება მივიღოთ პირდაპირი დამატებისგანაც, თუ 'სმნა-შემასმენელს, რომელსაც პირდაპირი დამატება შეეწყობა, საწყისად ან მიმდებარე გადავაკეთებთ (მიმდებარე, ჩვეულებრივ, მოქმედებითი გვირგვინისა). 'სდრ.:

[მან=S] მოსაგული (პ.ო=პირდ. დამატ.) ა ი ღ ო , და:

მოსაგულის (უბრ. დამატება) ა დ ე ბ ა : მოსაგულის (უბრ. დამატ.) ა მ დ ე ბ ი ...

შენიშვნა: სუბიექტისაგან (ანუ ქვეყნუბარისაგან) მიღებულ უბრალო დამატებას სუბიექტისებურ (ანუ ქვეყნუბარისებურ) უბრალო დამატებას უწოდებენ. პირდაპირი ობიექტისაგან (ანუ პირდაპირი დამატებისაგან) მიღებულს - პირდაპირისებრს, ხოლო ირიბი ობიექტისაგან (ირიბი დამატებისაგან) გამოსუყლს - ირიბისებრს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე).

უბრალო დამატება მოქმედებითში

მოქმედებით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულნიანიც. გავეცნოთ ჯერ უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატების მაგალითებს:

ა) მოჯამაგირეს ურმით საფქვავე მიჰქონებოდა შინ (ილია); ბიჭებმა იმათ ჯოხით ცემა დაუწყეს (აკაკი); კალმით ნახატი სახე კმაყოფილების შუქით გაუბრწყინდა (ნ. ლომ.); ცეცხლით სწვავენ ტანშეძარცულ დედოფალსა (ა. კალანდ.); მტრედის ნისკარტით დაწერ ბარათებს (ნ. სამადა.); მთის წყალი დამალევენე შენი ღამაში ფოთლითა (ა. კალანდ.); თავს მოვიკაშმავ სირაქლემას ღამაში ფრთებით (ა. კალანდ.)...

ბ) ქოხში ცხოვრობდა ქერივი დედაკაცი ათი წლის გაუთ (აკაკი); ეხოში ამ დროს დიასახლისი დასეირნობდა თავისი ქალით (ი. გოგებ.); შარშან აქჩამოვიდა ჯაღაბობით (შ. არაგვ.); ეს, სადღა ნახავ ელამ მიკიგანს თავის დუქანთან მიბმული ყოჩით (ი. გრიშ.); ჯერ კიდევ სძინავს სუკთანსა თავისი ღარბაისლებით (ლ. ასათ.)...

თუ დავაკვირდებით წარმოდგენილ მაგალითებს, შევნიშნავთ, რომ ერთ (ა) შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება აღნიშნავს საჭურველს (ანუ იარაღს), რომლითაც მოქმედება სრულდება: ცეცხლით

სწავლანენ, ნისკარტით დაწერ, დაქაღვეცინე ფო-
თლით... იმასაც მივაქციოთ ექრადლება. რამ საჭურველის და-
მატებამ შეიძლება სმნა-სქმასმენელთანაც შეადგინოს სინტაქ-
სური წველი (ურმით მიჰქონებოდა, მოვიკაშმავე
ფრთებით) და - სახელსმნასთანაც (ფოხით ცემა, კალმით
ნახატო).

მეორე (ბ) სქმთხვევაში უთანდებულო მოქმედებით ბრუნით
უბრალო დამატება თანაობას გამოხატავს: ჩამოვიდა ჯაღაბობით
= ჩამოვიდა ჯაღაბთან//ჯაღაბობასთან ერთად; სძინავს
თავისი ღარბაისლებით=სძინავს თავის ღარბაისლებთან ერ-
თად და ა.შ. (გავისხნოთ: უბრალო დამატებამ თანაობა შეიძ-
ლება გადმოიხვეს თან თანდებულებანი მიცემითის ფორმითაც).

უბრალო დამატება თანაობას გამოხატავს ურთ თანდებულებანი
მოქმედებითი ბრუნითაც: აქ სცხოვრობდა... თავადი ღრუ-
არსაბ თათქარიძე თავის განქმორებელ მეუღლითურთ (ილია);
[ვაცო]... იწვევს თავისთან დედა თხებს თიკნებითურთ (ი. გო-
გებ.); შვილი დეღითურთ ეხვევა მამას და ძმას (შ. არაგვ.);
ჩემოდანმა... ვერ შეინახა ეს წერილი მინაწერთურთ (ჭ. ლომთ.);
სად უნდა წასულიყო ბავშვებითურთ! (ლ. ავალი.); სამოვ-
რის ირგვლივ ჩაის ჭიქები ღამბაქვებითურთ ჯარისკაცებით
იყვნენ გამწკრივებულნი (ი. გრიშ.).

ძველ ქართულში თანაობას მხოლოდ - ურთ თანდებულებანი
მოქმედებითი ბრუნვა გადმოსცემდა, ახალში იგი უფრო იშვი-
ათად გვხვდება. თანაობის გამოსახატავად ახალი ქართული ან
უთანდებულო მოქმედების იყენებს, ან - იან სუფიქსიან ფორ-
მას, რომელსაც ვითარებითი ბრუნვის ნიშანი აქვს დართული:
ბავშვებით//ბავშვებითურთ//ბავშვებთან ერთად//ბავშვებიანად;
მეუღლით/მეუღლითურთ/მეუღლესთან ერთად//მეუღლიანად.

საჭურველის უბრალო დამატების მსგავსად, მოქმედებით
ბრუნვაში მდგარი თანაობის უბრალო დამატებაც სინტაქსურ

წევრებს ქმნის როგორც სმნასთან (ცხოვრობდა მეკლდითურთ), ასევე - სახელსმნასთანაც (ბავშვებით/ბავშვებითურთ წახვდა: ბავშვებით/ბავშვებითურთ წასული)...

შენიშვნა: უბრალო დამატებად სმნა-შემასმენელთან სოგჯერ იმავე სმნის საწყისიც შეიძლება შეგვხვდეს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით: წახვლით აუცილებლად წავალთ, [ქაერს] ხელვით ვერ ვხედავთ: ეს შეძლებით კი შეიძლება... (აღბათ გაგახსენდათ ლეონისაბის „სობრძე“: „ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?!“). ამ მოვლენას პარონომაზია ეწოდება და ხდება უმთავრესად დიალოგებში“ (ა. შანიძე).

უბრალო დამატება ვითარებითში

ვითარებით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება უთანდებულოა და ადნიშნავს ახალ ვითარებას (ცვალებას, გადაქცევას). ასეთი დამატება ჩვეულებრივია სმნებთან, რომლებიც ადნიშნავენ დანიშნავს, გადაქცევას, მოჩვენებას“ (ა. შანიძე), გარდაქმნას. მაგალითად:

გიორგი მოჯამაგირედ დაღვა (ილია); ჩოფიკაშილი მთის ხალხის მმართველად დანიშნეს (ა. ყაზბ.); მოსისხლე მტერიც კი მოკეთედ ეჩვენებოდა (ვაჟა); ეს პატარა წიწილები დიდ ქათმებად გადაქცეულან (ი. გოგებ.); ორთქლი... ქაერში... იქცევა ღრუბლებად (ი. გოგებ.); არსენამ სულხანი ნათლიად მოიწვია (მ. ჯავახ.)...

ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ვითარებით ბრუნვაში მდგარ უბრალო დამატებად მხოლოდ არსებითი (ქათმებად, ღრუბლებად) ან გაარსებითებულ სახელები გვხვდება (მმართველად, მოკეთედ, მოჯამაგირედ...).

ვითარებით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატება სინტაქსურ წევრებს ქმნის სმნასთანაც (მოჯამაგირედ დაღვა, მმართვე-

ლაღ დ ა ნ ი შ ნ ე ს ...) და სახელსმნასთანაც: საწყისთან (მოჯამაგირედ და დ გ ო მ ა , მმართველად დ ა ნ ი შ ნ ა) და მიმღეობასთან (მოჯამაგირედ და მ დ გ ა რ ი . მმართველად დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ...).

უბრალო დამატების ურთიერთობა წინადადების სხვა ნაწილებთან

უბრალო დამატება სინტაქსურ წყვილს ქმნის 'ზმნა-შემასმენელთან ან სხვა წევრებთან, რომლებიც სახელსმნით - საწყისით ან მიმღეობით - არის გადმოცემული. ეს წევრი ქვემდებარეც შეიძლება იყოს (მაგ.: ბავშვის ნათქვამმა გამაოცა), პირდაპირი დამატებაც (ბავშვის ნათქვამი დავიჯერე), ორიბი დამატებაც (ბავშვის ნათქვამს დაუეკვირიდი), უბრალო დამატებაც (ბავშვის ნათქვამით მოვიხიბლე), განსაზღვრებაც (ბავშვის ნათქვამი სიბრძნე), გარემოებაც (ბავშვის ნათქვამიდან ასე ჩანს)... იშვიათად უბრალო დამატებამ შეიძლება შექმნას სინტაგმა შედსართავ სახელთანაც; ასეთი შედსართავი უმეტესად 'ზმნური წარმოშობისაა: ქების დ ი რ ს ი , ღვინით ს ა ვ ს ე ... პურით მ ა ძ დ ა რ ი , გულთ მ ა რ თ ა ლ ი და სხვა (ა. შანიძე).

სინტაქსური წყვილის წევრებს შორის შეიძლება იყოს მართვა, მაგრამ - მხოლოდ ცალმხრივი ან შუალაობითი: საურთიერთო მართვა გამორიცხვლია, რადგან თვითონ უბრალო დამატება ვერ ახდენს შემოქმედებას მასთან სინტაქსურ წყვილში მყოფ სიტყვაზე.

განვიხილოთ ეს შემთხვევები:

1. ზმნა-შემასმენელი ან სახელსმნით გადმოცემული წევრი უბრალო დამატებას მართავს ბრუნვაში - მოითხოვს მისგან გარკვეულ ბრუნვას იმის გათვალისწინებით, თუ რა შინაარსის გადმოცემა სურს. მაგალითად, ნათესაობის (სახლის აშენება,

სახელის ამქცეულები). ან - მოქმედების (კალმით დაწერა, კალმით წერა, კალმით დაწერილი), ან - ვითარების (მმართველად დანიშნეს, მმართველად დანიშნა, მმართველად დანიშნული)... მართვა ცალმხრივია.

2. 'სინა-შეპასმენელი ან სახელსინით გადმოცემული წერილი მართავს უბრალო დამატებას თანდებულის მეშვეობით, ანუ უბრალო დამატებას 'შეაღობითი მართვით უკავშირდება: გარკვეული 'სინაარსის გადმოსაცემად იგი უბრალო დამატებისაგან საჭიროებს გარკვეულ, ამ 'სინაარსის შესაბამის თანდებულს, თანდებული კი, თავის მხრივ, მოითხოვს სახელისაგან გარკვეულ ბრუნვას. მაგალითად:

იძისათვის, რომ უბრალო დამატებამ გადმოგვცეს მისაღა, რომლისგანაც რაიმე კეთდება, მას აუცილებლად გან თანდებულისანი ფორმა სჭირდება, - გან თანდებულს კი, თავის მხრივ, - ნათესაობითი ბრუნვა: ვერცხლისაგან ლამაზი სამკაული ღაამშადეს.

ან კიდევ: დანიშნულების გამოსახატავად უბრალო დამატებისათვის -თვის თანდებულისანი ფორმაა საჭირო, -თვის თანდებული კი სახელისაგან ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს: სუფრა გაშალეს სტუმრებისათვის.

შენიშვნა: უბრალო დამატება შესაძლოა მართლაც წვერადაც ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით თანაობის 'სინაარსს გამოხატავს (ცოლ-შვილით გაემგ'სავრა), რამდენადაც ამ 'სინაარსის გადმოსაცემად იმავე ბრუნვის თანდებულისანი ფორმაც შეიძლება გამოვიყენოთ (ცოლ-შვილითურთ გაემგ'სავრა). თანდებულისანი მიცემითიცა (ცოლ-შვილთან ერთად გაემგ'სავრა) და -იან სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვაც (ცოლ-შვილიანად გაემგ'სავრა).

ამრიგად, უბრალო დამატება არის წინადადების არაშთავარი წერი. იგი შეიძლება გადმოიცეს არსებითი სახელით (ამხა-

ნაგის თსიყ(ა). საცკელახეკლით (ჩემგან არ გესწავლებათ), სა-
წქით (დავიქან(კ) ხატვით). მიძეობით (დამხმარედ მიძინდა),
აგრეთვე - სხვა მკრეველების ნაწილებითაც, თუ მათ არსებითი
სახელის მნიშვნელობა ექნებათ.

უბრალო დამატება შეიძლება იღვეს ოთხ ბრუნვაში: მიცე-
მითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ამათგან
მიცემითი ბრუნვა, სვეულებროვ. თანდებულობია, იშვიათად -
უთანდებულო. თანდებულოთგან გვხვდება ზე, ში, თან. ვითარე-
ბითი ბრუნვა უბრალო დამატების ფუნქციით ყოველთვის მხო-
ლოდ უთანდებულოა, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში
კი უბრალო დამატება თანდებულობივც შეიძლება იქოს და
უთანდებულოც.

უბრალო დამატების კითხვები არსებითი სახელის კითხვებია
- ვინ? რა? ოღონდ - ბრუნვებისა და თანდებულების შესაბამი-
სად: ვის? ვისზე? ვისთან? ვისთვის? ვისგან? ვის მიერ? ვის შე-
სახებ? ვის მიმართ? ვის მაგიერ? ვის წინაშე? ...ვისი? ვისად?
რაზე? რაში? რასთან? რისთვის? (მგლისთვის დაუბრალო-
ბით), რისგან? რის მიერ? რის შესახებ? რის მიმართ? რის
წინაშე?... რით? რად?

უბრალო დამატება შინაარსით მრავალფეროვანია: მას შეუძ-
ლია გამოხატოს თანაობა (მე გობრებთან მუსაიფობს; ჩა-
მოვიდა ოჯახით // ოჯახით ურთ), დანიშნულება (ბავშვი-
ვებისათვის შევინახეთ), მასალა, რომლისგანაც რაიმე
ეყოლება (სკილენძისაგან ქვაბებს ამზადებდნენ), საჭურ-
ველი ანუ იარაღი, საგანი, რომლითაც მოქმედება სრულდება
(ქალმით ნაწერს ნაჯახით ვერ ამოშლი), ახალი ვითა-
რება, გარდაქმნა (მოსამართლედ დანიშნეს, ყინული
წყლად იქცა)... უბრალო დამატება სოფჯერ რეალურად მოქ-
მედ საგანსაც გულისხმობს, როდესაც იგი ქვემდებარისაგან
მომდინარეობს (ქარისაგან გადახდილი სახურავი ←
ქარმა გადახადა სახურავი) და - სამოქმედოსაც. როდესაც

ოცი დაძაბუებისაგანაა გამოხსული, პირდაპირისგან ან ირიბისგან (ძაღვის მოკრება, ძაღვის მიმკრები ← მან ძაღა მიიკრება: მოკეთისათვის მირთმეული საჩუქარი ← მოკეთეს მივართვი საჩუქარი) და ა.შ.

უბრალო დამატება სინტაქსურ წყვილს ქმნის 'სმნა-შემასმენელთან ან სახელსმნით გადმოცემულ წინადადების სხვადასხვა წევრთან და მასთან დაკავშირებულია ძირითადად ცალმხრივი ან შუალლობითი მართვით (შესაძლოა იყოს მართვაც).

განსაზღვრება

განსაზღვრება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც უკავშირდება სახელით ან სახელსმნით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. განსაზღვრება შეიძლება აღნიშნავდეს განსასაზღვრი სიტყვის ფერს (თეთრი ყვავილი ლურჯ მინდორზე დაჯდება როკით: ა. კალანდ.), თვისებას (ერთმა თამამმა მოწაფემ მკითხა მასწავლებელს: აკაკო), რაოდენობას (მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი, თოთხმეტი ცხე სეგნებიდან ლაქარჯს გასწვრივ: მ. ლუბან.), სადაურობას (აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას: ილია), კუთვნილებას (მისმა ცხენმა დიდხანს იტრიალა იმ ადგილებში: ა. ყაზბ.), მასალას (მსურდა მომეცა... ვარდი ქარვისა: ი. გრიშ.) და სხვა.

განსაზღვრება და ის სიტყვა, რომელსაც მიემართება, რომლის ნიშანსა თუ თვისებას ის გადმოსცემს, ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია (იხ. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეორე, გვ. 77-81): მსაზღვრელია განსაზღვრება, ხოლო საზღვრული კი - ის წევრი წინადადებისა, რომელსაც განსაზღვრება რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს.

განსაზღვრების ამოსაცნობად კითხვების ხერხსაც იყენებენ. ეს კითხვებია: როშელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდლენე? მერამდლენელი? ვისი? რისი? სადაური? როდინდელი?

განსაზღვრება ორი სახისაა: ატრიბუტული (ატრიბუტი ლათინური სიტყვაა და თვისებას, კუთვნილებას ნიშნავს, ატრიბუტივი - თვისების აღმნიშვნელი, განსაზღვრელი) და მართული ანუ სუბსტანტიური (სუბსტანციაც ლათინურია და არსს აღნიშნავს, სუბსტანტივი - არსებითი სახელი). ამ სიტყვათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ატრიბუტულია ისეთი განსაზღვრება, რომელიც საგნის ნიშანზე, მის თვისებაზე მიუთითებს. ესაა, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა... სუბსტანტიურს კი ისეთ განსაზღვრებას უწოდებენ, რომელიც მიუთითებს თვით საგანზე და სუბსტანტივით, ანუ არსებითი სახელით, ან გასუბსტანტივებული (გაარსებითებული) სიტყვითაა გადმოცემული.

ატრიბუტული განსაზღვრება

ატრიბუტული განსაზღვრება შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით:

ზედსართავი სახელით (ვითარებითითაც და მიმარებითითაც): მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით... ცხელი მიწა ყრუდ ნელდებოდა (ნ. სამაღ.); ბნელში ბრწყინავდა ძველი ნათურა (ო. ჭილა.); განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ... მზის სხივებს (ვაჟა); წინ კლდოვანი აღმართი იყო (ო. იოსელი.); 'სტკურბლ'ზე სახებანჯგვლიანმა კაცმა გადმოაღაფა (ლ. ქიჩი.)...

რიცხვითი სახელით (რაოდენობითით, რიგობითით, წილობითით):

თერთმეტი კაცი თერთმეტ დივიზიას უკარის (ო. იოსელი.); ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს... ბევრი ავდარი გამოიყვლია (ილია); სამასი თასით რა მოაქვს ჩვენთან კრწანი-

სის მსუდრებს? (ა. კალანდ.)... მეხუთე კვირა შესრულდა... ბრძაღისა (ვაჟა); მესამე რაღდაძემ ირანე გადადგმო (თ. ბიბილა); ...ლიჯდიაძემ პირველი ქმრის ერთგული დარჩა (ვაჟა)... ხაქის მხილილ მათული ნაწილი შესრულდა; ამას ნახევარი საათი დასჭირდა...

ატრიბუტული განსახლდებობის მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს -მდე თანდებულობის რიცხვითი სახელიც: ასამდე ქართველი დარჩა ბრძოლის ველზე; თითო პეპელა ხუთ-სამდე კვერცხს დებს (ი. გოგებ.).

ნაცვალსახელით („ნაცვალსახელთაგან განსახლდებად ყველა ჯგუფს იხმარება, გარდა პირისა“ ა. შანიძე): ეს განძი თოფ-იარაღი იყო (ილია); ის კაცი... სახლიდან დავითხოვეთ (ა. ყაზბ.); ამ სახლს მარჯვნივ წაღმით დახურული მარანი ედგა (ილია); იმდენი ბავშვი ჩემს დღეში არ მენახა (აკაკი); ...ფიცარზედ რამდენი ბუხი სის? (ილია); რომელი დვინო შეგედობაო? (ვაჟა); როგორი... პერანგი მაცვია? (ნ. ლომ.); ჩემი ძმა პეტერბურგში არ დამხვდა (აკაკი); ...შენს გულში გაუხარებდი (ა. კალანდ.); ყველა თავის ნაბიჯს ამაროლებდა (გ. ფანჯ.); ვისი სული გსურს... თვითულ ამქარს მფარველი ჰქავდა (ი. გრიშ.); სხვა კაცად ვიქეცი თითქოს (ო. ჭილა.); რამდენიმე წუთმა მიძიმე სიწყემში გაიარა (ა. ყაზბ.); დაფრთხა რომელიღაც ფრინველი ბარდებში; ზოგიერთი სოკო... გემრიელი საჭმელია (ი. გოგებ.); არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია (მ. ლუბან.).

მიმღობით: შეგუბებულმა პაერმა მოძრაობა დაიწყო (ილია); მშვიდად სძინავს დაქანცულ სოფელს (ო. ჭილა.); სამი დღის მწყურვალ დაჭრილს ენა გაუხმა (თ. იოსელი.); მწუხარე ბავშვი შეველას ითხოვდა (პ. იაშვი.); ...ტივს ადიღე-ბული წყალი ჩამოიგანს (ი. გრიშ.)...

ატრიბუტულ განსახლდურებად იშკითად საწყისიც გვხვდება: ბაბაღუმ ჯიბიდან ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმში (ილია); ორი წველა ყველი გაუქსაჟნა ქალაქში შვილს; ვანომ ერთი სროლა ტყვია - წამალი მომცა (ვაჟა).

ატრიბუტული განსახლდურების მნიშვნელობით შეიძლება შეგვხდეს ზომის (ორი პექტარი მიწა), წონის (ათასი ტონა ხაწვავი), საწყაოს (ხუთი ლიტრი „საფერავი“), პროფესიის (ექიმი გომართელი), წოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი (პროფესორი შანიძე, თავადი მაჩაბელი), აგრეთვე მიმართვის დროს გამოხაყნებული სიტყვები (მაშიდა ასმათი, ბა გიორგი, ბატონი დავითი, ქალბატონი ნინო...). მაგალითები:

ბერმა კოკა წყალმა ჩაიარა (შ. არაგვ.); კაცმა ორი ურემი პური დაფქვა (ვაჟა); ერთი აბა მწყერი გამოგსაჟნა (ილია); პროფესორმა კორინთელმა თვალი შეაფლო... მეცხვარეს (კ. გამს.); მამა იროდიონი შვილს გულდასმით ყურს უგდებდა (ვაჟა); კახთბატონი ალექსანდრე მტკიცედ იდგა თავის... წესზე (დ. გომ.); უცხად რალაც მოაგონდა ჰაზ დიმოს (მ. ჯავახ.).

სუბსტანტიური განსახლდურება

მართულია ანუ სუბსტანტიურია ისეთი განსახლდურება, რომელიც ყოველთვის ნათესაობით ბრუნვაში დგას და ბრუნებისას არ იცვლება. იგი გადმოიცემა არსებითი სახელით (ან გაარსებითებულ სხვა მეტყველების ნაწილით და შეუძლია გამოხატოს კუთვნილება (დედის მანდილი), მასალა (მარმარილოს სეტი), დანიშნულება (მურაბის თეფში) და სხვ. მაგალითები:

სოფლის ორღობეებში დაიწეს ჰრიჭინი... ურმებმა (ილია); შორიდან მოისმა ზურნის ხმა (დ. კლდ.); ცაზე ცეცხლის ხაზი გაიკლაკნა (შ. არაგვ.); მაშინ კახეთის რკინიგ-

სა გააკეთდათ (გ. დეონ.): ფეხქვეშ ცაცვიოთ საფლავის დო-
ლი ყურძნის მტევნებით (ა. კალანდ.); არწივის თვალებს
მიღამოს ავლებ (ა. კალანდ.)...

წინადადების რომელ წევრთან ქმნის განსაზღვრება სინტაქ-
სურ წვეილას? განსაზღვრება, ატრიბუტულიცა და სუბსტანტიუ-
რიც, როგორც უკვე ითქვა, მსაზღვრელია, საზღვრულის ფუნქ-
ციით კი შეიძლება შეგვხვდეს სახელით გადმოცემული ეველა
წევრი წინადადებისა: ოღონდ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს
ერთი რამ: თუ განსაზღვრება ატრიბუტულია, საზღვრული წევ-
რი შეიძლება გადმოცემული იყოს არსებითი სახელითაც და სა-
ხელსმნითაც (მღრ.: უცხო კაცი და უცხო მფარველი,
სადაც უცხო ორივე შემთხვევაში ატრიბუტული განსაზღვრებაა);
მაგრამ განსაზღვრება სუბსტანტიური მხოლოდ იმ შემთხვევაში
იქნება, თუ საზღვრული სიტყვა არსებითი სახელით იქნება
გადმოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში
მდგარი და მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული სახელი უბ-
რალო დამატება იქნება და არა სუბსტანტიური განსაზღვრება.

მაგალითად, შეუდაროთ ერთმანეთს:

ხის კოვზი (არს. სახ. + არს. სახ.).

ხის ჭრა (არს. სახ. + საწყისი).

ხის მჭრელი (არს. სახ. + მიმღეობა).

მოუხედავად იმისა, რომ მსაზღვრელად ერთი და იგივე
(ხის) სიტყვა გვაქვს, ხის მხოლოდ პირველ მაგალითშია სუბ-
სტანტიური განსაზღვრება (რადგან საზღვრული - კოვზი -
არსებითი სახელია), დანარჩენი ორი ხის კი უბრალო დამატე-
ბაა, რადგან მისი წვეილის ცალი სახელსმნაა (ერთ შემთხ-
ვევაში - ჭრა - საწყისი, მეორეში - მჭრელი - მიმღეობა).

წარმოგიდგინებ მაგალითებს, რომლებშიც განსაზღვრება
(ატრიბუტულიცა და მართულიც) მსაზღვრელის ფუნქციით წი-
ნადადების სხვადასხვა წევრთანაა დაკავშირებული:

ქვემდებარესთან: შეგუბებულმა გრძნობამ გადმოხეიქა (ა. ყაზბ.); გაღმა ბებური შატრილი გორისად აწილდება (ა. კალანდ.); მინდვრებზე მგლის ჯოგი დაძრწის (ვაჟა); გარედან სტვენის ხმა შემოიჭრა (ო. იოსელი)...

პირდაპირ დამატებასთან: მე ვნახე შენი ლამაზი ფშავი (ა. კალანდ.); უთუოდ ჩამოჰყარეს... ჩამოსაყრელი ბომბები (ო. იოსელი); ქვეწის ჭორებს ქარი ხელში ათამაშებს (პ. იაშვი.); შიშველს გადახადა თოვლის სეწარი (მ. ლებანი)...

ირიბ დამატებასთან: ვიღაცა დედაბაბი უწერებდა მიმაგალ ქალს (ა. ყაზბ.); ლურჯ ბაღახებს... გულის ნადებს განდობს დალღაც (ა. კალანდ.); ყერს მიუჯდებ სამოთხის ჩიტებს (მ. ლებანი); გისაზე დაფენილ ხეების ღანდებს... ვუფროხით (ა. კალანდ.)...

უბრალო დამატებასთან: ჭორფლიან ცხენით დადის (პ. იაშვი.); ისევ დაიწყო გაურკვეველი ფიგურების ხატვა (გ. ფანჯ.);

ატრიბუტული განსაზღვრება სუბსტანტიურთან: გონებას შენსა უამურ ფიქრთა ხვესი ედება (ა. კალანდ.); ახლა გამოსროლილი ტყვიის აღსაც ვერ დაინახავ (ო. იოსელი)...

სუბსტანტიური განსაზღვრება სუბსტანტიურთან: ოთახი მაგიდის ნათურის... სინათლემ გაანათა (გ. ფანჯ.); ლუქხანაში ჩამოუსხეს ლუდი საქართველოს პოეტების მეფეს (მ. ლებანი)...

შენიშვნა: იმის გამო, რომ ორივე განსაზღვრება ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (მაგიდის ნათურის, საქართველოს პოეტების), არ უნდა გვეგონოს, რომ აქ ბრუნვაში შეთანხმებული ატრიბუტული განსაზღვრებები გვაქვს. ორივე განსაზღვრება სუბსტანტიურია (ანუ მართული) და ორივეს თავისი სასღვრული წერი აქვს: მაგიდის ნათურა, მაგიდის ნათურამ, მაგიდის ნათურას, მაგიდის ნათურის... ნათურის სინათლე, ნათურის სინათლემ, ნათურის სინათლეს...

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან: აბანოში ქე-
ფი უბეღლესი სვეულეზა იყო (ი. გრიშ.); პიეტი ამაყო
კაცია (პ. იაშვი.); ხიხარულიც ტრფობის ბრადია (პ. იაშვი.)...

სახელისაგან წარმოქმნილ გარემოებასთან: ამ ბველ ტა-
ძარში ბელურები ისადგურებენ (ა. კალანდ.), დაბინდულ მო-
ედანზე უმხედრო ცხენი გამოვიდა (თ. ბიბილა.); იმ საღა-
მოს სტეფანწმინდას ამოვედი (ილია)...

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ განსახლდებოდა,
ჩვეულებრივ, წინ უსწრებს განსახლდებს, ანუ თანამედროვე
ქართულისათვის ჩვეულებრივია მსახლდრეულ-სახლდრეულის პირ-
დაპირი (პრეპოზიციური) წყობა: მზრუნველი დედა, მონას-
ტრის გუმბათი... მაგრამ ვხვდებით (განსაკუთრებით -
პოეზიაში) შებრუნებულ (ინვერსიულ, პოსტპოზიციურ) წყო-
ბასაც. აი რამდენიმე ნიმუში ანა კალანდაძის პოეზიიდან:

გამომეცხადა რჩეული ჩემი... გულის დამფენია მზედ
ცხოველი; მოელო ბოლო სულის ჩემის მბრწყინავ სუიმთა...
ანას ერთ პატარა ლექსში მსახლდრეულ-სახლდრეული მხოლოდ
ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი:

იასპი ჩემი მიმტაცა მტერმა
და ძოწი ჩემი და ღაღი თლილი...
ო, კაენ, კაენ, არს ცეცხლი შენი
კვლავ... დავსებული და დაშრეტილი”.

შესაძლებელია, რომ სახლდრეულ წევრთან ორი (ან მეტი)
განსახლდებოდა გვექნდეს, რომელთაგან ერთი წინ უსწრებდეს,
მეორე კი მოსდევდეს მას. მაგალითად, „ნელად მოლელავს
მოდულუნე მტკვარი ანკარა“ (ნ. ბარათ.), რომელშიც სახლდ-
რეულ წევრთან (ქვემდებარესთან - მტკვარი) ორი განსახლდ-
რებაა ნახმარი: მოდულუნე - პრეპოზიციური წყობით და ანკარა
- პოსტპოზიციურით.

განსახლდურება შეიძლება **გათიშულიც** იყოს თავისი სახლდურელი წევრისაგან სხვა ზიჯეით (ან ზიჯეებით). ეს ენება ატრიბუტულ განსახლდურებასაც და სუბსტანტიურსაც, როგორც პირდაპირი, ისე - შებრუნებული წყობისას. მაგალითები ანა კალანდაძის პოეზიიდან: **დიღებულს ვხედავდი სა ხ ე ს**; **მოიღო ც ე ც ხ ლ ი მ ან ღუთაებრივი**; **ვინ დაინქმოს ხ ა ტ ი ი გ ი წარუგალობის...**

სოფჯერ შესაძლებელია წინადადებაში განსახლდურება გეჭონდეს, მაგრამ არ იყოს წარმოდგენილი მისი სახლდურელი, ანუ ის წვერი წინადადებისა, რომელსაც მიემართება და განსახლდურავს მოცემული განსახლდურება. ეს არაერთარ უხერხულობას არ ქმნის, რადგან გამოტოვებული წვერი კონტექსტის მიხედვით ადვილად იტყულისხმება. „ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა სახლდურულის გამეორება არ სურათ და სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე“ (ა. შანიძე). ასეთ განსახლდურებას **განმარტოებული განსაზღვრება** ჰქვია. მაგალითად:

ჩვენი სახლის ერთი აივნებიდან **ზღვის პეიზაჟს** გაუყურებდით, **მეორე აივნებიდან კი - მთისას**. ამ წინადადებაში რამდენიმე განსახლდურებაა: **ორი - ატრიბუტული (ერთი, მეორე), ერთი - სუბსტანტიური (სღვის), ერთიც - განმარტოებული (მთისას).**

შენიშვნა: როდესაც განმარტოებული განსახლდურება მოლიანად კარგავს კავშირს სახლდურულთან, იგი ხმნიჟელის ფუნქციას იძენს და გარემოებად იქცევა. ასეთებაა: გამთენიისას, შუადღისას, შუალამისას, ვახშობობისას, სადილობისას, მეზობლებისას, მოყვრებისას და ა.შ. (იხ. ლ. გეგუაძე, ქართული ენა, ნაწილი მეორე, გვ. 81). მაგალითები: **ვის უნახავს ვარდობისას (როდის?) თოვლი მთებზე? (ა. კალანდ.); მეზობლისას (სად?) ტირის ვიტარა (ა. კალანდ.).**

განსახლდერება - ატრიბუტუელიცა და სუბსტანციურიც - 'სოფ-
ჯერ ისე მკიდრიოდაა დაკავშირებული თავის სა'ხლდერელთან,
რომ . ამგვარ მსახლდერელ-სახლდერელს ერთ წევრად თვლიან.
ასუთებია: შავი 'ხლვა, კარიბის 'ხლვა, წყნარი ოკეანე, ინდოეთის
ოკეანე და ა.შ.

განსახლდერების სინტაქსური ურთიერთობა სახლდერულთან

(მართლწერის საკითხებითურთ)

რადგან განსახლდერებაცა და მისი სახლდერული სიტყვაც სა-
ხელია (ან სახელის ფუნქციით გამოყენებული სხვა მეტყველე-
ბის ნაწილი), მათ შორის შესაძლებელია იყოს **შეთანხმება**
ბრუნვასა და რიცხვში და **მართვაც** სახელის მიერ სახელისა
ბრუნვაში. ამის მიხედვით განსახლდერება-მსახლდერელი შესაძ-
ლოა იყოს **შეთანხმებულიც, მართულიცა და მართულ-შეთანხ-**
მებულიც.

1. როდესაც თანხმობანფუძიანი ატრიბუტუელი განსახლდერება
გადმოცემულია შედსართავი სახელით, მიმღეობით, რიცხვითი
სახელით ან სოგიერთი ნაცვალსახელით (გარდა ჩვენებითი -
ეს, ეგ, ის - და კუთვნილებითი - ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, -
მათი - ნაცვალსახელებისა) და წინ უსწრებს სახლდერულს, მსა-
ხლდერული სრულად ეთანხმება ბრუნვაში სახლდერულს სამ
ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, მოლი-
ანად მოეკვეცებათ ბრუნვის ნიშნები მიცემითსა და ვითარებით-
ში, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შესრებათ მხოლოდ
ხმოვანი ი (თანხმობითი ნაწილი - ს, თ - ეკარგებათ):

სახ. სათელ-ი	დღე	გამთბარ-ი	გულ-ი	ბეერ-ი	საქმე	ზოგიერთ-ი	ყვაილ-ი	
მოსხ.	სათელ-მა	დღე-მ	გამთბარ-მა	გულ-მა	საქმე-მ	ზოგიერთ-მა	ყვაილ-მა	
მიც.	სათელ-ს	დღე-ს	გამთბარ-ს	გულ-ს	საქმე-ს	ზოგიერთ-ს	ყვაილ-ს	
ნათ.	სათელ-ი	დღე-ის	გამთბარ-ი	გულ-ის	ბეერ-ის	საქმე-ის	ზოგიერთ-ი	ყვაილ-ის
მოქმ.	ნათელ-ი	დღე-ით	გამთბარ-ი	გულ-ით	ბეერ-ით	საქმე-ით	ზოგიერთ-ი	ყვაილ-ით
ვით.	ნათელ-ად	დღე-ად	გამთბარ-ად	გულ-ად	ბეერ-ად	საქმე-ად	ზოგიერთ-ად	ყვაილ-ად
წოდ.	ნათელ-ო	დღე-ო	გამთბარ-ო	გულ-ო				

მაგრამ, თუ ატრიბუტული პრეპოზიციური განსახლდებუბა სხვა სატყვეთ გაითიშება სასდერუელისაგან, მას სრულად ექნება წარმოადგენილი ბრუნვის ნიშანი: ცოცხალ ვაჟკაცს (მიცემითი ბრუნვის ნიშანი განსახლდებუბას მოკვეცილი აქვს), მაგრამ: „ცოცხალ-ს კი უნდა ეხურის ვაჟკაცსა ქელი თავისდა“ (ვაჟა).

2. თუ თანხმოდანფუძიანი ატრიბუტული განსახლდებუბა მოსდევს სასდერულ წევრს (დღე ნათელი, გული გამთბარი, საქმე ბეერი...), ორივეს - სასდერულსაც და მსახლდერულსაც - ბრუნვის ნიშნები სრულად ექნება დართული:

სახ.	დღე	ნათელი	გული	გამთბარი
მოსხრ.	დღე-მ	ნათელ-მა	გულ-მა	გამთბარ-მა
მიც.	დღე-ს	ნათელ-ს	გულ-ს	გამთბარ-ს
ნათ.	დღე-ის	ნათელ-ის	გულ-ის	გამთბარ-ის
მოქმ.	დღე-ით	ნათელ-ით	გულ-ით	გამთბარ-ით
ვით.	დღე-ად	ნათელ-ად	გულ-ად	გამთბარ-ად
წოდ.	დღე-ო	ნათელ-ო	გულ-ო	გამთბარ-ო

3. როდესაც თანხმოდანფუძიან ატრიბუტულ განსახლდებუბად კუთვნილებითი - ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი - ნაცვალსახელებია, პირდაპირი წყობის დროს ბრუნვის ნიშნები ექნებათ არა სამ, არამედ ოთხ ბრუნვაში: სახელობითში, მოსხრობითში, მიცემითსა და წოდებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში (დანარჩენთა მსგავსად) მხოლოდ ხმონითი ნაწილი შეჩებათ (ა) ბრუნვის ნიშნისა, ვითარებითში კი - ს (მიცემითის მსგავსად):

სახ.	ჩემ-ი	შენ-ი	ჩვენ-ი	თქვენ-ი	მათ-ი	ცხოვრება
მოთხ.	ჩემ-ისა	შენ-ისა	ჩვენ-ისა	თქვენ-ისა	მათ-ისა	ცხოვრება-მ
მაც.	ჩემ-ს	შენ-ს	ჩვენ-ს	თქვენ-ს	მათ-ს	ცხოვრება-ს
ნათ.	ჩემ-ი	შენ-ი	ჩვენ-ი	თქვენ-ი	მათ-ი	ცხოვრებ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	შენ-ი	ჩვენ-ი	თქვენ-ი	მათ-ი	ცხოვრებ-ით
ვით.	ჩემ-ს	შენ-ს	ჩვენ-ს	თქვენ-ს	მათ-ს	ცხოვრება-დ
წოდ.	ჩემ-ო		ჩვენი-ო			ცხოვრება-ვ

4. თუ ატრიბუტულ განსახლვრებად გამოიყენებულა კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი) მოსდევს სახლვრულ წევრს (ცხოვრება ჩემი, ახრი შენი, სურვილი ჩვენი. განსრახვა თქვენი, სიკეთე მათი), ჩვეულებისამებრ, ორივე იბრუნვის იმ განსხვავებით, რომ მიცემით ბრუნვაში მსახლვრელს (განსახლვრებას) უორმაგლება ბრუნვის ნიშანი (ჩემ-ს → ჩემს-ა-ს, შენ-ს → შენ-ს-ა-ს, ჩვენ-ს → ჩვენ-ს-ა-ს, თქვენ-ს → თქვენ-ს-ა-ს, მათ-ს → მათ-ს-ა-ს), ხოლო ვითარებითში დაიბრუნებს თავის ბრუნვის ნიშანს (ად):

სახ.	ცხოვრება ჩემ-ი	შენ-ი	ჩვენ-ი	თქვენი	მათ-ი
მოთხ.	ცხოვრება-მ ჩემ-მა	შენ-მა	ჩვენ-მა	თქვენ-მა	მათ-მა
მაც.	ცხოვრება-ს ჩემ-ს-ა-ს	შენ-ს-ა-ს	ჩვენ-ს-ა-ს	თქვენ-ს-ა-ს	მათ-ს-ა-ს
ნათ.	ცხოვრებ-ის ჩემ-ის	შენ-ის	ჩვენ-ის	თქვენ-ის	მათ-ის
მოქმ.	ცხოვრებ-ით ჩემ-ით	შენ-ით	ჩვენ-ით	თქვენ-ით	მათ-ით ;
ვით.	ცხოვრება-დ ჩემ-ად	შენ-ად	ჩვენ-ად	თქვენ-ად	მათ-ად
წოდ.	ცხოვრება-ვ ჩემ-ო		ჩვენ-ო		

(ვითარებითი ბრუნვა შემბრუნებული წყობის დროს იშვიათია, პრაქტიკულად არც გვხვდება).

5. თუ ატრიბუტულ თანხმოვანფუქიან პრეპოსიციურ განსახლვრებად პროფესიის, თანამდებობის, სამეცნიერო ხარისხის, წოდების აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს, სახლვრულთან (რომელიც ამ შემთხვევაში საკუთარი სახელია) ერთად ბრუნების დროს ოთხ ბრუნვაში - მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედე-

ბიოსა და ვითარებითში - ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი, ანუ ბრუნვის ნიშნები მას მხოლოდ სამ ბრუნვაში ექნება: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში:

სახ.	პროფესორ-ი შანიძე	ექიმ-ი ყოფშიძე	რექტორ-ი ჯავახიშვილი
მოთხ.	პროფესორ-მა შანიძე-მ	ექიმ-მა ყოფშიძე-მ	რექტორ-მა ჯავახიშვილ-მა
მიც.	პროფესორ შანიძე-ს	ექიმ ყოფშიძე-ს	რექტორ ჯავახიშვილ-ს
ნათ.	პროფესორ შანიძის	ექიმ ყოფშიძის	რექტორ ჯავახიშვილის
მოქმ.	პროფესორ შანიძით	ექიმ ყოფშიძით	რექტორ ჯავახიშვილით
ვით.	პროფესორ შანიძედ	ექიმ ყოფშიძედ	რექტორ ჯავახიშვილად
წოდ.	პროფესორ-ო შანიძე(ვ)	ექიმ-ო ყოფშიძე(ვ)	რექტორ-ო ჯავახიშვილ-ო

ასეთივე ვითარება გვექნება მაშინაც, როდესაც ატრიბუტული თანხმოვანფუძიანი მას'სდვრეღის ფუნქციით გამოვიყენებთ ისეთ სიტყვებს, როგორცაა: სტუდენტი, ამხანაგი, მეგობარი, გასეთი, უქრნალი...

სახ.	გაზეთ-ი	„კვირის პალიტრა“	ეურნალ-ი „შათობ-ი“
მოთხ.	გაზეთ-მა	„კვირის პალიტრა-მ“	ეურნალ-მა „შათობ-მა“
მიც.	გაზეთ	„კვირის პალიტრა-ს“	ეურნალ „შათობ-ს“
ნათ.	გაზეთ	„კვირის პალიტრის“	ეურნალ „შათობის“
მოქმ.	გაზეთ	„კვირის პალიტრით“	ეურნალ „შათობით“
ვით.	გაზეთ	„კვირის პალიტრა-დ“	ეურნალ „შათობ-ად“
წოდ.	[გაზეთ-ო	„კვირის პალიტრა-ვ“]	[ეურნალ-ო „შათობ-ო“]

გამონაკლისია მხოლოდ ორი სიტყვა - ბატონი და ქალბატონი, რომლებიც მას'სდვრეღის ფუნქციით ისევე უნდა გამოვიყენოთ, როგორც ეს 1. პუნქტშია აღნიშნული: სრული დაბოლოება სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნაწილობრივ მოკვეცილი ნათესაობითსა და მოქმედებითში, მთლიანად მოკვეცილი მიცემითსა და ვითარებითში. ასე რომ, მართებული ფორმებია:

ნათ.	პროფესორ შანიძის,	მეგრამ. ბატონ-ი/ქალბატონ-ი შანიძის
მოქმ.	პროფესორ შანიძით.	მეგრამ: ბატონ-ი/ქალბატონ-ი შანიძით

6. რაღაცაჯ ატრიბუტული განსაზღვრება სიოგანფუქიანი და წინ უსაწრებს საზღვრულს. იგი ფუქის სახითაა წარმადეჯინილი (ხაოცნებო დღე, ხაოცნებო დღე-მ, ხაოცნებო დღე-ს, ხაოცნებო დღ-ის, ხაოცნებო დღ-ით, ხაოცნებო დღე-დ, ხაოცნებო დღე-ო/ვ); მაგრამ. თუ ამგვარი განსაზღვრება პოსტპოზიციამი აღმოსნდება, ბრუნვამი შეთანხმება სრული იქნება (დღე ხაოცნებო, დღე-მ ხაოცნებო-მ, დღე-ს ხაოცნებო-ს, დღ-ის ხაოცნებო-ს(ი), დღით ხაოცნებო-ით, დღე-დ ხაოცნებო-დ, დღე-ო ხაოცნებო-ვ).

ასევე სრული იქნება შეთანხმება ბრუნვამი პირდაპირი წყო-ბის დრისაც, თუ ხმოვანფუქიანი განსაზღვრება საზღვრული-საგან სხვა წვერით გაითიშება: მომცრო სენაკ-ს მივადექით, მაგრამ: მომცრო-ს მივადექით სენაკ-ს.

7. მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის მართვა იმ შემ-თხვევამი გვაქეს, თუ პრეპოზიციური განსაზღვრება სუბსტან-ტიურია, ანუ ნათესაობით ბრუნვამი დგას და ბრუნებისას აღარ იცვლება. ამგვარი განსაზღვრება არსებითი სახელია, ან არსე-ბითი სახელის ფუნქციით გამოყენებული სიტყვა. სუბსტანციური განსაზღვრება იმართვის ნათესაობით ბრუნვამი თავისი საზღვ-რული წვერის მიერ, ამიტომაც უწოდებენ მას მართულ განსა-ზღვრებას (მისი სხივ-ი, მისი სხივ-მა, მისი სხივ-ს, მისი სხივ-ის, მისი სხივ-ით, მისი სხივ-ად, მისი სხივ-ო).

8. თუ სუბსტანტიურ განსაზღვრებას წყობას შევეუცვლით (ანუ მას საზღვრული წვერის შემდეგ დავაყენებთ), განსაზღვ-რება შეინარაქნებს ნათესაობითი ბრუნვის საფრცობიან ნიშანს (ამჯერად როგორც უკვე ფუქის კუთვნილებას) და მოთხრო-ბითში, მიცემითსა და წოდებითში დამატებით სრულად დაირ-თავს ამ ბრუნვათა ნიშნებს. სახელობითსა და ვითარებით ბრუნ-ვამი განსაზღვრებას ბრუნვის ნიშანი არა აქეს, ხოლო ორი ბრუნვა - ნათესაობითი და მოქმედებითი - ახალ ქართულში პრაქტიკულად აღარ გვხვდება.

სახ.	სხივ-ი შხ-ისა	ხმალ-ი აღმაშენებლ-ისა
მოთხ.	სხივ-მა შხ-ისა-მ	ხმალ-მა აღმაშენებლ-ისა-მ
მიც.	სხივ-ს შხ-ისა-ს	ხმალ-ს აღმაშენებლ-ისა-ს
ნათ.	- -	
მოკმ.	- -	
ვით.	სხივ-ად შხ-ისა	ხმალ-ად აღმაშენებლ-ისა
წოდ.	სხივ-ო შხ-ისა-ო(ვ)	ხმალ-ო აღმაშენებლ-ისა-ო(ვ)

ამგვარ სუბსტანტიურ პოსტპოზიციურ განსახლდურებას მართულ-შეთანხმებულს უწოდებენ (რამდენადაც ბრუნვაში მართვის მახვენებელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია და დამატებულია ბრუნვაში შეთანხმების მახვენებელი ნიშანიც: შხ-ისა-მ, აღმაშენებლ-ისა-ს... (განსხვავებული თვალსაზრისის (თ. უთურგაიძე) შესახებ იხ. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეხუთე, გვ. 35-36).

შენიშვნა: ძველ ქართულში სუბსტანტიური პოსტპოზიციური განსახლდურება ყველა ბრუნვაში სრულად უთანხმდებოდა სახლდურულ წევრს (სხივ-ი შხისა-გ, სხივ-მან შხისა-მან, სხივ-სა შხისა-სა, სხივ-ისა შხისა-გსა, სხივ-ითა შხისა-გთა, სხივ-ად შხისა-დ), სხივ-ო შხისა-ო).

9. მართულ-შეთანხმებული იქნება განსახლდურება არა მხოლოდ მაშინ, თუ პრეპოზიციაში მყოფი სუბსტანტიური განსახლდურება სახლდურელის შემდეგ აღმოჩნდება (ლუთის განგებამ, მაგრამ: განგებამ ლუთისა-მ), არამედ მაშინაც, თუ წინ მდგომი სუბსტანტიური მახლდურელი სხვა წევრით გაითიშება თავისი სახლდურელისაგან. (მღრ.: ფიჭვის გორას დავდგამ, მაგრამ: „ფიჭვისას დავდგამ გორასა“ (ვაჟა). სიყვარულის გვირგვინს დავწნავ, მაგრამ: „სიყვარულისას დავწნავ გვირგვინსა“ (ვაჟა).

10. რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ასეთი ვითარება გვაქვს:

ა) პირველ ადგილზე მდგარი განსახლდურება, ატრიბუტიულობა და მართულიც, არ უთანხმდება რიცხვში უბან მრავლო-

ბითში მდგარ სა'სღვრულ წევრს: მაღალ-ი მთა - მაღალ-ი მო-
 ყბ-ი; ხიკეთის მარცვალ-ი - ხიკეთის მარცვალ-ებ-ი; ჩემ-ი ამხა-
 ნაგ-ი - ჩემ-ი ამხანაგ-ებ-ი. ეს საქმე - ეს საქმე-ებ-ი, 'შემოღ-
 გომის დღე - 'შემოღგომის დღე-ებ-ი, მ'სის სხივი - მ'სის სხი-
 ვ-ებ-ი და ა.შ.

ბ) ნაწიან მრავლობითში მდგარი სა'სღვრული წევრი ითან-
 ხმებს ბრუნვასთან ერთად რიცხვშიც თავის წინ მდგარ მსა'სღვ-
 რულს (განსა'სღვრებას), თუცა 'შიძლება 'შევხვდეთ რიცხვში
 'შეთანხმებლობის მაგალითებსაც: მიუვალ-ი კლდე-ნ-ი - მიუ-
 ვალ-ნ-ი კლდე-ნ-ი; მიუვალ-ო კლდე-ნ-ო - მიუვალ-ნ-ო კლდე-
 ნ-ო; თანაან მრავლობითში დასმულ სა'სღვრულს კი თანა-
 მედროვე ქართულში განსა'სღვრება, ჩვეულებრივ, არ ეთანხმება
 რიცხვში: მიუვალ კლდე-თა გვექნება მოთხრობითშიც (ჩემი
 მ'სერა მიიპყრეს მიუვალ კლდე-თა = მიუვალ-მა კლდე-ებ-მა),
 მიცემითშიც ('შევეყრებ მიუვალ კლდე-თა = მიუვალ კლდე-
 ებ-ს) და ნათესაობითშიც (მომაჯადოვა სილამა'სემ მიუვალ
 კლდე-თა = მიუვალ კლდე-ებ-ის).

'შეხადლოა 'შეგვხვდეს რიცხვში 'შეთანხმების მაგალითებიც
 (საილუქტრაციო მასალა ანა კლანდაძის პოე'სიიდანაა): ბერ-
 თა ბაღათა გადიბაღათეს; მ'შვიდ-თა ცათა ამოენთება
 ვარსკვლავი კიდეთ; მივემთხვე მარად მწუხარ-თა ცრემლთა ...

გ) რაოდესაც ატრებიუტული განსა'სღვრება, თანხმოვანფუძია-
 ნიცა და ხმოვანფუძიანიც, მოსდევს ებან მრავლობითში მდგარ
 სა'სღვრულ წევრს, რიცხვში 'შეთანხმება, ჩვეულებრივ, არ გვაქვს
 ხოლმე: მთ-ებ-ი მაღალ-ი, ქობ-ებ-ს პატარა-ს, კლდე-ებ-ს მიუ-
 ვალს... ი'შეთათად 'შიძლება რიცხვში 'შეთანხმებულ ფორმებსაც
 'შევხვდეთ („მთ-ებ-ი თაჭარაჭნიან-ებ-ი ფიქრს მისცემიან
 მწარესა“: ვაჟა). 'შეთანხმება არ გვაქვს არც სუბსტანტიური
 განსა'სღვრების 'შემთხვევაში: „ტოტ-ებ-ს ქარისას გადაპყვა
 მარტი“ (გ. ტაბ.).

დ) როდესაც სასლფერული წვერი ნართანანი მრავლობითის ფორმაა, მისი მამლყენი (ანუ პოსტპოსიორი) მასლფერული - ატრობუტული განსასლფერება, - აუკილებლად შეთანხმდება მას რიცხვში: მთა-ნ-ი თავსასქანიან-ნ-ი, მთა-თა თავსასქანიან-თა... მთა-ნ-ო თავსასქანიან-ნ-ო, მაგალითები: [შექუქრვარსკვლავმა] სრა დათ-მი ს ხ ი ვ - თ ა მფინარ-თა (ა. კალანდ.); წკალოკა თეთრი ხომ არ დასტირის ნ ე შ ტ - თ ა კუთილ-თა" (ა. კალანდ.); წკალობა ც ა თ ა მალალოთ კვლავ ჩემს მინდერებზე მენებოს (ა. კალანდ.)...

ასევე აუკილებლად გვექნება რიცხვში შეთანხმება მაშინაც, როდესაც სუბსტანტიური (ანუ მართული) განსასლფერება პოსტპოსიორიაშია (ანუ მართულ-შეთანხმებულა): ბალახ-ნ-ი მთისა-ნ-ი; ბალახ-თა მთისა-თა... ბალახ-ნ-ო მთისა-ნ-ო. ფიქრობენ მ თ ა - ნ - ი სოფლისა-ნ-ი" (ვაჟა).

11. თუ ატრობუტული განსასლფერების ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტ საგანს ვარაუდობს (ასეთებია რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები - ყველა, რამდენი, რამდენიმე, იმდენი...), სასლფერული მხოლოდით რიცხვში უნდა იდგეს: სამი ძმა, ყველა მოქალაქე, რამდენი საქმე, რამდენიმე ადამიანი, იმდენი სიკეთე და ა.შ. მაგალითად: ს ა ნ თ ე ლ ი ჩ ა ქ რ ა სამასიოდე, სამასიოდე კერა ცივდება (ა. კალანდ.); ათმა თოფმა ერთად იგრიდა (მ. ჯავახ.); ოჯახის ოთხივე წევრი გამალებით მუშაობდა (ნ. ლორთქ.); მაქერებლებს რამდენიმე ახალგაზრდა შეპოემატა (გ. შატბ.)...

მხოლოდით რიცხვში უნდა იდგეს სასლფერული მაშინაც, როდესაც ატრობუტულ განსასლფერებად გვაქვს სხვადასხვა: სხვადასხვა დავალები (და არა: სხვადასხვა დავალებები), სხვადასხვა შემთხვევა (და არა: სხვადასხვა შემთხვევები)...

შენიშნა: არსებობს მოსასრება, რომ (გარდა ატრობუტული და სუბსტანტიური განსასლფერებისა), განსასლფერება შეიძლება იყოს პრედიკატულიც (ლ. კვაჭაძე). მაგალითად, ლუარსაბი გაშ-

ტერებული იღვა (იღია). ამკვარი განსაზღვრება ხინჯაკსურ
წიგლის ქმის შემასმენელთან, მაგრამ ქვესტუბარისა ან ღამა-
ტება-ობიექტის ნიშან-თვისებაზე მიგვიითიებს. ზოგიერთი მეცნიერ-
ის აზრით, ეს წვერი ვითარების გარემოებაა (ი. იმნაიშვილი),
ზოგის აზრით, - შეღვენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი,
ე.წ. ატრიბუტივიანი რთული შემასმენელი“ (ა. დლონტი).

მოკლედ შევაჯამოთ ის, რაც ითქვა განსაზღვრების
შესახებ.

განსაზღვრება წინადადების არამთავარი წვერია, რომელიც
მიემართება სახელით (ან სახელის ფუნქციით გამოიყენებულ
სიტყვით) გადმოცემულ წვერს და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის
მიხედვით. განსაზღვრებამ შეიძლება აღნიშნოს განსასაზღვრი
სიტყვის ფერი (ღურჯი დიდილო), თვისება (კეთილი ან გე-
ლოზი), რაოდენობა (ცხრა ძმა), სადაურობა (თბილისელი
აშუღი), კუთვნილება (ჩემი ოცნება), მასალა (აღმასის
თვალი, ბრინჯაოს მხედარი), დანიშნულება (შის
სათვალი).

განსაზღვრების ამოსაცნობად იყენებენ კითხვებს: რომელი?
როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? მერამდენედი (ნაწი-
ლი)? ვისი? რისი? სადაური? როდინდელი?

განსაზღვრება ორი სახისა არსებობს: ატრიბუტული და
სუბსტანტიური. ატრიბუტულია განსაზღვრება, რომელიც საგნის
ნიშანს ან თვისებას აღნიშნავს. იგი შეიძლება გადმოიცეს
ზედსართავი სახელით (დიდი საქმე, გონივრული საქ-
ციელი), რიცხვითი სახელით (სამი მეგობარი, მეცხრე
ტაღა, მესხელი ნაწილი), ნაცვალსახელით (ეს ცხოვ-
რება, იმდენი საქმე, ჩვენი იმედი, ზოგიერთი ადამი-
ანი...), მიმღობით (დაღლილი სახე, აღუღებელი ზღვა,
შემზარავი ფაქტი...), საწყისით (ერთი წველა ყველი),
ზომის, წონის, საწყაოს, პროფესია-ხელობის

ან წოდება - თანამდებობათა აღმნიშვნელი არსებითი სახელებით (პექტარი ფართობი, კილოგრამი შაქარი, კოკა წყალი, ბოთლი ღვინო, პედაგოგი გოგებაშვილი, თავადი ჰავჭავაძე, მებაღე მამულაშვილი...).

სუბსტანტიურია ისეთი განსახლვრება, რომელიც არსებითი სახელით ან გაარსებითებული სიტყვით გადმოიკვება, ნათესაობით ბრუნვაში დგას, სახლვრელთან ერთად ბრუნებისას არ იცვლება და აქცილებლად არსებითი სახელით გადმოიკვებულ წევრთან ქმნის სინტაქსურ წყვილს.

სუბსტანტიურმა განსახლვრებამ შეიძლება გამოხატოს კუთვნილება (მეგობრის მეუღლე), მასალა (ალუმიანის ქვაბი), დანიშნულება (ყავის ჭიქა) და სხვ.

სუბსტანტიურ განსახლვრებას მართულ განსახლვრებასაც უწოდებენ. მართული განსახლვრება მართული მსახლვრელია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მართული მსახლვრელი ნათესაობით ბრუნვაში მდგარი უბრალო დამატებაც შეიძლება იყოს. მღრ.: სახლის კარი, სახლის შენება, სახლის მშენებელი. სამივე მაგალითში სახლის მართული მსახლვრელია, მაგრამ მართული განსახლვრება მხოლოდ პირველია (სახლის კარი), მეორე და მესამე (სახლის შენება, სახლის მშენებელი) კი - მართული უბრალო დამატება. მათს ერთმანეთისგან განსახსნავებლად ყურადღება ექცევა სახლვრულს: როდესაც სახლვრული არსებითი სახელია (კარი), მისი მსახლვრელი (სახლის) განსახლვრებაა, ხოლო, თუ სახლვრული სახელსმნაა - საწყისი (შენება) ან მიმღეობა (მშენებელი), მსახლვრელი (სახლის) უბრალო დამატებად ითვლება.

თუ სუბსტანტიური განსახლვრება სახლვრული წევრის მომდევნოდ დადგება, იგი მართულ-შეთანხმებული გახდება: შერჩება ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმა, როგორც ფუძის კუთვნილება, რომელსაც დაემატება სახლვრული წევრის ბრუნვის

სიძინე; ძველ ქართულში - ყველა ბრძევისი, ახალ ქართულში კი - საძინე; მთხრობითში, მიცემისა და წოდებითში, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრძენები პრაქტიკულად აღარ გვხვდება.

განსაზღვრება (რომელიც ყოველთვის მსაზღვრელია) სინტაქსურ წყვილს ქმნის საზღვრულთან, საზღვრული წევრი კი შეიძლება იყოს **ქვემდებარე** (უცხო ხალხი შეიკრება), პირდაპირი დამატება (მშვენიერი ხასხსლე აავი), ირიბი დამატება (შეკრებილ ბავშვებს მიესალმა), უბრალო დამატება (მიწა დაიფარა გამხმარი ფოთლებით, **ლამაზი** ყვავილების ხატვა უქვარდა), სუბსტანტიური განსაზღვრება (მის ირგვლივ **უცნაური** ადამიანების წრე შეიკრა), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (მხატვარი **შემოქმედი** ადამიანია), სახელისაგან წარმოქმნილი გარემოება (ბევლ ქალაქში უცხოელებმა მოიყარეს თავი).

განსაზღვრება თავის საზღვრულ წევრთან, ჩვეულებრივ, პრეპოზიციამა (წინ უსწრებს საზღვრულს), მაგრამ შეიძლება მოხდეს მას. შდრ.: ჩემი ცხოვრება - ცხოვრება ჩემი; მუხთაღმა ბელმა - ბელმა მუხთაღმა; მშვენიერ ქალს - ქალს მშვენიერსა და ა.შ.

შესაძლოა საზღვრულ წევრს ორი ან მეტი განსაზღვრებაც კჳონდეს, რომელთაგან სოგი წინ უსწრებდეს, სოგიც მოხდეს მას: მაგ.: **ფერდაკარგული** სახე **დაჭრილისა**. ატრიბუტული განსაზღვრება (ფერდაკარგული) წინ უსწრებს საზღვრულს (სახე), ხოლო სუბსტანტიური (დაჭრილისა) მოხდეს მას: **ფერდაკარგული** სახე, სახე **დაჭრილისა**.

განსაზღვრება, ატრიბუტულიცა და სუბსტანტიურიც, შეიძლება უშუალოდ უკავშირდებოდეს თავის საზღვრულ წევრს, ან შეიძლება ერთი ან რამდენიმე სიტყვით გათიშული იყოს მისგან. მაგალითად: რა იქნებოდა... **მადლიანი** ნუგეში იმ მად-

ლიანი კაკისა (ილია). ამ წინადადებაში განსახლდრება მად-
ლიანი ორჯერაა ნასმარი და ორჯერვე უქცალოდ უკავშირდება
სახლდრულ წვერს (მადლიანი ნუგეში, მადლიანი კაცისა). ხო-
ლო განსახლდრება კაცისა (რომელიც იმავდროულად სახლდრულ-
ლია მსახლდრელისათვის მადლიანი) ორი სიტყვით (იმ მადლი-
ანი) არის გათიშული მისგან: ნუგეში... კაკისა.

განსახლდრება შეიძლება იყოს განმარტობებულიც, როდესაც
სახლდრული წვერი (სტილისტიკური მისხით) წინადადებაში
წარმოადგენილი არ არის, მაგრამ კონტექსტით ადვილად იგუ-
ლისხმება: ისინი ხან მთის ამბებს ჰყვებიან, ხან - ბარისას.
ბარისას (=ბარის ამბებს) განმარტობული მსახლდრელია.

განსახლდრება ხინკაგმას ქმნის სახელით ან სახელთან
გათანაბრებელი სიტყვით გადმოცემულ სახლდრულ წვერთან. ეს
წვერი კი შეიძლება იყოს ქვემდებარე (კეთილმა ბერი-
კაცმა... ჩაიღინა: ილია), პირდაპირი დამატება
(ყურშიამ... საკვირველი საქმე ჩაიღინა: ვაჟა), ირიბი და-
მატება (თანდათან მიუჯახლოვლით ჩვენს სოფელს: ვაჟა),
უბრალო დამატება (სპირიდის თავისი ცოლის
რწევა მოეწონა: მ. ჯავახ.), განსახლდრება (სახლის...
საძირკვლის ყურესთან ოთხი თოფი იყო მიქულებული: ლ.
ქიახელი). შედგენილი შემასმენლის სახელადი
ნაწილი (ქეთოც ჩვეულებრივი ინტელიგენტი გამო-
დგა: მ. ჯავახ.), სმნისუდად ქცეული სახელით გადმოცემული
გარემოება (გიორგი თავის სოფელში პატრის იყო და-
ჩვეული: ნ. ლორთქ.).

თავისი წველის წვერთან ურთიერთობის თვალსაზრისით,
განსახლდრება შეიძლება იყო შეთანხმებული (ბრუნვაში, რი-
ცხეში), მართული (ბრუნვაში) და მართულ-შეთანხმებული (მარ-
თული ბრუნვაში, შეთანხმებული ბრუნვასა და რიცხვში). მაგა-
ლითები: ახალი ამბავი, ამგვარმა წესმა, ნათელი

დღეო. სენაკს მომცროს. ოცნებით დიადით... ხა'ს-
გასმული სიტყვები (ახალი, ამგვარმა, ნათელი, მომცროს,
დიადით) ბრუნვაში შეთანხმებული განსაზღვრებებია.

ცეცხლის ხა'ხი, შის სხივი, სოფლის ეკლესია, მონასტრის გუმბათი, მონადირის შვილი... ხა'სგასმული სიტყვები (ცეცხლის, შის, სოფლის, მონასტრის, მონადირის...) ბრუნვაში მართული (სუბსტანტიური) განსაზღვრებებია.

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებულთაგან ებიან მრავლობითს ნაკლები ძალა აქვს რიცხვში შეთანხმებისა, ვიდრე ნართანიანს. ამიტომ ებიან მრავლობითში მდგარი სასდერული, სვეულებრივ, ვერ ითანხმებს რიცხვში ვერც მის წინ მდგომ განსაზღვრებას (ახალი ამბ-ებ-ი, ამგვარმა წეს-ებ-მა, ნათელი დღე-ებ-ო...) და ვერც - მის მომდევნოდ მდგარს (სენაკ-ებ-ს მომცროს, მინდვრ-ებ-ი მწვანე, ოცნებ-ებ-ით დიადით...). ებიან მრავლობითში მდგარ სასდერულთან რიცხვში შეთანხმებული განსაზღვრება იშვიათად გვხვდება, ისიც - მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის დროს: „ნაქერალაში დამდგარან თუ შეებ-ი თქიან-ებ-ი, გარს სანგლად შემოუვლიათ ხევ-ებ-ი ბეჭიან-ებ-ი“ (ვაჟა).

როდესაც სასდერული წვერი ნართანიან მრავლობით რიცხვშია, იგი მის წინ მდგარ სუბსტანტიურ მსაზღვრელს ვერ ითანხმებს რიცხვში: შის სხივ-ნ-ი, სოფლის ეკლესიან-ნ-ი, მონასტრის გუმბათ-ნ-ი. ნართანიან მრავლობითში მდგარმა სასდერულმაც შეიძლება ვერ შეითანხმოს მის წინ მდგარი ატრიბუტული განსაზღვრება: მაღალი მთა-ნ-ი, რჩეულ ქალ-თა... ამგვარ პოიციიაში ატრიბუტული განსაზღვრების სასდერულთან რიცხვში შეთანხმების მაგალითებს ახალ ქართულში იშვიათად, მაგრამ ვხვდებით: მაღალ-ნი მთა-ნ-ი, რჩეულ-თა ქალ-თა... (ეს ფორმები უფრო პოეზიისათვისაა დამახასიათებელი); მაგრამ, თუ განსაზღვრება სასდერულის

შემდეგ აღმოჩნდება (ანუ პოსტპოზიციური წყობის დროს). ბრუნვაში შეთანხმებასთან ერთად ნართახთან მრავლობით რიცხვში შეთანხმებაც აუცილებლად მოხდება: მთა-ნ-ი მაღალ-ნი, ქალ-თა რჩეულ-თა, კედელ-ნ-ი ტაძრისა-ნი, გუმბათ-ნ-ი მონასტრისა-ნი... ორი უკანასკნელი განსახლდურება (ტაძრისანი, მონასტრისანი) მართლაც შეთანხმებულია.

თუ ატრიბუტულ განსახლდურებად გვაქვს რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ან ისეთი სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა ერთსე მეტ საგანს ვარაუდობს, სახლდურული მხოლობით რიცხვში უნდა დადგეს: ორი ძმა, ყველა ადამიანი, რამდენიმე მოქალაქე, სხვადასხვა დავალები... შვიდი გურჯანელ-ნი ტიპის მსახლდურულ-სახლდურული იშვიათია.

ბარემოებანი

გარემოება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც გვიხვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ, რისთვის, რამდენად ან რამდენჯერ ხდება მოქმედება. მაგალითები:

აქაც კარგი კაცი იყო. იქ ნათელი დაადგესა (ხალხ.): ღამით დარღები აწუხებს, დღისით - ჩიტების ყიფ-ყივი (ვაჟა); მსე წითლად ამოდიოდა (ხალხ.): ეს გაუგებრობის გამო მოხდა (მ. არაგვ.): ის წრაფის სხივი მისი შენს სახილველად (ა. კალანდ.): იმან რამდენჯერმე ამოიოხრა (ა. ყაზბ.).... ხაზგასმული სიტყვები (აქაც, იქ, ღამით, დღისით, წითლად, გაუგებრობის გამო, რამდენჯერმე) გარემოებებია.

გარემოება შეიძლება ამოვიცნოთ კიოხებით: სად? (აქ, იქ, შორს, ახლოს, გარეთ, შიგნით...). როდის? (დღეს, გუშინ, ხვალ, სეგ, შარშან...), როგორ? (კარგად, ცუდად, ერთბაშად, სას-

(ოკად...), რატომ? (ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ, დიდთოველობის
გამათ...), რისთვის? = რა მიზნით? (ამისათვის, იმისათვის, სახარ-
ჯოდ, ასაშენებლად, სიმშვიდისათვის...), რამდენად? (მეგრად,
ერთიორად, ძვირად, მილიონად...), რამდენჯერ? (სამჯერ, ბევრ-
ჯერ, შვიდგზის...) და ა.შ.

გარემოება (მნიშვნელობის მიხედვით) ხუთი სახისაა: ადგ-
ილისა, დროისა, ვითარებისა, მიწისა და მიზნისა. ყველა
მაოგანი უპირატესად შმნასთან ქმნის სინტაქსურ წყვილს:
შორს ცხოვრობს, დილით წვიმდა, ჭკვიანურად საუბ-
რობს, საომრად ემსახება, ბევრჯერ უნახავს..., მაგ-
რამ გარემოება შეიძლება დაუკავშირდეს სახელშმნასაც -
საწყისსაც და მიმღობასაც. შდრ.: გარეთ გავიდა და: გა-
რეთ გასვლა, გარეთ გასული (გასასვლელი, გამსვლე-
ლი...). გარემოება შესაძლოა შედსართავ სახელთან და 'შმნი'სე-
დასთანაც იყოს დაკავშირებული: ბაღიან მაღალი, სასი-
ამოფნოდ გრილი: მეტისმეტად შორს, უფრო მაღლა და
სხვ. ასეთ შემთხვევებში გარემოება აღნიშნავს „სომა-ოდე-
ნობასა და ხარისხს რაიმე ნიშან-თვისებისას“ (ლ. კვაჭაძე).

მეტყველების ნაწილთაგან გარემოებას, უპირველეს ყოვ-
ლისა, გადმოსცემს 'შმნი'სედა, მაგრამ იგი შეიძლება გადმოი-
ცეს სახელის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარ-
ებითი ბრუნვის როგორც უთანდებულო, ისე - თანდებულოანი
ფორმით. სახელებს ამ შემთხვევაში 'შმნი'სედის ფუნქცია აქვთ.

ადგილის გარემოება

ადგილისაა გარემოება, თუ ის გვისვენებს მოქმედების ად-
გილს ან მიმართულებას და მოგვიგებს კითხვებზე: სად?
საიდან? საითკენ? (რა მიმართულებით?), საით? სადამდე?

ადგილის გარემოებამ შეიძლება აღნიშნოს:

ა) ადგილი, სადაც მოქმედება ხდება: **გარეთ** ქარი ყანა-
დობს (მ. ლებან.); **ქვემოთ** არაგვი გუგუნებს (ა. კალანდ.);
თვალწინ იელვა მეტყვევის ქონმა (მ. ლებან.); ის ჯარისკაცი
წინ იდგა (ო. იოსელია)...

ბ) ადგილი, საითკენაც მიმართულია მოქმედება: ნაფიქრებუ-
ლი წაველ **შინისკენ** (ილია); უცნობი იქით იყურებოდა
(ო. რა'იკ.); მერცხალი... **ზევით** ასრიალდება (ი. გოგებ.)...

გ) მოქმედების საწყისი პუნქტი: ერთი ნახუქებული ბიჭი...
შენიდან წამოეპარა (გ. ფანჯ.)... წამოიწყეს **გაღმიდან**
მეგრული სიმღერები (პ. ია'შვ.); **აქედან**... ვიწრო ორღობე
მოსდევს (ნ. ლომ.)...

დ) მოქმედების სასრული (მიწევის) პუნქტი: **აქამდე** გად-
მოსავალი მრავალი მთა და გორია (ვაჟა); ეკიპაით მოვე-
დი **აქამდის** (აკაკი); ჩემს ბედს **ბოლომდინ** მივიტან (ილია)...

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ძირითადად **შინი-**
ზედები იყო წარმოდგენილი ადგილის გარემოებად. როგორც
აღვნიშნეთ, ადგილის გარემოებად შეიძლება შეგვხვდეს 'სმნი-
'სელის ფუნქციით გამოიყენებული სახელებიც მიცემითი, ნათესა-
ობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის უთანდებულო და
თანდებულონი ფორმით.

მიცემითი ბრუნვა ადგილის გარემოებად

ეს ბრუნვა ადგილის გარემოებად უთანდებულოც შეიძლება
იქოს და თანდებულონიც. თანდებულთაგან გვხვდება -**ზე**, -**ში**,
-**თან** და ცალკე მდგომი **შორისშუა**.

ა) უთანდებულო მიცემითი: დედამ შეიღო **გულს** სა-
იკრა (ილია); **კახეთს** თოფები ტყვეებოდა (ვაჟა); გუშინ...
პეტერბურგს გაემგზავრა (გ. რობაქ.); დიდი დავითის

„ხინანული“ ისმოდა სიონს (ა. კალანდ.). გადაქვითლდა კახეთს სურები, ლიხთ-იმერეთს - კორალები (მ. ლეხანი)...

წარმოადგინილ უთანდებულო მიცემითის ფორმებს ში თანდებულებიანი ადგილის გარემოების მნიშვნელობა აქვთ: გუასს(=გუასში) ჩაიკრა; კახეთს (=კახეთში) ტყვრებოდა; პეტერბურგს (=პეტერბურგში) გაემგ'საერა; ისმოდა სიონს (=სიონში); გადაქვითლდა კახეთს (=კახეთში), ლიხთ-იმერეთს (=ლიხთ-იმერეთში)...

ბ) თანდებულებიანი მიცემითი:

- ში თანდებულებიანი: ჩავედით ქალაქში (ილია); ტყეში ერთი მუხა იდგა (ვაჟა); მცხეთაში მეფემ ქორი ააფრინა (გ. რობაქ.); დელაქალაქში მოვიდა დესპანი (ლ. ასათ.); ქვესკნელში ეძებს საფარსა ღრუბელი გამოქცეული (ვაჟა); ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები (ა. კალანდ.); ჭალაში გავარდა თოფი (მ. ლეხან.)...

- ზე თანდებულებიანი: ცაზე ღრუბლები აირია (ო. იოსელი.); კბეზე ბაბუა გამოჩნდა (გ. ფანჯ.); მინდა ავევარდე მამადავითზე (პ. იაშვი.); ალაზნის ველზე ...დგას ალავერდი (ა. კალანდ.); მოედანზე ჯამბასები გამოჩნდნენ (თ. ბიბილა.); რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს დმერომა (ლ. ასათ.); ცაზე ვარსკვლავები აინთო (ო. იოსელი.)...

- თან თანდებულებიანი: [ის] მარტო იჯდა ბუნართან (აკაკი); უკანასკნელი შეძახილი ჭიშკართან მოისმა (მ. ჯაფახ.); დადევნებულმა ტყვიამ ყურთან... იწივლა (ო. იოსელი.); ჩემი ოჯახის ანგელოზი ჭიშკართან გელის (მ. ლეხან.); ჩვენ პირველად საფიზნოსთან შევხვდით ერთმანეთს (თ. ბიბილა.); იდგა ბუნართან ხელადა სველი (ლ. ასათ.); [გოგონა] კედელთან იდგა (მ. ჯაფახ.)...

შორის/შუა თანდებულებიანი (როგორც ცნობილია, „ეს ორი თანდებული იხმარება ორ ან მეტ სახელთან, ან კიდევ ერთ

სახელთან, მაგრამ მრავლობითის ფორმით: ა. მინიქი); მაგიდასა და ღუმელს შორის ვერაფერს მოტრიალდებოდა (ო. ჭილა.); გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს (ილია); სველი მეხრე კამერებს შუა ჩაწვა გასათობად (ს. მგალ.); ტოტებს შორის... ისევ გამოჩნდა თეთრი ქალაქი (ო. ჭილა.); ორად გაყოფილ ქიმებს შორის მოსრდილი ქვა ჩაჭედდილიყო (ო. იოსელი.); აივტი დაბნეული დაბიჭებდა კარებს შორის (ო. ჭილა.); კლდელოდა შორის გრგვინვით გასურს დაივიწყო თავი (ა. კალანდ.)...

ადგილის გარემოების მნიშვნელობით გვხვდება „გა'სმნი'სედებუელი“ (იხ. შენიშვნა, გვ. 87) ნანათესაობითარი მიცემითის ფორმებიც, როგორცაა: მეზობლისას, მოყვრებისას და ა.შ. მაგალითად:

- სადა ვარ?... - გაკვირებით წარმოთქვა იმან. - ნინაისასა ხარ, შე ბედ'შავო, ნინაისასა! (ა. ყაზბ.); ბევრი ხვეწნის... შემდეგ... გაგზავნეს სიმამრისას (ვაჟა);

ნათესაობითი ბრუნვა ადგილის გარემოებად

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა ადგილის გარემოებად მხოლოდ თანდებულობითა. ესაა -კენ - შერწყმული თანდებუელი, ან ცალკე მდგომი თანდებულის ფუნქციით გამოყენებული 'სმნი'სედები: წინ, გვერდით, უკან, ირგვლივ, მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ და ა.შ., რომლებიც ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სიტყვასთან ერთად გადმოსცემენ ადგილის გარემოებას. მაგალითები:

ის გაბრუნდა... მინდვრისაკენ (ა. ყაზბ.); დასაგლეუთისკენ უკვე დიდრონი დრუბლები მიისწრაფოდნენ (გ. ფანჯ.); არჩიბაღდ მექეში მიეშურება საქართველოსკენ (გ. რობაქ.); [გ'სას] ხვეისკენ ჩამოჰყვა (ო. იოსელი.); ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისკენ გაფრენილ ჩიტებს (მ. ლებან.); წყარო-

სკენ გ'ხას ვერ გააგრძელებდა (ო. იოსელი.); სოფლისკენ მივდენი თხებს (მ. ლუბან.)...

ერის შინაგვრელი... მთელს საქართველოს... ფერხთა ქვეშ...
პქელვიდა (ილია); მეფის ირველივ მოგროვდენ ვარძის ცინე-ქალაქში (დ. ასათ.); წყაროს წინ თიხის უსარმახარი გომბეშო დადგეს (ო. ჭილა.); ხატის წინ ფეხშიშველი დოც უღობდა თამარი (დ. ასათ.); ნიშა ხარები დაფრთხებიან მონასტრის ზემოთ (ნ. სამადა.); გულის შიგნით ნავიდა რაღაც ნაღველის მსგავსი (დ. ასათ.)...

მოქმედებითი ბრუნვა ადგილის გარემოებად

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვით ადგილის გარემოების გადმოცემა ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვის (გავიხსენოთ, მაგალითად, ეპიზოდი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებოღან“: „მეის მოაწია ჩუენდა ღიაკონი შინაგთ“ (=მოვიდა შინიდან), ან - უფრო გვიანდელი პერიოდის - „ვეფხისტყაოსნის“ - ცნობილი აფორიზმი: „გველსა ხვერელით (=ხვერელიდან) ამოიქვანს ენა, ტკბილად მოუბარი“). ახალ ქართულში ამგვარ ფორმებს უპირატესად პოეზიაში ვხვდებით. [გა'საფხუელს] მოაქვს ცით სიხარული (ილია); ბრუნდებოდა საბერძნეთით ქართლის ჯარი (აკაკი); ფშავით მოვიდეს ლაშქარი, ჩემი ერთგული ერთი (ვაჟა); ცით შვიდიბა გუჩაბა დარეკა (მ. ლუბან.); ისევ გაწვიმან მალლით წვიმები (ა. კალანდ.); ქარი ტყის შრიალს მომიტანს მინდვრით (ა. კალანდ.)... ამ მაგალითებში წარმოდგენილ ადგილის გარემოებების -ით დაბოლოებიან ფორმებს დღეს უფრო ბუნებრივი და გავრცელებული იდან/დან დაბოლოებული ფორმები ენაცვლება (მოგაგონებოთ იდან←იღან←ითგან), დღევანდელი იდან//დან დაბოლოება გან თანდებულისანი მოქმედებითია).

მაგალითები:

წირველებიდან გამოსვანცაღდა ბაქრა... ქერდელელი (აკაკი); სიტყვა... უნიდან მომწყდა (ვაჟა); ის ამ ფოჯოხეთიდან თავის დადწევაზე... ფიქრობდა (თ. იოსელი); ბინიდან გააფსრებულნი კვილი ისმოდა (გ. ფანჯ.); სანაპიროდან ნიავს მოკქონდა ღერწმის ქვირი (ა. კალანდ.); ანაქლად ციდან გაისმის რეა (მ. ლებანი); ხმა იგი მთავრიდან მოდის (ა. კალანდი)...

შენიშვნა: ქართულ კლასიკოსთა თხზულებებში ვხვდებით (იღვან დაბოლოებიან ადგილის გარემოებებსაც (ჩემი სახლკარიღვან გამაგღეს შორა: ილია; თავის თთახიღვან არ გამოდიოდა: ა. ყაზბ.) და დამ თანდებულთან ადგილის გარემოებებსაც (თთახიღამ გარეთ გამოვედი: ილია; დუქნიღამ ხალხის ჟრიაბული გამოდიოდა: ილია; დედაქემი საწოლიღამ ადგა: ვაჟა). თანამედროვე ქართულში ეს ფორმები აღარ იხმარება.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულში ადგილის გარემოების მნიშვნელობით ძირითადად თანდებულთან მოქმედებითი გვხვდება, თუმცა რამდენიმე სიტყვა დღესაც გვაქვს უთანდებულო მოქმედებითის ფორმისა - ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით, რომლებიც ადგილის გარემოებებს წარმოადგენენ.

ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოებად

მოქმედებითი ბრუნვის მსგავსად, ვითარებითი ბრუნვაც ძველად უთანდებულოდ გადმოსცემდა ადგილის გარემოებას. ეს ფორმები არც ახალი ქართულისათვის არის უცხო: ის დადიოდა დაბად და სოფლად (აკაკი); ბარად დავდიოდი სადავლოდ (ვაჟა); სოფლად ბევრია ბენავი (ვაჟა); მინდვრად თოვლი აღარ იდო (თ. რაზიკ.); შემოიკრიბნენ ტაბ-

რად გლეხკაცნი (ა. კალანდ.); აშკელუბი და დიოდნენ სოფ-
ლად თუ დაბა-ქალაქად (ი. გრიშ.)....

ახალ ქართულში უპირატესად მაინც მღვმდის თანდებულობანი
ვითარებითი ბრუნვა გამოიყენება ადგილის გარემოების გად-
მოსაცემად: -მღვ: ფოთამღვ ორ დღეს მოეუნდი სიარულს
(აკაკი); ტყეში ბალახი მუხლამღვა (ილია); ქალაქმღვ დიდი გ'სა
გვაქვს (მ. ჯავახ.); მეგობარი ქუჩამღვ საააცილა (გ. ფანჯ.);
დედა ნიკაბამღვ ვერ ს'ვდაებოდა (რ. ინან.); პერანგის
კალაოები მკერდამღვ აიკეცეს (ლ. ქიან)...

-მდის: მივიდა იმ ადგილამდის (ა. ყა'სბ.); ღრუბლე-
ბამდის ავა თუ არაო? (ილია); ნათლიმამის სახლამდისაც კი
მანძილი იყო (ილია); დაღისტნამდის მისი სახელი გა-
ვარდნილი იყო (ილია); მხედარს წელამდის მოსვლო-
და წყალი (კ. გამს.)...

-მღვ/მდის თანდებულობანი ფორმით გადმოცემული ადგილის
გარემოება გვიჩვენებს სასრულ პუნქტს (მიწვენილობას).

ადგილის გარემოების ურთიერთობა სინტაქსის წესთან

ადგილის გარემოება, მოკესედავად იმისა, 'ზმნი'ზედითაა გად-
მოცემული თუ 'ზმნი'ზედის ფუნქციით გამოიყენებული სახელის
ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით, სინტაქსურ წვეტილს ქმნის უპი-
რატესად 'ზმნა-შემასამენელთან, ან - სახელ'სმნით - საწყისითა
და მიმღებობით - გადმოცემულ წვერთან; შდრ.:

აქ დაიბადა - აქ დაბადება - აქ დაბადებული...

ცაში აფრინდება - ცაში აფრენა - ცაში აფრენილი...

ცისკენ იშორება - ცისკენ მზერა - ცისკენ (მო)მზირალი

ციდან ჩამოვიდა - ციდან ჩამოსულა - ციდან ჩამოსული...

ცამღვ აიტყორცნა - ცამღვ ატყორცნა - ცამღვ ატყორცნილი

და ა.შ.

სახელსმნით გადმოცემული ის სიტყვა, რომელსაც მიემართება ადგილის გარემოება. სინტაქსურად შეიძლება იყოს ქვედებარეც (შინიდან წასვლა ადვილი არ არის), პირდაპირი დამატებაც (მაინც გადაწვიტა შინიდან წასვლა), ირიბი დამატებაც (დიდი ხანია ცდილობს შინიდან წასვლას), უბრალო დამატებაც (შინიდან წასვლით დაემუქრა თავისიანებს), განსაზღვრებაც (შინიდან წასვლის დრო შეარჩია)... მაგრამ, რადგან გარემოება 'სმნი-სუდაა, 'სმნი'სუდა კი ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილად მიიჩნევა, სინტაგმის წევრებს 'მორის მართვა ივარაუდება.

დროის ბარემოება

დროისაა გარემოება, თუ ის გვიჩვენებს მოქმედების დროს და მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რამდენ ხანს? რა დრომდე? სანამდის?

დროის გარემოებამ შეიძლება გამოხატოს:

ა) დროის გარკვეული მონაკვეთი (როდის?): გასაფხულსე, 'საფხულსი, შემოდგომაზე, ზამთარში, დილით, საღამოს... მაგალითები:

წუხელ ბუ... ყვირო და ჩენს ესიში... დღეს ყორანმაც და-გვიძახაო (აკაკი); პურის მისაგული როგორი აქვთ წელს? (ილია); ზამთარში ეს მუხა კაი სახლსა სჯობდა (თ. რა'სიკ.); პეტრე გაზაფხულზე ავად გახდა (ე. გაბ.); ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა (მ. ჯაფახ.).

ბ) მოქმედების საწყისი მომენტი (რა დროიდან?): დილიდან, გუშინდლიდან, ბავშვობიდან, ჰაბუკობიდან... მაგალითები:

ამ დღიდან უფრო... შეიცვალა ჩენი განწყობილება (აკაკი); მსალო დილიდანვე ფერმისდილი იჯდა და დაჩვენებულს

აღაგას (ა. ეა'სბ.); ისინი თავიანთ... 'სცილებს ბაღლობიდანვე
ში ა ბ ა რ ე ბ დ ნ ე ნ ს ო ლ მ ე 'სეგირადად... ოსტატს (ი. გრი'შ.);
[მან] პირველი წუთებიდანვე 'სე ა ტ ე ო ე ს (გ. ფანჯ.); ამ დღი-
დან სვიმონმა და იწყო სამსახური (ა. ეა'სბ.)...

გ) მოქმედების სასრული მომენტი (რა დრომდე? სადამ-
დის?): დიღამდე, ხვალამდე, საღამომდე, მოხუცებულობამდე,
გათყენებამდე... მაგალითები:

...საღამომდე 'სინ არ 'სე მო'უხედნია (ილია); თვალის
დახამხამებამდე ტრიალ მორეე'ში ამოჰყვეს თავი (აკაკი);
მოხუცს სიკვდილამდის კიდევ მოესწრო თავის ქალის
მკერდში ჩაკვრა (ა. ეა'სბ.); ამ წვიმას საღამომდე სინ'უმე
მოსდევს (პ. იაშვ.); თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი
რჩებოდა (გ. ფანჯ.); შუალამდე ის მ'შიერ-მ'წყურ-
ვალია (ო. იოსელ.)...

დ) მოქმედების მიმდინარეობა, ხანგრძლივობა (რამდენ
ხანს?): ორ საათს, სწავლის პერიოდში, გამოცდების განმავლო-
ბაში... მაგალითები:

ოცდასამი წელიწადი მოელოდა ამ დროს (ვ. ბარნ.); სუკლ-
ხანი კარგა ხანს აცქერდებოდა ფიქრს (მ. ჯავახ.); ოთხმა
ძმანაფიცმა ტყეში ოთხ დღეს დაჰყო (მ. ჯავახ.); დავითი
მთელი დღეები გვირაბებში იყო (ა. ბელ.); სამი წელიწადი
ვიყავი იქ (ა. ბელ.); შსალო 'სესდგა ერთ წუთს (ა. ეა'სბ.)...

დროის გარემოებაც ძირითადად 'სმნი'სედიოთ გადმოიცემა, ან
- 'სმნი'სედის ფუნქციით გამოყენებული სახელის მიცემითი,
ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის უთანდებუ-
ლო ან თანდებულიანი ფორმებით. ეს ისეთი სიტყვებია, რომელ-
თა „ლექსიკური მნიშვნელობა დროსე მიუთითებს“ (ა. შანიძე):
წუთი, საათი, კვირა, თვე, დილა, საღამო, ორ'შაბათი, შაბათი...

დროის გარემოება 'სეიძლება გადმოიცეს დროის 'სმნი'სედით
ან 'სმნი'სედის მნიშვნელობით გამოყენებული მიცემითი, ნათე-

საობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის თანდებულოანი ან უთანდებულო ფორმით.

ზმნიზალა ღროის გარემოებალ:

ესო ადრე ამდგარიყო (ილია): ახლა შეილება სულ ეგეთები არიან (ა. ყა'სბ.); შარშან თათრებმა ჩაატარეს მოედანში (აკაკი); მუდამ მოქმედი ვარ ამისა (ვაჟა); არსენა უმაღლე მოლბა (მ. ჯაფახ.); გუშინ პირველი მერცხალი ვნახე (მ. ლებანი.); გვიან ამოდის მთვარე (ა. კალანდი.); ხანდახან წუთი სიცოცხლეს უდრის (ო. ჭოღ.); წინათ აბანო მსურველთათვის... დია იყო (ი. გრიშ.)...

მიცემითი ბრუნვა ღროის გარემოებალ

მიცემითის ფორმით გადმოცემული ღროის გარემოება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულონიც. თანდებულოთაგან გვხვდება -ში და -ზე, იშვიათად - შორის.

უთანდებულო მიცემითი

უთანდებულო მიცემითი ღროის გარემოების გადმოსაცემად გამოიყენება დღეების დასახელების ღროის (ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს...), დღესასწაულების დასახელებისას (შობას, აღდგომას, მცხეთობას...), თვეებისა თუ წლების აღნიშვნისას (პირველ იანვარს, 1837 წელს...)... მაგალითები:

დღეს შენ დამჭირდი (ილია); ...დილას აცა'ხამ ძროხა გარეკა (ვაჟა); ნასადილევს დაიშალა ხალხი (აკაკი);

ნაშუადღევს... ქვეყნის პირდაპირ მტკვარში გადაიხვრიდნენ (ი. გრიშ.); მთელ ზაფხულს გარინდჟული დადიოდა (მ. ჯავახ.); ამ ზამთარს მოსკოვის მივდივარ (გ. ფანჯ.);...

შენიშვნა: აღიღას, სადამოს, დღეს... უკვე უმნიშვნელებშია გადასუკლი (ა. შანიძე). იგივე შეიძლება ითქვას ნადიღევს, ნაშუადღევს, ნაშუადამევს... ფორმათა შესახებაც.

ღროის გარემოებას ნანათესაობითარი მიცემითიც გადმოსცემს (ეს ფორმა, როგორც ცნობილია, წარმოშობით მართულ-შეთანხმებუკლი მსაზღვრულია): კი ბავშვი იყო პატარაობისას (ილია); შუალამისას ფეხის ხმა მომესმა (აკაკი); მისის დანობისას ალაზნის სათავეები ქვეით დარჩათ (ლ. გოთ.); გამთენიისას უღელტეხილზე... შეტევა უნდა დაეწყეთ (ო. იოსელი.); ისინი ბინდისას ბრუნდებოდნენ სახელში (ი. გრიშ.); მიწუხროსას მთვარე ცაზე მოირკალება (ა. კალანდ.); ვერაფერი დაგტყუა დიდთოვლობისას (ო. იოსელი.)...

თანდახულიანი მიცემითი

-ში თანდებუკლიანი: ...თბათვეში მერწაზე... დავდიოდით არავზე (გ. რაზიკ.); ზამთარში თევს ვეიდი (ი. გრიშ.); ძილში ვიგრძენი ქველაფერი (ქ. ლომთ.); ზაფხულში ავავადებიან მკერდნიც კი სალის კლდისანი (ვაჟა); აღიყული-ხანმა იმ დღეებშივე დაიბარა აბდუშაპილი (აკაკი); იმ წუთში მე თითქოს სხვა ადამიანს ვთამაშობდი (გ. ფანჯ.); სიჭაბუკეში მოკლუკლი კაცი ნათელი სახით დღეს გესახება (პ. იაშვი.)...

-ზე (-ზედ) თანდებუკლიანი: დილაზე ტკივილები ისევ აეშალნენ (ილია); შემოდგომაზე მწყერი იღვევა (ილია); გაზაფხულზე იასამნები ჰყვავიან (გ. ფანჯ.); აღიონზე

ყრთხილად ავღეჟით (ნ. ლემბ.); აბანიში ქალები სისხამზე
მიადიოდნენ (ი. გრიშ.); დილაზე გამეღვიძა (ვაჟა); დი-
ლაზედ ჩამოვიარე... საღამოზედ ამოვიარე (ილია)...

ღროის გარემოების გადმოსაცემად შორის/შუა თანდებუ-
ლიც შეიძლება შეგვხვდეს ამგვარ შემთხვევებში: „აბოს წამე-
ბა“ ავტორის დაუწერია 786 წელსა და 790 წელს შორის;
„ვეფხისტყაოსანი“ შეთხზული უნდა იყოს 1189-სა და 1207
წლებს შუა...

ნათესაობითი ბრუნვა ღროის გარემოებად

უთანდებულო ნათესაობითის ფორმა ღროის გარემოების
მნიშვნელობით ორიოდე სმნიხედაშია შემორჩენილი: მყის, მარა-
დის (← მარადის), წუხელის. ორი უკანასკნელი შემოკლებითაც
იხმარება: მარად, წუხელ (ა. შანიძე).

შდრ.: თოვლი მოსულა წუხელის (ვაჟა), და: წუხელ თოვ-
და. ან კიდევ: ხელდაკრებით განისვენე მარადის (აკაკი);
და: მარად და ეველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...
(ილია).

მყის საიკეცვის ქელები თურმე (ნ. ბარათ.); მყის გოგ-
რიტი მოვიმარჯვე (ი. გრიშ.); შედრკა არსაჲს მყისვე
(კ. გამს.)...

ნათესაობითი ბრუნვით გადმოცემული ღროის გარემოება
უმეტესად თანდებულიანი: დაირთავს -თანავე, -თვის
(იშვიათად -ჲს) თანდებულს, ან ცალკე მდგომი თანდებულის
მნიშვნელობით გამოიყენებულ წინ (წინათ). მერე, შემდეგ (შემდ-
გომ)... სმნიხელებს. მაგალითები:

-თანავე თანდებულიანი: ნახვისთანავე... შემაჲვეა-
რა თავი (აკაკი); კარის შეღებისთანავე... მოხუცებული ქალი
მიეგება (ა. ყაზბ.); შებნდებისთანავე შეწყადა თვითმფრი-

ნაკების 'სე'სეჩი (ო. იოსებლ.); შემოსვლისთანავე მავნიტოფონს
გ ა მ ო რ თ ა ვ დ ნ ე ს ს ო ლ მ ე (გ. ფანჯ.); დაბადებისთანავე
დღეამ ქურცქვიტა დაუძახა (ი. ევდ.); ამის გაფიქრების-
თანავე ის აიჭანა ხაშინკლმა მღვლეარებამ (ო. ჭილ.)...

აღბათ შენიშნეთ, რომ თანავე თანდებულებანი დროის გარე-
მოება საწყისის ნათესაობით ბრუნვას საჭიროებს (ნახვა, შეღება,
შეხინდება, შემოსვლა, დაბადება, გაფიქრება... საწყისებია).

-თვის თანდებულებანი: ღვთისაგარი ხვალისთვის
გუთანს ამ სადებს (მ. ჯავახ.); ხვალისათვის დაიბარა...
(აკაკი): მეორე დღისთვის... დარს ელოდა ხალხი (თ. რა-
ზიკ.); ბაგრატიონმა მეორე დღისთვის დაშობარა (აკაკი):
...ხვალისთვის ხმალი ვინებოთ (ღ. ასათ.)... -თვის თანდებ-
ულებანი ხაშინკლმა ყოველთვის: [დღედაბერი] ყოველთვის აღ-
ვიძებდა გოგობს (ი. გრიშ.); მათი სადღეგრძელოები ყო-
ველთვის კაფიად იყო თქმული (ი. გრიშ.); ყოველთვის
მოგძებნი შენ (ა. კალანდ.)...

-კენ თანდებულებანი: დღისკენ თეთრი ნისლი იშ-
ლებდა (ღ. ასათ.); საღამოსკენ აღბათ აგრილდება.

ზინთაური თანდაზაუბი ნათასობით ბრუნვასთან

წინ (წინათ): შენ ილოცებ მისი ამოსვლის წინ (ა. კა-
ლანდ.): ...ინსტიტუტი ერთი წლის წინათ დაამთავრა (გ. ფანჯ.);
ომის დაწყების წინ ამ რაშმის მეომართ შეკფიცეს
ერთმანეთს (ი. გოგებ.); შეხვედრის წინ ძალიან დელავდა:
ქმარი ავარიამში დაღუპვია ოთხი წლის წინ (გ. ფანჯ.);
სიკვდილის წინ თავსე გადაგას მწყემსი (გ. ფანჯ.)...

შენიშვნა: წინა ვითარების გამოსახატავად დროის აღმნიშვნე-
ლ ისეთ სიტყვებთან, რაგორებიცაა: წლის, საუკუნის,

საათის, წუთის ... საცვლად წინ თანდებულისა. ვხვდებით უმართებულო უკან ყორმასაც: ორი საათის უკან, სამი წლის უკან, რამდენიმე დღის უკან და ა.შ. „შეცდომის წყაროა სათანადო რუსული გამოთქმები: два часа (тому) и а з а д , три года (тому) и а з а д და სხვა. სწორი გამოთქმებია: მრავალი საუკუნის წინ/წინათ: ოთხი წლის წინ/წინათ; ერთი თვის წინ/წინათ“: ორი კვირის წინ/წინათ... (შ. აფრიდონიძე): 'სმნი-სე'ლური თანდებულის უკან „სჯ.ობს... მარტო აღგიღის გარემოების გადმოსაცემად დავეყოთ, დროის გადმოსაცემად კი მის ნაცვლად „შემდეგ“ (ან „მერმე“) ვისმართო“ (ა. შანიძე).

მერე: ბიძის სიკვდილის მერე ის მაინც ავიდოდა ტახტზე (ო. ჰილ.); ორი დღის მერე... ჩურჩულმა გააღვიძა (თ. ბიბილა.); სიკვდილის მერეც არ დავეუთმობ ამ აღუებს არვის (მ. ლეხან.), მისი ამოსვლის მერე ბიჭის კარს... მოაღგება (თ. ბიბილა.)...

შემდეგ (შემდგომ): ეს შესვენება ეჭირვებოდა მთროლოვარე ცხოვრების შემდეგ (ა. ყაზბ.); ჭეჭა-ჭეხილის შემდეგ ბუნებას თითქოს შეებრალვებოდა... გატანჯული ხალხი (ა. ყაზბ.); ავღრის შემდეგ დარი ბრწყინდება (მ. ლეხან.); მისი ჩასვლის შემდეგ ვარდისფერ ნისლში სწრაფად დაქრიან სერაფიმები (ა. კალანდი.)...

მოქმედებითი ბრუნვა დროის გარემოებად

სახელის მოქმედებითი ბრუნვისაგან წარმოქმნილი 'სმნი-სე' და დროის გარემოების მნიშვნელობით უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულებიც.

უთანდებულო მოქმედებითი: ...დილით სკოლაში დადიოდა (ილია); ბალახის ნამსა ვსრუტავ ... საღამოთი (ვაჟა); დამითაც მუშაობდნენ პუნქტში (რ. გვერ.); კაცები დილითვე...

მიდიან საბჭოთაო ქანებში (აკაკი); **ღამით** დარღები აწ'უ-
სებს (ვაჟა); **შემოდგომით** მთაში თოვლი აღრე მოვიდა
(ვაჟა); ამ **ღამით** ისევ შეება ბორცვა კეთილი (ლ. ასათ.)...

უთანდებულო მოქმედებითი დროის გარემოებად ხშირად **ღბა**
ბოლოსართიანი სახელია და „გვიწვენებს განმეორებულ მოქ-
მედებას ძირეული სახელით აღნიშნულ დროის მონაკვეთებზე“
(ლ. კვაჭაძე); **მღრ.**: **ღლით** მ'უშაობდა, და: **ღილაობით**
მ'უშაობდა.

მაგალითები:

ბუ **ღამღამობით** დაფრინავს (ვაჟა); კრივი იმარ-
თებოდა **ღილაობით** (ი. გრიშ.); ახსოვდა ცოლის **თვეობით**
ბუტიობა (რ. ინან.); **საღამობით** ყველანი... ოჯახში
იკრიბებოდნენ (ო. ჭილა.); **ზაფხულობით**... ცოტა მხი-
არულად იყო (ა. ყაზბ.); წნორში **კვირაობით** დიდი ბასრო-
ბა იცის (ო. ჭილა.)...

როდესაც უთანდებულო მოქმედებით ბრუნვაში დროის ერ-
თეულის გადმომცემი სიტყვა გვაქვს (როგორცაა: საათი, დღე,
წუთი, კვირა, წელიწადი...), მას მსახდურებად, ჩვეულებრივ,
რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი ახლავს ხოლმე; **სამი**
საათით დაავიანა, **ხუთი დღით** გაემგ'სავრა, **რამდენიმე**
წუთით გავიდა, **რამდენიმე წლით** გაგ'სავენს და ა.შ. მაგა-
ლითად, **ორი წუთით** გამასწრო... **მატარებელმა** (ნ. ლორთქ.),
ქალები იქ მთელი **ღლით** რჩებოდნენ (ი. გრიშ.)...

დროის გარემოების მნიშვნელობით **ნანათესაობითარი მოქმედ-**
ებითი შეიძლება შეგვხვდეს: **დღისით**... ტახტის კიდესე ჩამო-
მჯდარი... **იცრემლებოდა** (ო. ჭილა.); **დღისით** უცხო თვალიც
უფრო ფხიზელია (თ. ბიბილა.); ხალხმა **დღისითვე** დაიწყო
დენა (ო. ჭილა.); **დღისით** აქედან გასვლა არ მოხერხდებოდა
(ო. იოსელი.); ის **დღისითაც** დაკეტილია (ჭ. დომთ.)...

-გან თანდებულნი მოქმედებითი გადასოცებელი დროის გარეშოება აღნიშნავს მოქმედების ხაწქისს დროში: დილიდან, შუადამიდან, ვასოელი წლიდან და ა.შ. მაგალითად: დიდი ხნიდან გადმოსახლებული გლეხები არიან (ე. გაბ.); იმ დღიდან... შეიცვალა ჩვენი განწყოილება (აკაკი); ექვსი საათიდან... ჩემი კარი დაკეტილია (ჭ. ლომო.); ყოველივე ეს ბავშვობიდანვე მოაგვაგონებდა შრომის სიყვარულს (გ. ლეონ.)...

ვითარებითი ბრუნვა დროის გარეშობად

დროის გარეშობის მნიშვნელობით ეს ბრუნვაც ხან უთანდებელია, ხან - მდებდის თანდებელიანი.

უთანდებულო ვითარებითი ფორმები, როგორცაა ამჟამად, ბველად, ბველისბველად, ხშირად, პირველად, თავდაპირველად... ხმნიხედის ფუნქციას კი არ ასრულებენ, უკვე ხმნიხედებს წარმოადგენენ. მაგალითები:

დილაადრიანად სოფელში რაღაც ხმაყოობა ატყდა (მ. ჯაფახ.); პირველად ბიჭები ღაპარაკს ვერც კი ახერხებდნენ (ა. ბელ.); იგი უსიტყვოდ მსვდებოდა ხშირად (მ. ლებან.), ორ სღვას შუა ბველისბველად საომარი იყო დელო (გ. ტაბ.); უკანასკნელად იგი სღვაზე ბარათებს გვწერდა (მ. ლებან.)...

მდებდის თანდებულიანი: ქორწილამდე ვეღარ გადამოვალ (ილია); ჯვრისწერამდის ხმარ გამცე (ილია); შუადღემდის პასუხს ველი (ა. ყაზბ.); დღემდის... ნამდვილ ეშმაკებად მეჩვენებით (ა. ყაზბ.); შიეს ერთი შუბის ტარილა ჩაუდიოდა ჩასვლამდის (ვაჟა); ჩვენ შეღამებამდე მოვედით (ო. იოსელი.); დაბადებამდე მიყვარდა მეხეები აღვის (მ. ლებან.); საღამომდის ასე უნდა დაიტანჯოს მოლოდინით (გ. შატბ.)...

შენიშვნა: -გან თახლუბუკლიანი მოქმედებითითა და -მდე თახლუბუკლიანი ვითარებითით გადმოცემული დროის გარეშობები სწორად გვერდიგვერდ გვხვდება: ნადირი კი არ დაძრ-წის დილიდან საღამომდე საჭმლის საშოვნელად? (ილია); მისი ამოსვლიდან ჩასვლამდის შრომობს (ი. გოგებ.); შემოდგომიდან ახალწლამდე დავრჩი ამ სასწავლებელში (თ. რა'სიკ.)...

დროის გარემოებად სახელობითის ფორმაც შეიძლება შეგვხვდეს.

მაგალითები:

შენ ღამე ჭალაში რა გინდოდა? (ვაჟა); მთელი ღამე დავდიოდით ველზე (ვაჟა); თუთის ხეები... მთელი წელიწადი ყვავის (ი. გოგ.); ოცდასამი წელიწადი მოელოდა ამ დროს (ვ. ბარნ.); დავითი მთელი დღეები გვირაბებში იყო (ა. ბელ.); ორი დღე გაგრძელდა და ა.შ.

ეს ფორმები (მთელი წელიწადი, ოცდასამი წელიწადი, ორი დღე...) «დროის გარემოების მნიშვნელობით XIX საუკუნის მწერლების ენაში საკმაოდ გავრცელებული იყო (და ზოგჯერ ახლაც გვხვდება) ...[ისინი] თამამად შეიძლება (და სასურველიცაა) უფრო მისაღები ფორმებით შეიცვალოს» - სახელობითის ნაცვლად აჯობებს მიცემითი ვინმართ (ა. მანიძე)... ოცდასამი წელიწადს მოელოდა, მთელ წელიწადს ყვავის, ორ დღეს გაგრძელდა... ეს ფორმები უფრო მართებულად ითვლება.

დროის გარემოების ურთიერთობა სინტაქსური წყობის წესთან

საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ დროის გარემოება სინტაქსურ წყვილს ძირითადად სმნა-შემასმენელთან ქმნის, მაგრამ იგი შეიძლება დაუკავშირდეს

სახელმწიფო - საქონის ან მიმდევრობა:

მღრ.: დღისით გავიდა მისიდან, და:

დღისით გახვდა, დღისით გახულო (გახახულებელი...):

ან კიდევ:

აღრე ადგა, და:

აღრე ადგომა, აღრე ამდგარი (ახადგომი...).

საქონით ან მიმდევრობით გადმოცემული წევრი, რომელსაც დროის გარემოება უკავშირდება, სინტაქსურად შეიძლება იყოს ქვემდებარეც (აღრე ადგომა სახარებდლოა), პირდაპირი დამატებაც (აღრე ადგომა გადაწვეტა), ირიბი დამატებაც (აღრე ადგომას ცდილობს), უბრალო დამატებაც (აღრე ადგომის მსურველი...), განსახლვრებაც (აღრე ადგომის წესი), გარემოებაც (აღრე დიდიდან გვიან დამემდე სულ შრომობდა)...

დროის გარემოება თავისი წყვილის წევრს მართვით უკავშირდება.

ვითარების ბარემოება

ვითარებისაა გარემოება, რომელიც ადანიშნავს, თუ როგორ ხდება მოქმედება. ძველად „როგორ“-ის ნაცვლად „ვითარი“ იხმარებოდა. აქედანაა ვითარება, ე.ი. როგორობა: ვითარებითი - როგორობითი* (ა. მანძე). ვითარების გარემოება მიუთითებს მოქმედების თვისობრივ ხასიათზე (ა. კისირია).

ვითარების გარემოებას აკუთვნებენ სომა-ოდენობისა და ჯერობის გამომხატველ სიტყვებსაც (ზმნიხელებს).

ვითარების გარემოების ამოცნობა ხდება კითხვებით: როგორ? (რანიირად?) რამდენად? რამდენჯერ? რამდენგისი? მერამდენედ?

ვითარების გარეშობამ შეიძლება გამოხატოს არა მხოლოდ „როგორობა“ ხშირად გადმოცემული მოქმედებისა (ხმამაღლა და აკარაკობდა, ანგარიშმიუცემლად გადახტა, ხმაამოუღებლოვ მიჰყვა, მშვიდად ეძინა...), არამედ - მსგავსება-შედარებაც (ელდანაკრავით წამოვარდა, დაფეთიანებულივით იცქირებოდა...), ზომა-ოდენობაც (ოდნავ გამოცოცხლდნენ, მეტისმეტად აგვიანებდა) და ჯერობაც (ერთი-ორჯერ დაიყეფა, რამდენჯერმე გაიმეორა).

ვითარების გარემოება ძირითადად ხშირად ხშირად გადმოიცემა, მაგრამ მისი გადმოცემა შეუძლიათ სახელისა და სახელ-ხმის გარკვეულ ბრუნვებსაც, რომლებიც ხშირად ხშირად ფუნქციით არიან გამოყენებული. შევხედვით როგორც უთანდებულო, ასევე - თანდებულიან ფორმებსაც.

ვითარების გარემოებას გადმოსცემენ ვითარების ხშირად ხშირად, რომელთა უმრავლესობა ვითარებით ბრუნვაში დასმული სიტყვებია. უპირველეს ყოვლისა, ხედსართავი სახელები და მიმდებები; ბევრ მათგანს შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ნიშანი (კარგ-ად, ცუდ-ად, გაუგებრ-ად, თვალდახუჭულ-ად...), ზოგს ის ნაწილობრივ მოეკვეცა (მაგრ-ა(დ), ჩქარ-ა(დ), ნელ-ა(დ)...), ზოგსაც - სრულად (ნაკეწ-ნაკეწ, ოდნავ...). მაგალითები:

შვილი დინჯად უგდებდა ყურს დედას (ვაჟა); არხეინად და ვბრუნდით სახლში (თ. რაიკ.); თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა (ი. გრიშ.); მოედანი ნელა და ცარიელდა (თ. ბიბილა.); ჩქარა იყიდეთ ოჯახში მარმარილოს ნაწილი (ლ. ასათ.); ყვავილის კოკებს ოდნავ გაეხადათ მწვანე პირბადე (ა. ყაზბ.);

ვითარების გარემოებას ხშირად გადმოსცემს ვითარების ხშირად ხშირად: ასე, ისე, აგრე, ვგრე, რომლებიც წარმოშობით რეღარული ჩვენებითი ნაცვალსახელებია.

შენიშვნა: ა. შანიძის აზრით, ამ შემთხვევაში რეღ ნაწილობრივად „აღნიშნავს სახეს, ნაირობას, გვარობას: აგრე (=ამნაირად)“.

მაგრე (=მაგნირაღ), ასე (ასრე=ამნაირაღ), ისე (ისრე=იმნაირაღ) და ა.შ. მაგალითად:

ეს ისრედაც დასჯილია (ს. 'შანშ.'): ისე ახალგაზრდად მექვენა (ილია); ...სღვაში ისე შეცურდება (ა. კალანდ.); ასე ბორგავს მოელი ბაზარი (ლ. ასათ.).

ვითარების გარემოების მნიშვნელობით ძველი ოვ დაბოლოებიანი ფორმებიც გვხვდება: კესო **ხმაამოუღებლივ** მიქყვა მიცვალებულს სასაფლაომდე (ილია); ემაწვილი ბიჭი ჩამოხტა **ანგარიშმოუცემლივ** (ა. ყაზბ.); ამასობაში **ხმააღლივ** დასძინა კირონ მანგლელმა (კ. გამს.); სამი დღე **განუწყვეტლივ** თოვდა (მ. ჯავახ.); **უცრივ** ერთ ბეჭობზე შევფრინდი (შ. არაგვ.).

ვითარების გარემოება შეიძლება გადმოსცეს ვითარებით ბრუნვაში მდგარმა (და 'სმნი'სედად ქცეულიმა) რიცხვითმა სახელმა ('წელ'ში **ორად** მოიხარა) და 'სოგიერთმა ნაცვალსახელმაც (ამგვარად, იმგვარად, ამნაირად, იმნაირად, მაგნაირად, ისეთნაირად...). მაგალითები:

აქ გამოქვაბული **ორად** იყოფოდა (გ. 'შატბ.); ბარე **მოცვლ** ავევლ-ჩავუვლი მე ამ ხეივანს (მ. ლებან.); ნაბადი **ოთხად** მოკეცა (ვაჟა); ამან თვალები **ნახევრად** მოხუჭა (გ. ფანჯ.)...

ავტორი... **ამნაირად** გვაუწყებს თავის განსრახებებს (ილია); აწ 'შენი გზები **სხვაგვარად** მიდის (მ. ლებან.); ...ა'სნა'ერებმა **იმდენად** გასწიეს ფორი... (მ. ჯავახ.)...

ვითარების გარემოებებია **ჯერ** (//**გზის**) დართული და 'სმნი'სედად ქცეული რიცხვითი სახელები (სამჯერ, მეხუთეჯერ...) და ნაცვალსახელები (ამდენჯერ, იმდენჯერ, რამდენჯერ, რამდენგზის, რამდენიმეჯერ...) მაგალითები:

...**სამჯერ** გამექცა (ვაჟა); არსენამ **ათოღეჯერ** შემოჰკრა 'ხარს (მ. ჯავახ.); **ასჯერ** დავითვლი სახელს

შქნას (მ. ლუბან.); ნოდარი ოცდამეორეჯერ გავიდა ბრძოლის ველს (რ. გვირ)...

რამდენჯერმე ამოიოსრა: **რამდენჯერმე** გადატრიალდა (ა. ყაზბ.); **რამდენჯერმე** გაუმხელია თავისი მიწნები (გ. ფანჯ.); ვირობავებსაც **ზოგჯერ** სწორე სამართალი სცოდნიათო (ილია); **რამდენჯერაც** გაექცა, **იმდენჯერ** უკანიდან ფეხებში ჩაუვარდა (გ. ფანჯ.).

ვითარების გარემოება შეიძლება გადმოსცეს 'სმნი'სუდად ქვეულმა არსებითი სახელის ვითარებით ბრუნვის ფორმაც: ბატები **შწკრივად**... მისდევენ **მწვანე** ბალახს (ვაჟა);

ამავე ფუნქციისაა ვითარებით ბრუნვაში მდგარი ფუძეგაორკეცვული არსებითი სახელებიც (გარდა ვითარებითისა, მათ სხვა ბრუნვა არც გააჩნიათ): ხალხი **ჯგუფ-ჯგუფად** იღვა; მე **უვაშბე**... **ნაწვეტ-ნაწვეტად** (ი. გოგბ.)...

ფუძეგაორკეცვულ არსებითებს ბრუნვის ნიშანი შესაძლოა საერთოდ არც ჰქონდეთ: მამალიც გამოეკიდა **ფხლა-ფხს** (ვაჟა); დარემ თანდაშიელს **პირდაპირ** შეხედა (გ. შატბ.); თვალები... **თანდათან** აუბრჭყვიალდა (ო. ჭილა)... ან ნაწილობრივ ჰქონდეთ იგი 'სერ'ენილი: **ნელ-ნელა** გროვდება სოფლის ხალხი (ე. გაბ.); **ნელ-ნელა** ყოველივე დალაგდება (მ. ჯაფახ.)...

გარდა ვითარებითი ბრუნვისა, ვითარების გარემოება შეიძლება გადმოიცეს სხვა ბრუნვებში მდგარი „გაზმნი'სედებულ“ სიტყვებითაც. მაგალითად, ვითარებითი გარემოების მნიშვნელობა აქვს არსებითი სახელის ვით თანდებულებიან ფორმასაც (ვით თანდებული სახელობით ბრუნვასთანაც გვხვდება და მიცემითთანაც): წიწმატა **ელდანაკრავით** წამოიჭრა ზესე (ვაჟა); **მომაკვლავით** ვაცეცებ თვალებს (ო. ჭილა)... აგრეთვე **-ზე** თანდებულებიან მიცემითსაც ასეთ გა-

მოქმედებში: თავის ნებაზე, ღმერთის სმასზე და სხვა (ა. მანიძე);
ყველა თავის ნებაზე დაფრინავდა (თ. რაშიც.); საღამურს
უკრავს ზარის ხმაზედა (ხალხ.); მწვერი ათასში ერთხელ
ამოიჭუჭუკებდა ტირილის ხმაზე (ვაჟა).

ვითარების გარემოების გადმოცემა შეუძლია ნათესაობ-
ბითი ბრუნვის ებრ თანდებულნიან ფორმისაც (-ებრ
თანდებული სოფჯერ პირდაპირ ერთვის ფუძეს): ფრიალოსაებრ
ჩამოთლილი აქვს... ყინულის სლუდე (ილია); წყალნი...
აღმასებრ ეფსკრუდს ცვივიანი (გ. ორბელი.); ამენტო
გრძნობა მადლითა ცეცხლებრ (ილია); წვერ-ულვაშზე მარ-
გალიტებრ ცრემლი ცრემლზე ეკიდება (აკაკი)...

ვითარების გარემოებას გადმოსცემს სახელის მოქმედებითი
ბრუნვისაგან წარმოქმნილი უმნიშედაც: ჭკუით მოვიქცევით
(ილია); დასვის ცალგვერდით მიწოლილი გოჩა უცებ წელ-
ში გაიმართა (ლ. ქიჩ.); ჯარისკაცებმა რიგრიგობით და-
უწყეს ცემა წამოქცეულს (ა. ბელი)... ამავე ბრუნვით გად-
მოსცემენ ვითარების გარემოებას სომა-წონის აღმნიშვნელი
სახელებიც: ავაღმყოფობა ორგანიშმში ფუთობით შედის და
მისხლობით გადისო (ანდ.)... მაგრამ ყველაზე ხშირად ვითარე-
ბის გარემოებად მოქმედებით ბრუნვაში მდგარი საწყისები
გვხვდება: კაჭკაჭი გაშმაგებით ჩხაოდა (ვაჟა); მსაჯული
შებრალებით მიუბრუნდა პატიმარს (აკაკი); ნელა, წვა-
ლებით თენდებოდა (ო. ჭილა.); გადარევით დაკბერა
ქარმა (მ. ლებანი)...

ვითარების გარემოების ურთიერთობა სინტაქსური წყვილის ნაპრთან

ჩვენ ვნახეთ, რომ ვითარების გარემოება გადმოცემულია
უმნიშედათ ან უმნიშედათ ფუნქციით გამოყენებული სახელსმნით

ან სხვა ხასკლებით, ის წვერი კი, რომელსაც უკავშირდება ვითარების გარემოება, უმეტესად შექმასმენელია ან ხასკელ'სმნით (ხაწისით, მიძლეობით) გადმოცემული რომელიმე სხვა წვერი. ვითარების გარემოება ასევე შეიძლება დაუკავშირდეს ისევ ვითარების გარემოებას. ნათქვამი კიდევ ერთხელ შევამოწმოთ მაგალითებით - ვნახოთ ვითარების 'სმნი'ხელის წვერის წვერთან დაკავშირების შესაძლო ვარიანტები და დაუკვირდეთ, წინადადების რომელ წვერთან ქმნის სინტაგმას ვითარების გარემოება:

ის კარგად აშენებს (ვითარების გარემოება + შემასმენელი)

საჭიროა კარგად აშენება (ვითარების გარემოება + ქვემდებარე)

აპირებს კარგად აშენებას (ვითარების გარემოება + პირდაპირი დამატება)

ცდილობს კარგად აშენებას (ვითარების გარემოება + ირიბი დამატება)

ეს კარგად აშენებით გამოწვეული სიხარულია (ვითარების გარემოება + უბრალო დამატება)

სახლი კარგად აშენებულნი გამოდგან (ვითარების გარემოება + შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი)

როგორც ვხედავთ, ვითარების გარემოებას შეუძლია შექმნას სინტაგმა წინადადების ყველა წვერთან, თუ ის სმნით ან სახელ'სმნით იქნება გადმოცემული.

ის ძალიან კარგად აშენებს - ამ შემთხვევაში კი ვითარების გარემოება ძალიან სინტაქსურ წვერს ქმნის მეორე ვითარების გარემოებასთან - კარგად.

ვითარების გარემოება თავისი წვერის წვერს მართვით უკავშირდება.

მიზეზის გარემოება

მიზეზისაა გარემოება, თუ ის გვისვენებს მიზეზს, რომლითაც გამოიწვეულია ესა თუ ის მოქმედება, და პასუხს გვაძლევს კითხვებზე: რატომ? რის გამო? რა მიზეზით? მაგალითები:

გული დედადება მოუთმენლობის გამო (ილია); ამიტომაც ღმერთი უწერება (ილია), [სვაფი] სიმაძღროთ ძლიოსდა ქმინავდა (ვაჟა); უშეშობის გამო დიდი თაობირი შეექნათ (ვაჟა); რატომაც ცრემლი მომაწვა ექლში ბურთივით (ო. ჰილ.); ქალმა ტკივილისაგან... შექვივირა (ა. ყაზბ.); ეს გაუგებრობის გამო მოხდა (შ. არაგვ.) და ა.შ.

რატომ? - ამიტომაც, რატომაც...

რის გამო? - მოუთმენლობის გამო, უშეშობის გამო, გაუგებრობის გამო...

რის გამო? რა მიზეზით? - სიმაძღროთ (=სიმაძღროს გამო, სიმაძღროს მიზეზით), ტკივილისაგან (=ტკივილის გამო, ტკივილის მიზეზით), სენის წყალობით (=სენის გამო, სენის მიზეზით)... ხასიგასმული სიტყვები მიზეზის გარემოებებია.

როგორც ხედავთ, მიზეზის გარემოება შეიძლება გადმოიცეს ზმნიზუღითაც (ამიტომაც, რატომაც...) და სახელის ან სახელსმნის ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვითაც, რომელთაც 'სმნი'სეკის მნიშვნელობით ვიყენებთ.

ზმნიზულა მიზეზის გარემოება

მიზეზის გარემოების მნიშვნელობით გვხვდება მიზეზის 'სმნი'სელები (ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ) და მათი მიმართებით - განკუთხადვრეულობითი ფორმები (რატომაც, რადგანაც, რატომაც, ამიტომაც, მაგიტომაც, იმიტომაც). მაგალითები: რადგანაც

ძალიან გაინტერესებთ, ...გიაშობთ ქველადეკრს (ილია):
ლუკარსაბმა... ძმას ვერადეკრი... ვერა კკითხა იმიტომ, რომ
რცხვენოდა (ილია); ყური იმიტომ არ ი'სრდება, რომ ბევ-
რის გამგონეო* (ანდ.); ...ამიტომაც ვერე უეცრად გადავი-
და ისეე ჩიხირთამსე (ილია); რატომაც ფრანგულად მოუხა-
და ბილიში შევიცარმა (გ. ფანჯ.); იმ დღეს შეილი რატომაც
გამიკერპდა... რატომ არ მღერიო, მოუბო?... რატომ
არ იცინიო? (ვაჟა)...

შენიშვნა: რატომ კითხვის მნიშვნელობით გვხვდება რად:
რად მოგეკავთ ბალახი? რად აღენთ ცივთა წყართა? რად
აქანებთ ზეაუბს?.. (ვაჟა); ჩემი ყვაილი რად მოიცელა?
(ა. კალანდ.); რად გააგღეს მსხაუნა კატა? (ა. კალანდ.)...
ეს სიტყვა (რად) შესაძლოა სხვა წვერის ამოსაცნობი სიტყვაც
იყოს და თავად ის წვერიც (მაგალითად, უბრალო დამა-
ტება: რად (= რა არსებად?) იქცა? - წყლად იქცა); მიხეის
გარემოებად ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ მას
შენაცვლება რატომ ან რა მიზეზით?

ახლა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ საილუსტრაციოდ
მოსმობილ წინადადებებში ხა'სგასმულ ფორმათა უმრავლესობა
(რადგან, რადგანაც...) რთულ ქვეწყობილ წინადადებებში გვხვ-
დება და 'ხოგჯერ კავშირის ფუნქციითაა გამოყენებული. მაგრამ
მიმართებითი ზმნი'სელები (ისევე, როგორც მიმართებითი ნაც-
ვალსახელები) წვერ-კავშირება, რომლებიც ამ შემთხვევაში მი-
'სეის გარემოების მნიშვნელობისანი არიან.

მიხეის გარემოება შეიძლება გადმოიცეს ნათესაობითი
ბრუნვის ფორმიც, ოდინდ - აუცილებლად თანდებულებთან
ერთად. თანდებულთაგან ძირითადია გამო, -გან, აგრეთვე ცალ-
კე მდგომი თანდებულის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები:
მიზეზით, წყალობით, გამოისობით...

მაგალითები:

გამო თანდებულნი: სქის ერთგულების გამო ბევრს შეეძლებოდა (ილია); მორიდან სრულად სიბნელის გამო არ შეიძლებოდა (ა. ყაზბ.); იმას შიშის გამო თმა სრულად გასოფრებოდა (ი. გოგებ.); იქნება ცხვირ-პირიც და ამტვრიოს სხვას ამ ამბის გამო (ო. ჭილა.); ერთი დალაქი სიღარიბის გამო წერილმან ქურდობას ეწეოდა (ი. გრიშ.); ისინი სიშორის გამო ვერ მიდიოდნენ პაპასთან სამახლაათოდ (ვაჟა); ...მამამისის ავადმყოფობის გამო სხვაც... შეწუხდა (გ. ფანჯ.)...

-გან თანდებულნი: გული კენესის... მწუხარებისაგან (ილია); შიშისაგან გასუსული სოფელი კოშკებში შეიქუჟა (თ. ბიბილა.); მღელვარებისაგან სახე უხურდა (ო. ჭილა.); მოწყენილობისაგან სოგიერთები ამოქნარებდნენ კიდეც (გ. ფანჯ.); ქალმა... ჯაურისაგან შეჰკვირა (ა. ყაზბ.); ლამის გავშეშდე სიცივისაგან (ილია); ჯაბანა დარდისაგან ლოგინად ჩაეარდა (ვაჟა)...

ამ მაგალითებში ნათესაობითი ბრუნვის -გან თანდებულნი ფორმებს გამო თანდებულნი მნიშვნელობა აქვს: კენესის მწუხარებისაგან=მწუხარების გამო; შიშისაგან გასუსული=შიშის გამო გასუსული; მოწყენილობისაგან ამოქნარებდნენ=მოწყენილობის გამო ამოქნარებდნენ; დარდისაგან ლოგინად ჩაეარდა=დარდის გამო ლოგინად ჩაეარდა... ამას უნდა მიექცეს აციკლებლად ყურადღება, რათა -გან თანდებულნი მიწესის გარემოება სხვა წევრებში (მაგალითად, უბრალო დამატებაში...) არ აგვერიოს.

გამო თანდებულნი მიწესის გარემოების მნიშვნელობით იმავე - ნათესაობით - ბრუნვასთან შეიძლება შეგვხვდეს ცალკე მდგომი სიტყვები: მიზეზით, წყალობით, გამოისობით, მეღებთ... სლრ.: ოჯახი განადგურდა მაგის თავქარიანობის

გამო=თავქარიანობის წყალობით. = თავქარიანობის მიწეწით. = თავქარიანობის გამოსახობით...

მაგის გამოისობით კარგ მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი (ილია):

მაგის გამოისობით = მაგის გამო...

სიცივის გამოისობით... მოსავეალი ძალიან დარიბად იცის აქ (ილია):

სიცივის გამოისობით = სიცივის გამო...

მიზეისის გარემოება შეიძლება გადმოსცეს მოქმედებითმა ბრუნვამაც. მხოლოდ - აუცილებლად უთანდებულომ. მაგალითები:

იქაური მელიები სიმსუქნით კუდებს ძლივს-და ათრევდნენ (თ. რაზიკ.); [სვაფი] სიმაძღრით ძლივს-და ქშინავდა (ვაჟა); შიმშილით რაზე ვიხოცებით? (თ. რაზიკ.); ჩემსავით სიბერითა არ უმტყუნებთს თქვენი თვალი (აკაკი); მამალი შიშით იწურებოდა (ვაჟა); ბიჭები შიშით ვერც კი შეხედავენ ამათ მოტანილ ფიჩხის ურემს (თ. რაზიკ.).

ამ შემთხვევაშიც უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული სიტყვა მიზეისის გარემოებაა, რადგან იგი მნიშვნელობით გამო თანდებულებიანი ნათესაობითის შესატყვისია და ვარაუდობს პასუხს კითხვაზე: რის გამო? = რა მიზეით?

შიმშილით ვიხოცებით = შიმშილის გამო ვიხოცებით;

სიმაძღრით ძლივს-და ქშინავდა = სიმაძღრის გამო... ქშინავდა;

სიბერით არ უმტყუნებთ... თვალი = სიბერის გამო არ უმტყუნებთ... თვალი;

შიშით იწურებოდა = შიშის გამო იწურებოდა და ა.შ.

მიზნის გარემოების ურთიერთობა წყვილის წყროთან

მიზეზის გარემოება, რომელიც გადმოიცემა 'სმნი'სულით ან სახელის თანდებულებიანი ნათესაობითის ან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით, სინტაგმას ქმნის ძირითადად 'სმნა-შემას-მენელსთან (მეგობრის უმადურობით = უმადურობის გამო) გულის მტკინა). აგრეთვე - სახელსმნასთანაც. სახელსმნით გადმოცემული წვერი, რომელსაც მიზეზის გარემოება მიემართება, შეიძლება იყოს ქვემდებარეც (უმადურობით გულნატკენმა წასვლა გადაწვიტა), პირდაპირი დამატებაც (უმადურობით გულნატკენი დედამ დაამშვიდა), ირიბი დამატებაც (უმადურობით გულნატკენს ძველი ნაცნობი შეხვდა), უბრალო დამატებაც (უმადურობით გულნატკენის წუხილი ყველასათვის გასაგებია), განსაზღვრებაც (უმადურობით გულნატკენი ადამიანის გამხნეებაა საჭირო)...

ყველა შემთხვევაში მიზეზის გარემოების სინტაგმის წევრთან ურთიერთობას მითვად თვლიან.

მიზნის გარემოება

„მიზნის გარემოება აღნიშნავს მიზანს, რომელსაც ემსახურება მოქმედება“ (ა. შანიძე). იგი მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით? მაგალითად:

ჭაბუკთ რაში შენს მოწვევაზე მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა (ილია):

რა მიზნით, რისთვის მოგროვდებოდა რაში? - დასახვედრად (დახვედრის მიზნით):

თავდასნაურობამ თავი მოიყარა მარშლების ასარჩევად (აკაკი):

რისთვის, რა მიზნით მოიყარა თავი თავდასნაურობამ? - ასარჩევად.

ქალაქში სასწავლებლად ლათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა (ილია): რისთვის, რა მიზნით დააპირა ბატონმა ლათიკოს გაგზავნა ქალაქში? - სასწავლებლად.

სხვა მაგალითები:

ონისემ გასწია ბრძანების აღსასრულებლად (ა. ყა'ბ.); მხედარი აჩქარებით გამოვიდა ბრძანების ასასრულებლად (აკაკი); ახლა მაინც წავალ საძებნელად (მ. არაგვ.); ამა-ნაც გასწია ვერხვის მოსაჭრელად (ვაჟა); არსენას სანახავად მთელი სოფელი მოსულ იყო (მ. ჯავახ.); ქართულ ხატთა შესამკობელად ჩქარობდნენ გელათს ბეშქენ და ბექა (ა. კალანდ.)...

მიზნის გარემოებას, ჩვეულებისამებრ, მიზნის ზმნიზედები გადმოსცემენ. ესენია: ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, იშვიათად - ამაღ, იმაღ. როგორც ვხედავთ, მიზნის ზმნიზედები წარმოშობით ნაცვალსახელებია, -თვის თანდებულიანი ნათესაობითის ფორმები (ამ-ის-თვის, მაგ-ის-თვის, იმ-ის-თვის), ან -უთანდებულო ვითარებითები (ამა-ღ, იმა-ღ).

უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სიტყვები ყოველთვის არ წარმოადგენენ მიზნის გარემოებებს. -თვის თანდებულიანი ნათესაობითის ფორმებს შეიძლება შენარსულებული ჰქონდეთ თავიანთი ნაცვალსახელაური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ისინი სხვა წევრის - უბრალო დამატების - ფუნქციით იქნებიან გამოყენებული, ამაღ, იმაღ სიტყვები კი, გარდა უბრალო დამატებისა, შეიძლება მიზევის გარემოებაც იყოს. მაგალითად:

ეს სიძულვილი სწორედ იმისთვის უნდა ეთქვა, ვინც შუაში ჩაუდგა (თ. ბიბილა).

ვისთვის უნდა ეთქვა...? იმისთვის (ვინც შუაში ჩაუდგა).

იმისთვის უბრალო დამატება.

ჩვენ ამას შევცხეთ ამ წერილში მარტო იმისათვის, რომ სვენი ხაზოგადობის ყურადღება მიგვექცია (ილია).

რისთვის, რა მიზნით შევეხეთ ამას? - იმისათვის (რომ ყურადღება მიგვექცია, ყურადღების მიქცევის მიზნით).

იმისათვის მიზნის გარემოებაა.

ის იმად იქცა, რადაც ყოფნას ვერასოდეს წარმოიდგენდა.

რად იქცა? - იმად (რადაც ყოფნას ვერასოდეს წარმოიდგენდა).

იმად უბრალო დამატებაა.

ამად ვემდური საწყუროს, თორემ სხვა რამ მაქვს ხალო... (დ. გურამ.).

რად, რატომ, რის გამო ვემდური საწყუროს? - ამად (ამიტომ, ამის გამო, ამ მიზეზით)

ამად მიზეზის გარემოებაა.

განა იმად მოვსულვარ შენს ხანახავად, რომ გული გატკინო?!

რისთვის, რა მიზნით მოვსულვარ შენს ხანახავად? - იმად (იმისათვის, იმ მიზნით).

იმად მიზნის გარემოებაა.

(აღნიშნული სიტყვები ძირითადად რთულ (ქვეწყობილ) წინადადებებში გვხვდება).

მიზნის გარემოების გადმოსაცემად გამოიყენება სახელის ან სახელზმნის ნათესაობითი ბრუნვის -თვის თანდებულიანი ფორმა. მაგალითად:

[მერცხლები] მარტო საჭმლისთვის გაფრინდებოდნენ ხოლმე მინდორში (ი. გოგებ.). საჭმლისთვის = საჭმლის შოვნის მიზნით, საჭმლის საშოვნელად.

ფრთოსნები სოფელში იყრიდნენ თავს საზრდოს გულსთვის (თ. რაიკ.).

საზრდოს გულისთვის - საზრდასთვის (საზრდოს მძობვების მიხედვით).

როგორც ვხედავთ, **გულისთვის** ნახშირბადის -თვის თანდებულის მნიშვნელობით.

რუსეთში **კარიერისთვის** არ წავსულებარ (გ. ფანჯ.).

კარიერისთვის - კარიერის შექმნის მიხედვით.

მიხედვის გარემოებას ყველაზე ხშირად სახელის **უთანდებულო ვითარებით** ფორმა გადმოსცემს. მაგალითები:

მტრის **დასახვედრად** ამხედრებს დიდ ჯარს (აკაკი); მანძილის **შესამოკლებლად** 'სოგან ბილიკებსაც გვერდს უხვევდნენ (ლ. ქიქ.)'; მოზარდები გამოვლიდნენ ნათლის **სანახად** (გ. ლეონ.); ისწრაფის სხივი მისი **შენს სახილველად** (ა. კალანდ.); ... **შენაერთები** სასწრაფოდ გადაიხროლეს კაკასიონის უღელტეხილის **დასაცავად** (ო. იოსელი.); ის დილით ხეების **გადასარჩენად** წავიდა (თ. ჭილა.); კაცობრიობის დიდი ცოდვის **გამოსასყიდად** მაცხოვრის ფესით სისხლი ღებავს ადამის ქალას (ა. კალანდ.)...

წარმოდგენილ მაგალითებში (ყველგან!) მიხედვის გარემოება გადმოცემულია მომავალი დროის მიმდევებით, რომელიც 'მნიშვნელის ფუნქციითაა გამოიყენებული.

გარდა მიმდევობისა, მიხედვის გარემოების მნიშვნელობით **უთანდებულო ვითარებით** ბრუნვაში მდგარი **სა - თ** თავსართბოლოსართიანი სახელებიც გვხვდება. მაგალითად:

ვაწლოვანში **დაიარებოდა** ... **საგატროდ** ორი... **ლეკი** (ი. გოგბ.); ერთხელ **სანადიროდ** წავედი (ვაჟა); ...**მოიწვიე** კაფეში **საგანშობლად** (პ. იაშვი.); ერთხელ **საღვინოდ** მიმიწვიეს (აკაკი); ...**ყვავილი** **სააღერსოდ** რტოებს გაშლის (ა. კალანდ.); **სამოგზაუროდ** მიდის **მოაბარად** (ლ. ასათ.)...

მიხედვის გარემოების გადმოსაცემად ძველად ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი გამოიყენებოდა. გავიხსენოთ "ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები: "ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე

მომცა ბლევად მტერთად“ (ბლევად = დახადლევა). ასეთ ფორმებს ვხვდებით სელსან-საბა ორბელიანთანაც: „გინება განმარტებს მკლავთა და მომსაღებს დაკვრად კვეროხთა“, - გვასწავლის საბა (გინება ადამიანს მკლავს გააშლევინებს (შეამართვინებს) კვეროხის დასაკრავად. ე.ი. დაკვრად=დასაკრავად).

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით მიზნის გარემოების გადმოცემა არც თანამედროვე ქართული პოეზიისათვის არის უცხო. გავისხენოთ გალაკტიონის „მსეო თიბათისა, მსეო თიბათისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრადას შევედრები...“ (ლოცვად=სალოცავად). განსაკუთრებით მდიდარია ამ ფორმებით ანა კალანდაძის პოეზია. აი რამდენიმე ნიმუში ანას პოეზიიდან:

„ეს მაჰმად-ხანი მოდისო თბილისს მოსრვად და დაწვად“;
„თან ახლდათ ლომი და არწივი იმათაც - დათრგუნვად
„ეჭუთა“; ანას ერთ-ერთ ლექსში -თვის თანდებუდიანი და საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმები მიზნის გარემოების მნიშვნელობით გვერდიგვერდ გვხვდება:

„გუელს დამფენია მსეფ ცხოველი უკეთურებით კვალად
ხსნისათვის,

სინათლის ჩემის გაძლიერებად მიწივ, უკუნით უკუნისამდე!
დიდის მნათობის კვლავ მოახლეებად, კვლავ დაუცხრომელ
სწრაფვად მისადმი...

სინათლის მისის გაძლიერებად მიწივ, უკუნით უკუნისამდე!“

მიზნის გარემოების ურთიერთობა სინტაქსის წყობთან

მიზნის გარემოება, რომელიც მიზნის სმნიხედით ან სმნიხედის ფუნქციით გამოიყენებული სახელისა თუ სახელსმზნის -თვის თანდებუდიანი ნათესაობითის ან უთანდებულო ვითარებითის

ფორმითაა გადასოცეზული, სინტაქსურ წვეილს ქმნის ძირითადად 'სმნა-შეძახმენეკლიან (ჯგუფი გასამგზავრებლად ემ'სადება). იგი შეიძლება ახლდეს ხახელ'სმნით - საწყისით ან მიმდუობით - გადმოცემულ წვერსაც. ეს წვერი, ხვეუკლებისამებრ, შეიძლება იქოს ქვემდებარეც (გასამგზავრებლად მომ'სადება დრო'სუა საჭირო), პირდაპირი დამატებაც (გასამგზავრებლად მომ'სადებას ნუ გადადებთ). ირიბი დამატებაც (გასამგზავრებლად მომ'სადებას დიდი დრო დასჭირდება), უბრალო დამატებაც (გასამგზავრებლად მომ'სადების დაჩქარებაა საჭირო), განსახ'სდვრებაც: ატრიბუტუკულიცა (გასამგზავრებლად მომ'სადებ'ული ჯგუფი შეკოვნა) და სუბსტანტიურიც (გასამგზავრებლად მომ'სადების დრო დადგა), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც (გასამგზავრებლად მომ'სადებ'ული იყო).

სინტაგმის აღნიშნულ წვერებს შორის ურთიერთობას მითვად თვლიან.

შენიშვნა: მიზნის გარემოების მნიშვნელობით გამოსაყენებელ ამისთვის (იმისთვის) სმნი'სედას 'სოგჯერ უმართებ'ულოდ იყენებენ. შდრ.: [მარტიამ...] ამისთვის მიმართა იმათა, რომ ან უშველოს რითიმე და ან იმათთან მოკედეს (ა. ყა'სბ.). ამ შემთხვევაში ამისთვის = ამ მიზნით სწორად, თავის ადგილ'სუა ნახმარი; მაგრამ ახლა ვნახოთ სხვა წინადადებები:

რადგანაც ვაჟია ქრისტიანი იყო და ელისო კი მაჰმადიანი, ამისთვის ქალმა კარგად იცოდა, რომ ნათესაობა არ დასთანხმდებოდა იმათ შეუდლება'სე (ა. ყა'სბ.);

რადგანაც გონს ვერ მოეყვანათ, ამისთვის აკყარეს იარაღი (ა. ყა'სბ.);

რადგანაც მწყემსებს შეუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მიქსრდილებინათ თვალებისათვის (ა. ყა'სბ.)...

სამივე წინადადებაში (რომლებიც რთულია პირველი ნაწილით მიხეზია დახსენიებული: რადგანაც ვაქია ქრისტიანი იყო და ელისო კი - მამადიანი: რადგანაც გონს ვერ მოეყვანათ; რადგანაც მწვემებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა; ამიტომ საჭიროა ვიხმართ მიხეზის გარემოების გამომხატველი სიტყვა (მიხეზის 'სმნიხედა) **ამიტომ** და **არა** - - ამისთვის, რომელსაც მიხეზის გარემოების (მიხეზის 'სმნიხედის) მნიშვნელობა აქვს.

დავიმასხოროთ: თუ **მიზეზის** გარემოებაა, გამოვიყენოთ **ამიტომ**, თუ **მიზნისა** - **ამისთვის**.

ახლა მოკლედ შევაჯამოთ ის, რაც ითქვა გარემოებათა შესახებ.

გარემოება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც გვიჩვენებს, თუ **სად** (საიდან, საითკენ, საით, რა მიმართულებით), **როდის** (რა დროიდან, რა ხნიდან, რამდენ ხანს, რა დრომდე), **როგორ** (რანაირად, რამდენად, რამდენჯერ, რამდენჯერის), **რატომ** (რის გამო, რა მიზეზით), **რისთვის** (რად, რა მიხნით) ხდება მოქმედება.

გარემოება ხუთი სახისაა: **ადგილისა** (სუფრის გარშემო ღაპღაპღებდნენ წმინდა სახელები: ი. გრიშ.), **დროისა** (ღამით... ვარსკვლავებს აანთებს ველაცის ხელი: ა. კალანდი.), **ვითარებისა** (ეს დღეც თენდება თუთრად...; მ. ლებანი.), **მიზეზისა** (**ამიტომ** მიყვარს იისფერ სოფლის ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა: გ. ტაბ.) და **მიზნისა** (შენ მოდიოდი... ჩვენს **აღსაგველად** პირისგან მიწის: ა. კალანდი.).

ყველა სახის გარემოება უმრავლეს შემთხვევაში შესაბამისი 'სმნიხედით გადმოიცემა (აქ ავიღებ ფეხი: **გუშინ** სოფელში ვიყავით; **ძალიან** უყვარს ნადირობა: **ამიტომ** გადაწვეტა წახვლა: **ამისთვის** (ამ მიხნით) გადაღება ეს ნაბოჯი). გარე-

მთებები შეიძლება გადასიყვას 'სმნი'სულის ფუნქციით გამო-
ყენებული სახელისა თუ სახელსმნის (საწიხის, მიძლეობის) მი-
ცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის
უთანდებულო ან თანდებულებიანი ფორმებით, მაგრამ ამ თვალ-
საზრისით გარემოებები სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ;
კერძოდ:

ადგილის გარემოების გადმოსაცემად გამოიყენება მიცემითი
ბრუნვის როგორც უთანდებულო (ჭარბელაქანს მოებმა
მიცნეს, კახს და ქერმუნს გ'სებმა მიგრძნეს: მ. ლებან.),
ასევე - თანდებულებიანი ფორმები (ალაზნის ველზე ნათ-
ლის სვეტივით დგას ალავერდი: ა. კალანდ.; გამოქვაბულშიც
ტბორი იდგა: ო. იოსელი.; უკვე შეირხა ზღვასთან ლერ-
წამი: პ. იაშვი.; მაგიდასა და ღუმელს შორის ვერავინ
მოტრიალდებოდა: ო. ჭილა.; ორად გაყოფილ ქიმებს შო-
რის... ქვა ჩაჭედვილიყო: ო. იოსელი.).

ადგილის გარემოებად ადგილის 'სმნი'სულის ფუნქციით გა-
მოყენებული ნანათესაობითარი მიცემითის ფორმაც გვხვდება
(ელგუჯა დადგა... ხარანაულებსას: ა. ყაზბ.).

ნათესაობითი ბრუნვა მხოლოდ თანდებულებიანი შეიძლება
იყოს (აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა...
მ. ლებან.; ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ; ა. კალანდ.;
მივესალმები ჩემ ეზოს წინ ატუსულ ხეებს; ნ. სამადა.;
ნიშა ხარები დაფრთხებიან მონასტრის ზევით: ნ. სა-
მადა.; გულის შიგნით ჩაგვიდგა რაღაც ნაღველის მსგავ-
სი: ლ. ასათ.).

მოქმედებითი ბრუნვა უთანდებულოც გვხვდება (საით
მოვიდნენ პელაშგები? ა. კალანდ.; ისევ გაწვიმან
მალლით წვიმები: ა. კალანდ.; სამეგრელოს სამხრეთით...
გურიბა ძეგს: ი. გრიშ.; ჩრდილოით სხვა წყალნი დიანო;
ა. კალანდ.) და თანდებულებიანიც (მწვერვალებიდან იწ-
ყება ღორღთა და ლოდთა ცვენა: ა. კალანდ.; წყაროდან

წკლის ამოტანა ვერავინ გაბედა: ო. იოსელი.: მოდის ქარიშხლიანი ამინდი ცის შივი უფსკრულებიდან: პ. იაშვი.).

ასევეა ვითარებითიც: იგი უთანდებ ულოცა ც გადმოსცემს ადგილის გარემოებას (მე შვილივით დაგიტკებები. ... წამოგყვები ტყე-ველად: მ. ლებანი.: კამეჩიც რქენით გაიჭრა ველად: ლ. ასათ.) და თანდებ ულითაც (...ქვევრები ფსკრამდე დაეყვანა "სამთარს: ო. ჭილა.: ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწვევრილი ფეხები: რ. ინანი.).

დროის გარემოების გადმოსაცემადაც ოთხივე ბრუნვისაგან წარმოქმნილ სმნისელებს ვხვდებით: მიცემითი უთანდებ ულოცაა (ნასადილვეს ძილი ყველასათვის აუცილებელი საჭირო იყო: აკაკი) და თანდებ ულიანიც (ბაღლობაში მოუხდა ამისთანა საქმე: ილია: დედისემის დანახვაზე თითქმის გადმოვკოტრიალდი ურმიდან: შ. არაგვი: გიორგი მერსიულე დაბადებულა 875-885 წლებს შორის).

დროის გარემოების მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ნანათესაობითარი მიცემითიც (მიმწუხრისას მთვარე ცაზე მოირკალება: ა. კალანდ.).

ნათესაობითი, ორიოდვე გამონაკლისის გარდა (ეს გამონაკლისებია მყის, მარადის: შედრკა არისაქან მყისვე: კ. გამს., ვიყო მარადის მე მათდა მსახურ: ა. კალანდ.);

თანდებ ულიანია (...ხვალისათვის დაიბარა: აკაკი: დილისკენ თეთრი ნისლი იშლებს: ლ. ასათ.); ის პირველი გამოსვლისთანავე კოკულარული გახდა: ი. გრიშ.: სიკვდილის წინ... თავზე გადაგას მწვემი: მ. ლებანი.; ავღრის შემდეგ დარი ბრწყინდება: მ. ლებანი.).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმები უთანდებ ულოც შეიძლება იყოს (დამდამობით შერისძიებაზე ფიქრობდა: ო. ჭილა.: [იეთიმ გურჯი] ავლაბარში მთელი თვეობით არ დაიარება: ი. გრიშ.: ორი წუთით გამასწრო სამგსაერო მატარე-

ბელსი: ნ. ღარიბაძე) და თანდებუელიანიც (დღლიდანვე
ვერ იყო კარგ გუნებაზე: გ. ფანჯა.: ისინი თავიანთ... შვილებს
ბაღლობიდანვე შიახარებდნენ სოღმე შეგირდად
რომელიმე ოსტატს: ი. ვრიშ.).

ღროის გარემოებად ნანათესაობითარი მოქმედებითი გვხვ-
ლება (ღლისით აქედან გახვლა უჩინმანინის ქუღითაც ვერ
მოხერხდებოდა: ო. იოსელ.).

ღროის გარემოების მნიშვნელობით ვითარებითი ბრუნვაც ხან
უთანდებულოა (პირველად... ეს გოგო დავინახე: თ. ბი-
ბილა.: ქორწილი საშემოღლოდ აქონდა განსრახული:
გ. ფანჯა.). ხანაც - მღემლის თანდებუელიანი (ჩვენ შეღა-
მებამღე მოვედით: ო. იოსელ.: ღღემლის ჩემს ვაღს ვასრულებ-
ღი: აკაკი).

ღროის გარემოებად იშეიათად სახელობითის ფორმაც გვხვ-
დება (ყოველ ღამე სიზმრად გხედავღი: ო. ჭიღ.: სამი
წელიწადი ვიყავი იქ: ა. ბელ.), მაგრამ „ეფრო მისაღებად“
(ა. შანიძე) მიცემითი ბრუნვა მიიხნევა (ოთხმა ძმადნაფიცმა...
ტყეში ოთხ ღღეს დაქყო: მ. ჯავახ.: [არსენამ] შვიღ წელი-
წადს ტყედ იარა (ხალხ.).

ვითარების გარემოების გაღმომცემია შეღსართავი სახელის,
რიცხვითი სახელის, ნაცვალსახელისა და მიმღეობის ვითარები-
თი ბრუნვის ფორმები (მწვანედ აბიბინღებოღა ბაღახი:
ვაჟა: მესამედ აღარ გაპატოებ: სიცოცხლე ამგვარად
მიპყავს: ღ. ასათ.: ის... მორჩილად გაცურღა ნაპირისაკენ:
ო. ჭიღ.).

ვითარების გარემოების მნიშვნელობით შეიძლება
შეგვხვღეს სახელის -ებრ თანდებუელიანი ნათესაობითისა
(ელღისებრ მოსღვეღს ეს ამბავი სამეფოს: კ. გამს.) და მოქ-
მედებითი ბრუნვის უთანდებულო ფორმებიც (აქ სასოებით

ბრწინავს ყოველი: ა. კალანდ.: ... ჭკუთ მოვიქ-
(ვევით: ი. გოგუბ.).

ხშირია ვითარების გარემოების გადმოცემა საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (იძულებით აძინებენ ავადმყოფ ქალს: მ. ლუბან.: მფრინავმა მანქანამ ჭექა-ქუხილით გადა-
უარა ხალხს: ლ. ქიან.).

ვითარების გარემოების გადმომცემი ვით თანდებულებიანი ფორმაც შეიძლება იყოს (ეს ფიქრები ცოცხალივით ამეკვე-
რა თვალწინ: თ. ბიბილა.); შემომახურებს სიკვდილივით სიჭკვეა კვიაჭი (პ. იაშვი.).

მიზეზის გარემოების გადმოსაცემად ორ ბრუნვას ვიყენებთ - ნათესაობითსა და მოქმედებითს.

ნათესაობით ბრუნვასთან გამო თანდებულ გვხვდება (უად-
გილობის გამო კონდიტორები ვაგონში არაღვის უშვებდ-
ნენ: ს. შანშ.). ამ ბრუნვასთან -გან თანდებულაც შეიძლება იყოს, მაგრამ ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზეზის გარემოე-
ბა, თუ გან-ს გამო-ს მნიშვნელობა აქვს (ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან: ილია: სნეულებისაგან = სნე-
ულების გამო, სნეულების მიზეზით).

მოქმედებითი ბრუნვა მიზეზის გარემოების მნიშვნელობით აუცილებლად უთანდებულო უნდა იყოს (სამოარია, უბე-
რავს, სიცივით ვიბუსებით...).

მიზნის გარემოება შეიძლება გადმოსცეს: ა) ან -თვის თანდებულებიანმა სახელმა და სახელსმნამ (სოგი თოფისთვის გარბოდა: თ. რაიკ.; ისინი თავგანწირულად იბრძოდ-
ნენ მიზნის მიღწევისათვის). ან კიდევ ბ) უთანდებულო ვითა-
რებითი ბრუნვისაგან წარმოქმნილმა სმნიხელამ (სიმართლის ხმა ქვეყნადა ქუხს დასათრგუნვად მონობისა: ილია).

გარემოებები ხინჯაქსურ წყვილს ქმნიან უპირველესად სმნა-
შემასმენელთან:

ადგილის გარემოება შესასმენელთან: იქ ვისობილვართ, იქ ვწრთობილვართ, იქ ილტვიან ფრაიები (მ. ლუბან.); დროის გარემოება შესასმენელთან: მაშინ ნეპს სეულში პარგალიტი ციმციმებს ცივი (ა. კალანდ.);

ვითარების გარემოება შესასმენელთან: მთვარის ნათელი ნელა. ნელა აღვიძებს სეულებს (ა. კალანდ.);

მიზეზის გარემოება შესასმენელთან: ერთი საქმის სიყვარულის გამო თავისი... ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა (ილია);

მიზნის გარემოება შესასმენელთან: უხმოდ წავაღოთ წყლის ნაპირას მყუდრო ბინის მისაგნებად (პ. იაშვი.).

გარემოებები სინტაგმის წევრებს ქმნიან სახელსმნით (საწყისით, მიძღობით) გადმოცემულ წევრებთან, ამ წევრებს კი წინადადებაში სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ: ქვემდებარისაც, დამატება-ობიექტებისაც, უბრალო დამატებისა, განსახლვრებისა და გარემოებისაც კი. მაგალითად: ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა: ვითარების გარემოება (ძალიან) უკავშირდება მეორე ვითარების გარემოებას (ვაჟკაცურად; ძალიან ვაჟკაცურად), ეს უკანასკნელი კი სინტაგმას შესასმენელთან ქმნის (ვაჟკაცურად მოიქცა).

შენიშვნა: შესაძლოა ადგილის გარემოებამ სინტაგმა შექმნას არა მხოლოდ სახელსმნასთან, არამედ - სუფსართავ სახელთანაც, რომელიც წინადადებაში განსახლვრებაა: ცამდე მადალი ძეგლი რად გინდა? (ა. კალანდ.).

გარემოება სინტაგმის წევრს მირთვით უკავშირდება.

გარემოებებთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხს მივაქციოთ ყურადღება.

იმის გამო, რომ სხვადასხვა სახის გარემოება გადმოიცემა სახელისა თუ სახელსმნის ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით,

შესაძლებელია ერთი და იგივე ფორმა ერთ შემთხვევაში ერთი სახის გარეგნობა აღმოჩნდეს, მეორე შემთხვევაში - მეორე სახისა.

მაგალითად: ხანათუხაობითარი მიცქითის ისას დაბოლოებულიანი წვერი ადგილის გარემოებასაც შეიძლება გადმოსცემდეს და - დროისასაც. 'მდრ.: [მწვემისი] ხარანაულებისას გაეგ - 'ს ა ვ ნ ა თ (ა. ქა'სბ.): სად გაეგ'საუნათ? - ხარანაულებისას (აღგ. გარემ.). და:

ის ა ღ ა ვ ლ ე ნ და ლოცვებს ბნდისას (ა. კალანდ.): როლის ალაგაუნდა ლოცვებს? - ბნდისას (დრ. გარემ.);

- კენ თანდებულოანმა ფორმამ შეიძლება ადგილის გარემოებაც გადმოსცეს და დროის გარემოებაც. 'მდრ.:

მე გა ვ ა დ ე ვ ნ ე ლუთაებას თვალი პირამიდისკენ (ა. კალანდ.); საით (საითკენ) გავადევნე თვალი? - პირამიდისკენ (აღგ. გარემ.), და:

შუადლისკენ სიცხემ იმატა: როლის იმატა სიცხემ? - შუადლისკენ (დრ. გარემ.).

- იღან დაბოლოებული ფორმით ადგილის გარემოებაც გადმოიცემა და დროისაც. 'მდრ., სახლიდან 'გ ა მ ო ვ ი და ... გამხდარი... ახალგაზრდა კაცი (ნ. ლომ.): საიდან გამოვიდა? - სახლიდან (აღგ. გარემ.). და: იმ დლიდან ძიძია აღარავის უნახავს (ა. ქა'სბ.): რა დროიდან? - იმ დლიდან (დროის გარემ.).

მღე/მდის თანდებულოან ფორმას ადგილის გარემოების გადმოცემაც შეუძლია და დროისაც. 'მდრ.: არავის 'სემოთ, არავის ქვემოთ წელამღეა სათიბები (ა. კალანდ.): სადამღეა სათიბები? - წელამღე (აღგ. გარემ.), და:

რად ვ'სფოთავთ სვენ მის გამორჩენამღე (ა. კალანდ.): როდემღე, რა დრომღე ვ'სფოთავთ? - გამორჩენამღე (დრ. გარემ.).

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ფორმის მქონე სხვადასხვა სახის გარემოების ერთმანეთისაგან განსხვავება როდელი არ არის: საკითხის გარკვევაში, გარდა კითხვის სწორად დასმისა, თვით სიტყვის შინაარსობრივი მხარეც გვეხმარება.

მეოცე დაკვირვება სჭირდება 'სმნის'უკლას აქამდე/იქამდე (აქამდის/იქამდის). რადგან „მასხალობროვად“ ერთი და იგივე სიტყვა ხან ადგილის გარემოებაა. ხან - დროისა. 'სდრ: აქამდე გადმოისავალი მრავალი მთა და გორია (ვაჟა), და: აქამდის ყველა აქებლით, ყველას ავკავდათ ცამდისა (ვაჟა). პირველ 'შემოსვება'ში ადგილის გარემოება გვაქვს. მეორეში - დროისა.

მარტივი წინადადების ტიპები

ჩვენ ვიცით, რომ წინადადება აგებულია მისედავით შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივი წინადადება, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მთავარი წევრია მასში, არის ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი და ოთხშემადგენლიანიც. რამდენადაც ქართულში წინადადების მთავარ წევრებს წარმოადგენენ არა მხოლოდ ქვემდებარე და შემასმენელი (როგორც ეს ინდოევროპულ ენებშია), არამედ - პირდაპირი დამატებაც და ირიბი დამატებაც (ლ. კვაკაძე). ამიტომ, თუ წინადადებაში მხოლოდ ერთი მთავარი წევრია, ის ერთშემადგენლიანი იქნება: უცრაოდ ჩამობნულა. თუ მთავარი წევრი ორია (ერთპირიანი 'სმნით გადმოცემული შემასმენელი და მისი ქვემდებარე), წინადადება ორშემადგენლიანი იქნება: სადამოს მზე ჩავიდა. როდესაც წინადადებაში შემასმენელსა და ქვემდებარესთან ერთად პირდაპირი ან ირიბი დამატება გვაქვს, - სამშემადგენლიანი: დიდმა მთებმა იწყეს დრეკა: მე შენს მოსვლას დაველოდები: როდესაც წინადადებაში შემასმენლისა და ქვემდებარის გარდა ორივე დამატება-ობიექტია წარმოადგენილი (პირდაპირიც და ირიბიც), ის ოთხშემადგენლიანი იქნება: მაღონათა ხატებას წლები ნათელს მატებენ (ა. კალანდი). თუ გავითვალისწინებთ იმ 'სმნებსაც, რომელთაც

ათხი პირი ეწეობათ (დ. კეკელიძე). ქართული წინადადება ხუთ-
შეკადრებულია კი აღმოჩნდება: მიჭმე შენ მე მას ის; მისეთ
თქვენ მე მათ ის... (იხ. გვ. 6).

მარტივი გაუვრცობელი და გაუვრცობილი წინადადება

იმის მიხედვით, წინადადებაში მხოლოდ მთავარი წევრები
გვაქვს, თუ მთავართან ერთად - არამთავარიც, მარტივი წინა-
დადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გაუვრცობილი.

როდესაც წინადადებაში მხოლოდ მთავარი წევრებია
წარმოდგენილი, გაუვრცობელია, თუ არის რომელიმე არამთა-
ვარი წევრიც, - გაუვრცობილი.

მარტივი გაუვრცობელი წინადადებებია:

ბინდდება (ვაჟა);

სღვა გაშავდა (გ. ფანჯ.);

ქარავანი განაგრძობს გზას (გ. რობაქ.);

დედას გულმა ტეხა დაეწყო (ილია).

პირველ წინადადებაში მხოლოდ შემასმენელია, მეორეში -
შემასმენელი და ქვემდებარე, მესამეში - შემასმენელი, ქვემდე-
ბარე და პირდაპირი დამატება, მეოთხეში - შემასმენელი,
ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ორივე დამატება.

საკმარისია აღნიშნულ წინადადებებში თუნდაც თითო არამ-
თავარი წევრი ჩაემატოს, გაუვრცობელი წინადადება გაუვრცო-
ბილი გახდება:

სწრაფად ბინდდება; დაეწყო სღვა გაშავდა; აქლემ-
ების ქარავანი განაგრძობს გზას; გიორგის დედას
გულმა ტეხა დაეწყო.

პირველი წინადადება გაუვრცობილი გახდა ვითარების გარე-
მოების დამატებამ (სწრაფად), მეორე წინადადებაში ატრიბუ-
ტული განსახედვება დაემატა (დაეწყო) და ამიტომ ის უკვე

გავრცობილია, მესამე წინადადება გავრცობილად აქცია სუბსტანტიურმა განსახლდერებამ (აქლექტის). სუბსტანტიური განსახლდერება (ვიორვის) გვაქვს შეოხე წინადადებაშიც, რის გამოც ის გავრცობილია.

სრული და უსრული წინადადება

მარტივი წინადადება შეიძლება იყოს სრული ან უსრული.

სრულია მარტივი წინადადება, თუ მასში წარმოდგენილია მოცემული ზმნა-შემასმენლით ნავარაუდელი ყველა მთავარი წვერი (მივაქციოთ ყურადღება: წარმოდგენილი უნდა იყოს არა ხაერთოდ არსებული ყველა მთავარი წვერი, არამედ - ის მთავარი წვერები, რომლებიც მოცემულ ზმნა-შემასმენლს სუბიექტურ თუ ობიექტურ პირებად შეეწყობიან). მაგალითად:

მზეზე ელავდნენ ლომკაცთა ჩაბაღახები (ღ. ასათ.). ამ წინადადებაში ზმნა-შემასმენელია ელავდნენ, რომელშიც ივარაუდება მხოლოდ ერთი პირი - სუბიექტი: ელავდნენ ისინი. მისი ფარღი სიტყვა ჩაბაღახები ქვემდებარეა, რომელიც წინადადებაში წარმოდგენილია. მაშასადამე, წინადადება სრულია (მთავარ წვერთა შეღგენილობის მიხედვით - ორშემადგენლიანი).

მთაწმინდაზე ქარი ფოთლებს ფანტავს (მ. ლებან.). ამ წინადადების ზმნა-შემასმენელი (ფანტავს) ვარაუდობს კიდევ ორ წვერს: ფანტავს ის (S, ანუ ქარი - ქვემდებარე) მათ (პ.ო, ანუ ფოთლებს - პირდ. ღამატება). რადგან წინადადებაში ორივე ეს წვერი გვაქვს, წინადადება სრულია (მთავარ წვერთა შეღგენილობის მიხედვით - სამშემადგენლიანი).

გადახვევია ჩვენი ვახი დღეს უცხო ჭიგოს (მ. ლებან.). ამ წინადადებაში ზმნა-შემასმენლს (გადახვევია) ორი პირი ეწყობა: გადახვევია ის (ვახი - ქვემდებარე) მას (ჭიგოს - ირიბი

ღამაგრება). ე.ი. ეს წინადადებაც სრულია (მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით - სამშემადგენლიანი).

ასწლოვან მუხას მე თავს ვაფარებ (ნ. სამადა). 'ზმნა-შემასმენელი (ვაფარებ) სამ პირს შეიწყო: ვაფარებ მე (ქვემდებარე) მას (მუხას - ირიბი ღამაგრება) მას (თავს - პირდაპირი ღამაგრება). რადგან 'ზმნის აგებულებით ნავარაუდევია ქველა მთავარი წევრი წარმოადგენილია. წინადადება სრულია (მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით - ოთხშემადგენლიანი).

უსრულოა მარტივი წინადადება, თუ გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი, რომელსაც (რომელთაც) 'ზმნა-შემასმენელი ვარაუდობდა თავისი აგებულებით (ჩვეულებრივ, გამოტოვებული წევრი აღვიღად იგულისხმება ხოლმე).

მაგალითად:

მას სახეზე იშვიათად შეამჩნევდით ღიმილს (ი. გრიშ.). ამ წინადადების 'ზმნა-შემასმენელი (შეამჩნევდით) თავისი აგებულებით სამ პირს ვარაუდობს: შეამჩნევდით თქვენ (S) მას (ირ. O) მას (ღიმილს - პ. O). ამოვან ერთი პირი - თქვენ (ანუ ქვემდებარე) წინადადებაში წარმოადგენილი არ არის, მაშასადამე, ეს წინადადება უსრულია (მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით - სამშემადგენლიანი).

ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით (ლ. ასათ.). ამ წინადადების 'ზმნა-შემასმენელი (მიდიოდნენ) მხოლოდ ერთ პირს (სუბიექტს) გულისხმობს: მიდიოდნენ ისინი = ქვემდებარე, რომელიც წინადადებაში გამოტოვებულია, ე.ი. წინადადება უსრულია (მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით - ერთშემადგენლიანი).

ცხრა თვის განმავლობაში ქართული ისწავლა (გ. რობაქ.). 'ზმნა-შემასმენლით (ისწავლა) ნავარაუდევია ორი პირიდან (ისწავლა მან (S) ის = ქართული = პ. ობიექტი) წარმოადგენილია ერთი - პირდაპირი ღამაგრება (ქართული), ქვემდებარე კი (მან)

- გამოტოვებულია: ამიტომ ეს წინადადება უხრულა (მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით - ორსქმაღვცესლიანი).

უხრული წინადადება ჩვეულებრივია დიალოგებში.

მაგ.: -შენ ვგ ვინ გითხრა? - დედამ.

იგი სოციალური რთული წინადადების ნაწილს წარმოადგენს. მაგ.: კლდეებიც ასე ფიქრობენ, წყნა არ დაუნწევიათ (ა. კალანდი). ამ რთული წინადადების მეორე ნაწილში - წყნა არ დაუნწევიათ - გამოტოვებულია მათ = კლდეებს, რომელიც პირველ ნაწილშია ქვემდებარედ წარმოადგენილი (კლდეებიც) და მეორე ნაწილში ირიბ დამატებად აღვიღადა იტყულისხმება.

შენიშვნა: არსებობს თვალსაზრისი, რომ სრულ და უხრულ წინადადებათა განსახლვრისას ანგარიში გაეწიოს არამთავარ წევრებსაც: „უხრულია წინადადება, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ არამთავარი), რომლებიც აღვიღადა იტყულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პირობის მიხედვით“ (ლ. კვაჭაძე).

უქვემდებარო წინადადება

უქვემდებარო (ანუ უსუბიექტო) წინადადება, რომელშიც უქვემდებარე არ მოიპოვება და არც შეიძლება ვიფარაუდროთ“ (ა. შანიძე). ასეთ წინადადებებში შემასმენელი აღნიშნავს ბუნების მოვლენებს: წვიმს, თოვს, ქუხს, ცივა, ცხელა... (ვაჟასთან გვაქვს ქვემდებარეობის: „თოვლი თოვს...“).

უქვემდებარო ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოხატველი სმნა-შემასმენლები: მახველებს, მაცციებს, მაცემინებს, მაჟრჟოლებს, მაკანკალებს... იგივე სმნა-შემასმენლები შეიძლება ქვემდებარეობიანებიც აღმოჩნდნენ, მაგ.: ორპირი ქარი მაცციებს.

იცის ზმნა-შემასმენელს არი ხასყლი ეწეობა; იცის მან (ქვემდებარე) ის (პირდაპირი დამატება). მაგრამ წინადადებაში სვანეთში დიდი ყინვები იცის ქვემდებარე არ მოიპოვება და არც ივარაუდება, ამიტომ ეს წინადადება უქვემდებარეა.

უქვემდებარე წინადადებებია: სოფელში ჩამობინდება (ილია); წვიმს, ღამდება, როგორც ღამდება (მ. ლებან.); იელვდება ხოლმე (ა. ეახბ.); უკვე ბნელოდა, ციოდა (ო. იოსელ.); ოთახში მაინც ცხელოდა (გ. ფანჯ.); გარეთ ისევ წვიმს (ო. ჰილა.); ტანში გააჭრუოდა (ვაჟა); ტანში ცივად შეაჭრიალებს (ნ. სამაღ.); კარგა გათენებულიყო (გ. ფანჯ.); მწვერვალებში დაიგრუხუნა (ო. იოსელ.) და ა.შ.

განსახლვრატვირიანი ქვამდებარეაჭინარებული წინადადება

განუსახლვრატვირიანი ანუ ქვემდებარეაჭინარებულია წინადადება, რომლის ზმნა-შემასმენელსაც ქვემდებარე არა აქვს, „მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვილაცა, გაყრკვეველი პირი ან პირები“ (ა. შანიძე). ასეთ წინადადებებში ქვემდებარე გაყინარებულია, შემასმენელი კი, როგორც წესი, მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი: ამბობენ, ფიქრობენ, ვარაუდობენ და ა.შ. მაგალითები:

ამბობენ: თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს (ილია); ჩემსოედ ამბობენ, ის სიავეს ქართვლისას ამბობს... (ილია); ნაღირობის ტრფივალს რომ იტყვიან, ისა ვარ (ილია); ამბობენ, ქეთინი მოდის ღამ-ღამ... კაცისა (ვაჟა); იტყვიან, მაღლის მთის ძირსა... ლუხუში იწვა დაჭრილი (ვაჟა); ამბობენ: შააძლებინა სნეულსო ფეხსე დადგომა (ვაჟა)...

ქვემდებარეაჭინარებული ანუ განუსახლვრატვირიანი წინადადებები ხშირად გვხვდება ანდასებში: ავი არ მაკადრიან,

კარგი არ მადირსიანო: წყალი ნაყეს და ისეც წყალი დარჩაო: შეაქვს შურია. შეაჭამეს შკელსაო: ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუქმინესო და ა.შ.

ქვემდებარევაუქინარებუალი წინადადება უნდა განეხივებოდეს უქვემდებაროსაგან: უქვემდებარო წინადადებაში **ქვემდებარე არ არის და არც იგულისხმება**, ქვემდებარევაუქინარებუალ წინადადებაში კი, მართალია, **ქვემდებარე არ არის**, მაგრამ განუსაზღვრელად **მანც იგულისხმება**, მიუხედავად იმისა, რომ ქვემდებარედ „რომელიმე კონკრეტულ სახელს ვერ ვივარაუდებთ“ (ლ. კვაჭაძე).

შენიშვნა: განუსაზღვრელპირიანი ანუ ქვემდებარევაუქინარებუალი წინადადება აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს **მარტივიც** (ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენო: ანდ.), **შერწყმულიც** (წყალი არ ენახათ და ტანთ იხდიდნენო: ანდ.) და **რთულიც** (რთულში შემავალი ნაწილი) აგურის ნატეხი ღილს შეუდარეს - აქაოდა წითელიაო.

განზოგადებულიპირიანი წინადადება

თუ შემასმენელი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც ეხება არა ზმნის აგებულებით ნაგულისხმებ რომელიმე კონკრეტულ პირს (სუბიექტურს ან ობიექტურს), არამედ - სოგადად - საერთოდ ყველას, ამგვარ წინადადებას **განზოგადებულიპირიანს** უწოდებენ. **განზოგადებულიპირიან** წინადადებაში ზმნა-შემასმენელი, ჩვეულებრივ, მეორე პირის ფორმაა. მაგალითები: ავი მეზობლისაგან ცეცხლიც **ნუ გინდათ** (შენ); **ნუ იქმ** ავსა და ავისაც **ნუ გეშინიათ** (შენ); ისეთი ხიდი **გაღე** (შენ), **შენმა** შვილიშვილმაც **სუდ** გაიაროსო: **კაცი გაზომე** (შენ) **გაჭირვებაში**ო; **მადლი ქენი** და **მარილიც მოაყარე** (შენ); **მიპყე, მიპყე** (შენ) **სიმართლესა**, **გამოგილე**ვს **სინათლესა**: **ნუ გეშინიან** (შენ)

სიკვდილისა, გეშინოდეს (შენ) ხირცხვილისა; რაც არ იცოდე (შენ), არას იტყოდეო (შენ); სახამ შეხვიდოდე (შენ), გამოსვლაზე იფიქრეო (შენ) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი განსოგადებულპირიანი წინადადებები ანდასუბია. სმნა-შემასმენდებთან შეწყობილი მეორე პირის ფორმა (შენ) ხან სუბიექტია (ნუ იქმ, გადე, გასომე, მიძყე, იცოდე...), ხანაც - ობიექტი (გრამატიკულად ირიბი ობიექტი: გინდა, გეშინიან, გამოგილევს...).

შენიშვნა: იშვიათად სმნა-შემასმენელი განსოგადებულ მოქმედებას გადმოსცემს აწმყოს ან მყოფადის მესამე სუბიექტური პირის ფორმითაც, რომელსაც ჩვეულებრივ განმეორებადი მოქმედების (ხოლმეობითის) გაგება აქვს: „სახლის შენებას საძირკვილიდან იწყებენ“. ეს ნიშნავს, რომ სახლის შენებას ყოველი კაცი ყოველთვის საძირკვილიდან იწყებს (ა. შანიძე). ამ შემთხვევაში ქვემდებარე გაუჩინარებულია.

სახელდაბითი წინადადება

„სახელდებითა წინადადება, რომლითაც აღინიშნება საგანი თუ მოვლენა რისიმე მტკიცების გარეშე“ (ლ. კვაჭაძე).

სახელდებით წინადადებაში არაა შემასმენელი, ის არც იგულისხმება გამოტოვებულად, ხოლო ის სიტყვა (თუ სიტყვები), რომლითაც (რომლებითაც) საგანი ან მოვლენა აღინიშნული, სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად:

ჩამოთოვლილი ქედები, მდელიო ყაყაჩონარევი, ატრეზული ედემი, ობოლი ევაილნარები (ა. კალანდ.); ჭადრები ნატიფები, გვირილები ნაზები, ჭრულკაბა სათიბები, დაგრეხილი ვასები (მ. ლუბან.); ცრემლივით ქალი, პანგების დაფნა, ბედგაცრეცილი ძმია ბანაკი, ცისქვეშ უცნობი ქვეყნის გაფრენა და შთაგონების ყრუ აგარაკი (ნ. სამადა.); ხოფელი, კარგად მოვლილი კარ-

მსიღამო: ქვიტკირის პალატაზე წამოდგმული ხის ოდა, მადალ ბოძებზე შექმდარი ნაღია, გადაბედილ ხეზე მოყუდებული ხარები... (ო. იოსელი.); ხვენი წიგნი, ხვენი დედა, ხვენი ენა ქართული, ვარდნაბამი ფურცელი, ხვენს ყრმობაში ჩართული... (გ. დეონ.) და ა.შ.

სახელდებით წინადადებებს, ხვეულებრივ მხატვრულ ნაწარმოებებში ვხვდებით. მწერლები მათ იყენებენ ბუნების სურათების ან გარემოსა თუ მოვლენების აღწერისას.

შენიშვნა: სახელდებითადაა აგრეთვე მიხეული წინადადება, „რომელიც მოვითითებს, თუ რა პქვია ამა თუ იმ წიგნს, ლექსს, მოთხრობას, დაწესებულებას, მდაწიას თუ სხვა რამეს“ (ა. შანიძე). მაგალითად: „ვეფხისტყაოსანი“. „სიბრძნე სიცრუისა“. „მერანი“. „შვლის ნუკრის ნამბობი“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის სასულიერო აკადემია და ა.შ.

მარტივი წინადადების ანალიზის ნიმუში

სამშობლოდან დევნილმა ქართლის მეფემ უცხოეთში იპოვა უკანასკნელი თავშესაფარი.

ეს წინადადება შინაარსით თხრობითია, წართქმითი: აგებულია - მარტივი გავრცობილი (რადგან, გარდა წინადადების მთავარი წევრებისა, შეიცავს არამთავარ წევრებსაც), სრული (რადგან სმნის აგებულებით ნაგარაუდვეი ყველა მთავარი წევრი - იპოვა მან (მეფემ) ის (თავშესაფარი) - წარმოდგენილია). მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით სამშემადგენლიანია.

მთავარი წევრები:

იპოვა - მარტივი შემასმენელი, გადმოცემული ორპირიანი გარდამავალი სმნით.

მეფემ - ქვემდებარე, გადმოცემულია სულიერი არსებითი სა-

სეკლის მხოლოდობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით (ქვემდებარეს აქვს მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქცია). ქვემდებარე სინტაგმას ქმნის შემასმენელთან: მეფემ იპოვა. ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს რიცხვში (მეფე-ებ-მა იპოვე-ს). ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში (მეფემ იპოვ-ა, მე გ-იპოვე). შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში (იპოვა მეფე-მ, იპოვის მეფე, უპოვია მეფე-ს). ე.ი. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის მართვა საერთოეოა.

თავშესაფარი - პირდაპირი დამატება, გადმოცემულია უსულო არსებითი სახელის მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით. პირდაპირი დამატება სინტაქსურ წევილს ქმნის შემასმენელთან: იპოვა თავშესაფარი. პირდაპირი დამატება ვერ ითანხმებს რიცხვში შემასმენელს (იპოვა თავშესაფარი/თავშესაფარ-ებ-ი), პირდაპირი დამატება მართავს შემასმენელს პირში (იპოვა ის = თავშესაფარი, მაგრამ: მე მ-იპოვა). შემასმენელი მართავს პირდაპირ დამატებას ბრუნვაში (იპოვა თავშესაფარ-ი, იპოვის თავშესაფარ-ს). ე.ი. პირდაპირ დამატებასა და შემასმენელს შორის საერთოეოთო მართვაა.

არამთავარი წევრები:

დევნილმა - ატრიბუტული განსახსლვრება, გადმოცემულია სასელაქმნის (ეგრძილ, მიმდებობის) მხოლოდობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით. სინტაგმას ქმნის ქვემდებარესთან - დევნილმა მეფემ - და არის მისი ბრუნვაში შეთანხმებული (დევნილ-ი მეფე, დევნილ-მა მეფე-მ...) პრეპოსიციური მსახლვრელი. რიცხვში შეთანხმებაში არ გვექნება (დევნილმა მეფემ - დევნილმა მეფე-ებ-მა).

ქართლის - სუბსტანტიური განსახსლვრება, გადმოცემულია არსებითი სახელის ნათესალობითი ბრუნვის ფორმით. სინტაქსურ წევილს ქმნის ქვემდებარესთან - ქართლის მეფემ - და არის მისი მართული პრეპოსიციური მსახლვრელი (ქართლის მეფე,

ქართლის მეფე...). მართვა ცალმხრივია, რიცხეში შეთანხმება არ გვექნება (ქართლის მეფე - ქართლის მეფე-ებ-ი).

სამშობლოდან - ადგილის გარეშობა, გადმოცემულია 'სმნი-
'ზედის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელის მოქმე-
დებითი ბრუნვის გან თანდებულობის ფორმით (სამშობლოთგან
- სამშობლოდგან - სამშობლოდან). სინტაგმას ქმნის მიმდევრით
გადმოცემულ ატრიბუტულ განსასლურებასთან - სამშობლოდან
დევნილი - და დაკავშირებულია მასთან მართვით.

უცხოეთში - ადგილის გარემოება, გადმოცემულია 'სმნი'ზე-
დის მნიშვნელობით გამოყენებული არსებითი სახელის მიცემითი
ბრუნვის -ში თანდებულობის ფორმით. სინტაქსურ წევრს ქმნის
შემასმენელთან - 'უცხოეთში იპოვა - და დაკავშირებულია მას-
თან მართვით.

უკანასკნელი - ატრიბუტული განსასლურება, გადმოცემულია
ზედსართავი სახელის მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნ-
ვის ფორმით. სინტაგმას ქმნის პირდაპირ დამატებასთან - უკან-
ნასკნელი თავშესაფარი - და არის მისი ბრუნვაში შეთანხმე-
ბული (უკანასკნელი თავშესაფარი-ი, უკანასკნელ-მა თავშესაფარ-
მა...) პრეპოზიციური მსასლურელი. რიცხეში შეთანხმება არ
გვექნება (უკანასკნელი თავშესაფარი - უკანასკნელი თავშე-
საფარ-ებ-ი).

ლიბერაბურა

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948;
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973;
3. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VII კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1987;
4. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977;
5. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973;
6. ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968;
7. ლ. კიკნაძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში „კომპენისტური აღსრულა“, №8-9, თბილისი, 1937;
8. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1986;
9. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2002;
10. ე. კოშორიძე, კიდევ ერთი სადავო საკითხის გამო, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1-2, 1985;
11. ა. კიხირია, ქართული ენა, პრაქტიკუმი, თბილისი, 1974
12. ა. ღლონტი, ქართული წინადადება, თბილისი, 1961;
13. გ. იოსავა, ქართული ენა, პრაქტიკუმი სინტაქსში, თბილისი, 2003.

შინაარსი

მარტივი წინადადება. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები	3
შემასმენელი	6
მარტივი შემასმენელი	8
შედგენილი შემასმენელი	10
ქვემდებარე	21
ქვემდებარის ბრუნვები	22
ქვემდებარე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან	23
ქვემდებარე გარდაუვალი ერთ- და ორპირობიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან	25
ქვემდებარე I და II პირის ფორმებთან	28
ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან	32
ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა	32
დამატებანი. პირდაპირი დამატება	40
პირდაპირი დამატების ბრუნვები	42
ქვემდებარე და დამატება იცის და უწყის ზმნებთან	44
პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა	46
ორიბი დამატება	49

ირიბი დამატება ორპირიანი გარდაუკვალი ზმნით გადასაცემულ შემასმენელთან	50
ირიბი დამატება სამპირიანი გარდამავალი ზმნით გადასაცემულ შემასმენელთან	51
ირიბი დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა	55
წინადადების არამთავარი წევრები. უბრალო დამატება	64
უბრალო დამატების ბრუნვები	67
უბრალო დამატების ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან	77
განსაზღვრება	80
ატრიბუტული განსაზღვრება	81
სუბსტანტიური განსაზღვრება	83
განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან . .	88
გარემოებანი	101
აღგილის გარემოება	102
აღგილის გარემოების ურთიერთობა სინტაქსის წევრთან . . .	108
ღრრის გარემოება	109
ღრრის გარემოების ურთიერთობა სინტაქსური წყვილის წევრთან	118
ვითარების გარემოება	119
ვითარების გარემოების ურთიერთობა სინტაქსური წყვილის წევრთან	123
მიზეზის გარემოება	125
მიზეზის გარემოების ურთიერთობა სინტაქსური წყვილის წევრთან	129
მიზნის გარემოება	129

მისის გარემოების ურთიერთობა სისტემის წევრთან	133
მარტივი წინადადების ტიპები	142
მარტივი გაურცობილი და გაურცობელი წინადადება	143
სრული და უსრული წინადადება	144
უქვემდებარო წინადადება	146
განუსაზღვრელპირიანი (ქვემდებარეგაუჩინარებული) წინადადება	147
განზოგადებულპირიანი წინადადება	148
სახელდებითი წინადადება	149
მარტივი წინადადების ანალიზის ნიმუში	150

ლელია გუგუნიძე

ქართული ენა

ნაწილი მესამე



კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ილნარ გორელიშვილი

ნათელა ტალახაძე